ქართული მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ნოემბერი **ორშაბათი** 2009

№ 282 (12 961) ფასი 60 თეთრი




» გვერდი 11

## კუზილოვმა ბრინჯაო აწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლელო საქართველოს თასსაც დაეუფლა



სარაგბო ფინალი » გვერდი 11

### ფეხბურთი



## მაკარიძის დებიუტი ფრანგულ ელიტაში

ლეგიონერები

» გვერდი 5

### კალათბურთი



## სანიკიძის მეორე ორმაგი

» გვერდი 12

### სუმო



## მებრძოლი სული ტოჩინოშინს

ქართველის ყველაზე წარმატებული ბაზო

» გვერდი 13

# იბრამ მეფე ჩამოაგდო

## 1:0 ბარსა ლიდერობას იბრუნებს



## დიდიე დიდის დუბლით

არსენალი ჩელსის ტოლი არ არის

» გვერდი 6-10




MS კომფორტული
MS დინამიური
MS ხელმისაწვდომი
MS მოდური
MS მიმზიდველი
აღმოაჩინე...
MS ფერადი
MS ხარისხიანი
MS უნიკალური
MS სასურველი
MS ლამაზი

# სამი ქულა სამეულამდე

28.11.09. თბილისი. მ. მესხი. 400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| ბაია | 0 |

1:0 მერებაშვილი (14. თომაშვილის პასით)

დინამო: სომხიშვილი - გეთიაშვილი, გ. კაშია, კაკუბავა, თომაშვილი - შ. კაშია, ედნილსონი, ნემსაძე, ჯუისი (72. ქავთარაძე) - მერებაშვილი (90. ჩადუნელი), აკირემი (62. სიხარულიძე)

სათადარიგოები: ლორია, ლომია, ლექვთაძე, ქანთარია

ბაია: მაქაცარია - ექონია, პაჭკორია, აქუბარდია, კვეკვესკირი (80. ეხვაია) - გ. ქირია (62. ძალამიძე), გუჩუა (68. სიხარულია), ვართაგავა, გუგუჩია, ლუნგუ - რ. ჯიქია

სათადარიგოები: ზარქუა, რ. ონიანი, დ. ქირია, წურწუმია

გაფრთხილება: ჯუისი (23), ედნილსონი (77), შ. კაშია (90), სიხარულია (90)

არბიტრი: ლ. სილაგავა



ამ ეპიზოდში დინამოელებს ზუგდიდელთა მეკარე არჩილ მაქაცარიამ დაასწრო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თვალსაჩინო ხარვეზების მიუხედავად, „დინამო" „ბაიასთან" მატჩში უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა. შეხვედრა მოსალოდნელი შედეგით კი დასრულდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზუგდიდელებმა მეორე ტაიმი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს და ოდნავ მეტი გამოცდილება და საშემსრულებლო ოსტატობა რომ ჰქონოდათ, შინ ხელცარიელნი ნამდვილად არ დაბრუნდებოდნენ.

„დინამოს" ამ სეზონში საკადრო პრობლემები არ აკლია და ეს მატჩიც არაერთი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჩაატარა. ტრავმირებულებს, **კოშკაძეს, ხმალაძესა** და **ვაწაძეს მამუჩაშვილის** დისკვალიფიკაცია და **კრშკოს** გაციება დაემატა. ერთი ცვლილება კახა კაჭარავამ ნებაყოფლობით განახორციელა - თავისი გუნდის კარი წინა ტურში უხეში შეცდომის დამშვები **ლორიას** ნაცვლად გამოცდილ **სომხიშვილს** ანდო.

„დინამოს" ღირსება გუშინ სამმა ისეთმა ფეხბურთელმა დაიცვა, ვისაც უმაღლეს ლიგაში ამ გუნდის შემადგენლობაში არასოდეს უასპარეზია. ესენი არიან ზემოთ ნახსენები სომხიშვილი, ახალგაზრდული ნაკრების მცველი **გეთიაშვილი** და პორტუგალიელი ახალწვეული **ედნილსონი**. თავიდანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სომხიშვილს ბევრი საქმე არ ჰქონია, მაგრამ თამაშში თითქმის ყოველთვის დამაჯერებლად ერთვებოდა; გეთიაშვილმა მატჩი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, ედნილსონის თამაშშიც შეინიშნებოდა დადებითი მომენტები და თუ კიდევ მოუმატებს (რაც გასაკვირი არ იქნება), თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ „დინამოს" ძლიერი საყრდენი შეემატა.

მატჩის დებიუტი მთლიანად დინამოელებისა იყო. მეათე წუთზე მასპინძლებმა პირველი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს. **ჯუისმა** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა და **შოთა კაშიამ** ბურთი კარისკენ თავით გადაგზავნა. ერთი შეხედვით, დარტყმა უნაკლო იყო და მეკარეს შანსი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ „ბაიას" კარის დარაჯმა **მაქაცარიამ** ჩინებული რეაქცია გამოავლინა.

ანგარიში მაინც მალე გაიხსნა. **მერებაშვილი თომაშვილის** პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა და მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა. ისეთი მოლოდინი შეიქმნა, რომ „დინამო" იერიშებს განაგრძობდა და საკუთარ უპირატესობას განამტკიცებდა, მაგრამ მოხდა პირიქით, მიღებული ბურთის შემდეგ ზუგდიდელები გამოცოცხლდნენ, თბილისელებმა კი თამაშს საგრძნობლად უკლეს.

26-ე წუთზე **გუგუჩია** მეურვეს დაუსხლთა და „დინამოს" კარს მიუახლოვდა. თუმცა დარტყმა სუსტი გამოუვიდა და სომხიშვილი ბურთს იოლად დაეუფლა. პირველი ტაიმის მიწურულს უკვე „დინამო" იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ **აკირემიმ** ახლო მანძილიდან კარში დარტყმა ვერ შეძლო. გაბონელი ფორვარდი გუშინ ერთ-ერთი ყველაზე უფერული იყო დინამოელთა შორის, რეალური საგოლე შანსი მან მეორე ტაიმშიც გაანიავა.

მატჩის მეორე ნახევარი პირველზე გაცილებით საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა, რაც პირველ რიგში, სტუმართა დამსახურებაა. 53-ე წუთზე „ბაიას" კართან ახლო მდგომმა აკირემიმ მიზანი ვერ გაისწორა და ბურთი ძელს გაარტყა, რასაც ზუგდიდელთა გამუდმებული შეტევები მოჰყვა. ძალიან დინამიკური იყო „ბაიას" შუა ხაზი, განსაკუთრებით კი უბერებელი **ვალტერ გუჩუას** ენერგიული ქმედება უნდა გამოვარჩიოთ. გუჩუას, **პაჭკორიას, სიხარულიას** და სხვებს შეეძლოთ თავისი გუნდისთვის თუნდაც ქულის მოტანა, მაგრამ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში სტუმრებს კონცენტრაცია აკლდებოდათ.

მატჩის მიწურულს მეტოქეებმა თითო ხელსაყრელი საგოლე შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. 84-ე წუთზე მერებაშვილი მაქაცარიას გასცდა და მახვილი კუთხიდან ბურთი კარს ააცილა, 87-ეზე კი **ჯიქიამ** წამოიწყო ეფექტური სოლორეიდი, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

მოკლედ, „დინამომ" დაგეგმილი სამი ქულა დიდი ბრძოლით მოიპოვა და მესამე ადგილზე მყოფ „ვიტ ჯორჯიას" ასევე სამი ქულის სხვაობით მიუახლოვდა. ამ სეზონში კაჭარავას გუნდი მაქსიმუმ მესამე საფეხურს თუ შეეჭიდება, რაც ამდენი პრობლემის ფონზე მისთვის ნორმალური შედეგი იქნება. უნდა შევაქოთ „ბაია", რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უმაღლეს ლიგაში რამდენიმე გუნდზე უკეთეს ფეხბურთს თამაშობს და დაქვეითებას სხვები უფრო იმსახურებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 39-11 | 39 |
| 2. ზესტაფონი | 16 | 10 | 5 | 1 | 29-13 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 5 | 3 | 24-17 | 29 |
| 4. დინამო | 16 | 7 | 5 | 4 | 24-11 | 26 |
| 5. სამტრედია | 16 | 6 | 3 | 7 | 23-32 | 21 |
| 6. სპარტაკი | 16 | 5 | 5 | 6 | 22-27 | 20 |
| 7. სიონი | 16 | 3 | 6 | 7 | 10-23 | 15 |
| 8. გაგრა | 16 | 3 | 4 | 9 | 16-27 | 13 |
| 9. ბაია | 16 | 3 | 3 | 10 | 14-24 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 16 | 1 | 5 | 10 | 5-21 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 15 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 12 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 10 |

**საქართველოს თასი**

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**1 დეკემბერი**

13:30 ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი (0:3)
13:30 კოლხეთი (ფ)-მარტვილი (0:0)

**2 დეკემბერი**

13:30 სპარტაკი-ბაია (1:1)
18:00 დინამო-ჩიხურა (1:1) Live

**მომდევნო ტური**

| | |
|---|---|
| **5 დეკემბერი, შაბათი** | |
| 14:00 | ოლიმპი-ზესტაფონი |
| **6 დეკემბერი, კვირა** | |
| 14:00 | ბაია-ვიტ ჯორჯია |
| 14:00 | გაგრა-სპარტაკი |
| 14:00 | სამტრედია-სიონი |
| 14:00 | ლოკომოტივი-დინამო |

გაგრა

# კაშჩეი წავიდა

## ბრაზილიელი ფიფას წესებით ჩაირიცხა

თბილისის „ლოკომოტივთან" მე-15 ტურში განცდილი მარცხის (0:1) შემდეგ „გაგრას" მთავარი მწვრთნელის კონსულტანტმა **ვიქტორ კაშჩეიმ** პოსტი დატოვა. კონსულტანტის თანამდებობიდან წასვლა ამხელა ინტერესს არ გამოიწვევდა, რომ არა ერთი გარემოება - კაშჩეი ხომ, ფაქტობრივად, კლუბის მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ის ხელმძღვანელობდა საწვრთნელ პროცესებსა და თამაშს, გუნდში კი 2009 წლის გაზაფხულზე მივიდა.

უკრაინელი სპეციალისტი კლუბში თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციების დანერგვას ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ, „გაგრასთვის" მისი მუშაობა კატასტროფული შედეგებით დასრულდა - 16 ტურის შემდეგ საქართველოს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი ბოლოდან მესამე ადგილზეა და გავარდნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია. ბოლოს გუნდმა „მოახერხა" და დამარცხდა პირველობის აუტსაიდერ „ლოკომოტივთან", რომლისთვისაც ეს პირველი გამარჯვება იყო.

*„კაშჩეიმ კლუბიდან წასვლა „ლოკომოტივთან" წაგების შემდეგ გადაწყვიტა. იმედი გვქონდა, რომ „სამტრედიას" მოვუგებდით. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა და ბატონმა ვიქტორმა, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, კლუბი კონტრაქტის დასრულებამდე დატოვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ურთიერთობა გავწყვიტეთ, მომავალში თანამშრომლობა გამორიცხული არ არის, ვიქტორ კაშჩეი ჩვენი მეგობარია. „გაგრას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი რჩება კახა კარანაძე, რომელსაც დუბლების მწვრთნელი თეიმურაზ ჩხაიძე დაეხმარება"*, - გვითხრა „გაგრას" პრესატაშე **მიხეილ აფხაზავამ**.

როგორც ცნობილია, ახლახან „გაგრაში" 23 წლის ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი **და სილვა მოიზეს ანტონიო** ჩაირიცხა - საკმაოდ მაღალი (182 სმ) და ტექნიკურ ფეხბურთელი. აფხაზავას ამაზეც ვთხოვეთ კომენტარის გაკეთება.

*„და სილვა თავის დროზე ბრაზილიურ კლუბებში - „ატლეტიკო მინეიროსა" და „ატლეტიკო პარანაენსეში" თამაშობდა. მას საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელის რეპუტაცია ჰქონდა, 16 წლისამ „მინეიროსთან" პროფესიული კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ მისი კარიერა ისე ვერ აეწყო, თავად რომ სურდა. სხვათა შორის, „ოლიმპის" ბრაზილიელებმა იცნეს და სილვა. ის სინჯებზე მოვიდა, გუნდში ვარჯიშობდა, მწვრთნელთა საბჭო ორ ამხანაგურ შეხვედრაში დააკვირდა და მის დატოვება გადაწყვიტა. ბრაზილიიდან გათავისუფლების ფურცელს ერთი თვე უშედეგოდ ველოდით. პასუხი რომ ვერ მივიღეთ, ფიფას წესების თანახმად, განაცხადში შევიყვანეთ - ასე ხდება, როცა არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ მოდის. ანალოგიური მოხდა ნიგერიელი ოვონიკოკოს შემთხვევაშიც".*

**მერაბ მამულაშვილი**



ვიქტორ კაშჩეი

ლეგიონერი

# წარმატებული ოპერაცია

პარასკევს ციურიხში ლევან ყენიას ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. შეგახსენებთ, სამედიცინო ჩარევა კოჭის მყესის გასამსხვილებლად გახდა აუცილებელი. ლევანს ოპერაცია **ბასკეტ სიბოვიჩმა** გაუკეთა. შეგახსენებთ, ეს სპეციალისტი „შალკესთან" თანამშრომლობს და ყენიას ჯანმრთელობის მდგომარეობას ბოლო პერიოდში სისტემატურად აკონტროლებდა.

*„როგორც მეუბნებიან, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. აქ ჩემს ჯანმრთელობაზე გულისხმიერად ზრუნავენ. ოპერაცია შედეგს აუცილებლად გამოიღებს და დაახლოებით სამ თვეში მწყობრში დავბრუნდები. ძალიან მწყდება გული, „შალკესა" და საქართველოს ნაკრების მატჩებს რომ დავაკლდები, მაგრამ სხვაგვარად არ გამოდიოდა. ოპერაციის გარეშე ჩემს კარიერას საფრთხე დაემუქრებოდა, მომავალში კი მყესი აღარ შემაწუხებს და იმედია, აღარც სხვა სახის ტრავმები დამაკარგვინებს დროს. დარწმუნებული ვარ, სეზონის დასკვნითი ნაწილისთვის ოპტიმალურ ფორმაში შევალ და ნაკრებსაც და „შალკესაც" დიდ სამსახურს გავუწევ"*, - გვითხრა ყენიამ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# პროგნოზების ტყვეობაში

... მაინც არ ვეშვებით ამ პროგნოზებს და ახლაც, ერთი კონკრეტული ფაქტი გვინდა ვივარაუდოთ: თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალურ ტიტულს რუსთავის „ოლიმპი“ მოიპოვებს! ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და, რაც მთავარია, „ოლიმპი“-„ზესტაფონის“ დაპირისპირებაც გველოდება, მაგრამ, ვეჭვობთ, რუსთაულმა კლუბმა ოთხქულიანი უპირატესობა გაფლანგოს. თუმცა, ისიც გვეგონა, რომ ჩემპიონატში უმოტივაციოდ დარჩენილი „სპარტაკი“ სამ დღეში ჩასატარებელი უმნიშვნელოვანესი სათასო მატჩის გამო, ამ ტურში „დაისვენებდა“ და „ზესტაფონთან“ შეხვედრაში მონდომებას არ გამოიჩენდა. საპირისპიროდ კი მოხდა - ტურის ყველაზე უხვგოლიან შეხვედრაში სტუმრებმა მეტად და მეტად ძვირფასი ქულები დაკარგეს, რასაც მხოლოდ ჩვენ კი არა, ლამის ნახევარი საფეხბურთო საქართველო არ ელოდა...

სამაგიეროდ, თავს იმით „ვიმშვიდებთ“, რომ ერთი რამ მაინც გამოვიცანით; თუ გახსოვთ, ტურის წინათქმაში ვწერდით, რომ დარწმუნებული ვართ, ამჯერად ისე აღარ იქნება, წინა ტურში რომ მოხდა-თქო; შეგახსენებთ, რომ მეთხუთმეტე ტურში ჩატარებული ხუთივე შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს და აი, მოვლენების ასეთი განვითარება გამოვრიცხეთ. ასეც მოხდა და ტურის უკანასკნელ მატჩში „დინამოს“ რომ არ მოეგო, მასპინძლების მონაგარი მეტად მწირი იქნებოდა. საერთოდ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ტური ერთობ საინტერესო და ემოციური ფონის თანხლებით ჩატარდა...

## ოლიმპიური წინსვლა

ტურის უმთავრესი მოვლენა, რალა თქმა უნდა, „ოლიმპის“ ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება იყო, რის შედეგადაც რუსთაულმა კლუბმა უახლოესი მდევარი „ზესტაფონი“ უკვე ოთხი ქულით ჩამოიტოვა. ამას გარდა, ერთი ფაქტიც გვინდა აღვნიშნოთ: **თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ამ ტურში მოხდა, რომ მეტოქემ რუსთაული გუნდის კარში გოლი გაიტანა (ისიც - პენალტით).

საერთოდაც, უმაღლეს ლიგაში ეს იყო „ვიტ ჯორჯიასა“ და „ოლიმპის“ მერვე დაპირისპირება და პირველად მოხდა, რომ რუსთაულმა კლუბმა სტუმრად შეძლო მისთვის უხერხული მეტოქის დამარცხება.

... ყველა ელოდა, რომ მოქმედი ჩემპიონისა და ერთპიროვნული ლიდერის დაპირისპირება უაღრესად დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში წარიმართებოდა. ასეც მოხდა - ნერვიული ფონი მთელ შეხვედრას თან სდევდა და ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ მატჩის არბიტრ **ლევან კვარაცხელიას** ათჯერ დასჭირდა ორივე გუნდის ფეხბურთელთათვის ყვითელი ბარათის ჩვენება; ამასთან, **გიორგი კახელიშვილმა** და **ანდერსონ აკინომ** მატჩში ორ-ორი გაფრთხილების მიღება „მოახერხეს“ და შესაბამისად, გააძევეს კიდეც; ოღონდ, ცოტა არ იყოს, უცნაური შემთხვევა მოხდა აკინოსთან დაკავშირებით: ბრაზილიელმა მეორე გაფრთხილება მას შემდეგ მიიღო, უკვე გამოცვლილი რომ იყო! საერთოდაც, სამსაჯო საკითხი ამ შეხვედრაში ერთობ აქტუალური იყო: მასპინძელთა ქომაგთა აზრით, არბიტრი მიკერძოებით მსაჯობდა და მთელი მატჩის განმავლობაში (და თამაშის შემდეგაც) უამრავი პრეტენზია ჰქონდათ. სხვა საქმეა, როგორ წარიმართებოდა შეხვედრა, მასპინძლებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ეასპარეზათ - დისკვალიფიკაციის გამო ხომ ამ მატჩს ლექსო კვახაძე და **ვახტანგ კვარაცხელია** ტოვებდნენ; გუნდის ამ ორი ლიდერის სრულფასოვნად შეცვლა არ მოხერხდა და „ვიტ ჯორჯიამაც“ ჩემპიონატში მესამე შეხვედრა წააგო (არადა, გასული სეზონი მხოლოდ ერთი მარცხით დაასრულა). აი, „ოლიმპმა“ კი ამ გამარჯვებით და უშუალო კონკურენტის ნაფორხილებით სოლიდური ჰანდიკაპი შეიქმნა მეორე წრის უპრინციპულესი მატჩის წინ, რომელიც, სავარაუდოდ, ალბათ, ისევ ბოლნისში ჩატარდება.

და კიდევ, ამ წყვილზეც; ემოციური ფონი შემთხვევით არ გვიხსენებია - 90 წუთის განმავლობაში მოედანზე კინკლაობა და ძიძგილაობა... მატჩის შემდეგ ხელჩართულმა ჩხუბმა შეცვალა! თუმცა, ამ მეტოქეების მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრებში მსგავსი რამ პირველად არ მომხდარა: სულ პირველი დაპირისპირებაც, 2006 წლის 23 სექტემბერს რომ გაიმართა და რუსთაველთა დამაჯერებელი გამარჯვებით (4:0) დასრულდა, იქაც მატჩის შემდეგ დიდი „საქმეების გარჩევები“ იყო; ეგ კი არა, „ბოროტი ენები“ იმასაც ირწმუნებოდნენ, რომ მუშტი-კრივის გარდა, „საქმეში“... ცივი იარაღიც იყო ჩართული. სამი წლის წინანდელი ამბავი არ გახმაურებულა, უბრალოდ, არც ერთ მხარეს არ აწყობდა და იმიტომ; აი, ახლა კი, ძალიან ბევრმა დაინახა, თუ როგორი გაგრძელება მოჰყვა თამაშის დროს ფეხბურთელთა შორის დაწყებულ ვნებათაღელვას. ყველაზე უცნაური კი, ალბათ, ის არის, რომ ასეთი რამეები მეორე წრის ფინიშისკენ ხდება; ანუ, ცოტა არ იყოს, უკვე ვშიშობთ კიდეც, თუ როგორი სიტუაცია იქნება ჩემპიონატის დასასრულის მოახლოებასთან...

## მოულოდნელი მოტივაცია

აი, ამას კი, ალბათ, ბევრი მართლაც ვერ წარმოიდგენდა! „ზესტაფონის“ ვერმოგებას ვგულისხმობთ, რის გამოც **გია გეგუჩაძის** გუნდმა სატურნირო მდგომარეობა გაირთულა. რა თქმა უნდა, ცხინვალის „სპარტაკი“ ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი და ეს ამ სეზონში საკუთარ თავზე გამოსცადა „ოლიმპმაც“ და „დინამომაც“; თუმცა, თავისთვის უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული სათასო მატჩის წინ, უმრავლესობის აზრით, „სპარტაკი“ მეტოქეს დიდად არ გაუძალიანდებოდა. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ვლადიმერ ხაჩიძეს ამ შეხვედრის წინ უამრავი საკადრო პრობლემაც დაუგროვდა და ძლიერ მეტოქესთან მატჩში, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოყვანა მოუხდა. აი, ეს იყო დრამატული მატჩი: ჯერ სტუმრები დაწინაურდნენ, მერე, ყველასათვის მოულოდნელად, მასპინძლებმა იძალეს და **ბაჩანა ცხადაძისა** და **გიორგი მანწკავას** ეფექტური გოლებით წინ გავიდნენ; მეორე ტაიმის შუაგულში კი, „ზესტაფონის“ საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკა გელაშვილმა** სამწუთიან ინტერვალში „დუბლი“ რომ შეასრულა, ყველას ყველაფერი გარკვეული ეგონა. თუმცა, „სპარტაკი“ მარცხს არ შეურიგდა და მატჩის მიწურულს სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შედეგად გამათანაბრებელი გოლიც გაიტანა! შეხვედრის დასრულებამდე ძალიან ცოტა დროღა რჩებოდა და „ზესტაფონის“ თავკაცმა გია გეგუჩაძემ სამივე ცვლილებით სცადა თამაშში გარდატეხის შეტანა. ეგ კი არა, მოედანზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ **რატი წინამძღვრიშვილიც** გამოჩნდა, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს და თავიანთთვის ესოდენ საპატიო ანგარიში შეინარჩუნეს. აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც: ამ შეხვედრამდე „ზესტაფონს“ სტუმრად ჩატარებული შვიდ მატჩში საკუთარ კარში მხოლოდ სამი გოლი ჰქონდა გაშვებული; ახლა კი იმდენივე... ერთ თამაშში მიიღო, ანუ, „ზესტაფონის“ მცველებისა თუ მეკარეების („დინამოსთან“ მატჩიც არ დაგვავიწყდეს) ბოლოდროინდელ ასპარეზობას, საიმედოს ნამდვილად ვერ დავარქმევთ...

## სამი და მეტი სიახლე

გასული ტურის კიდევ ერთი მოვლენა, საქართველოს ჩემპიონატში სამი ახალი ლეგიონერის გამოჩენა იყო: კამერუნელმა **ერიკ მბენემ** („სამტრედია“), ბრაზილიელმა **ანტონიო მოიზეს და სილვამ** („გაგრა“) და პორტუგალიელმა **ედნილსონმა** („დინამო“) პირველი აქაური მატჩები ჩაატარეს. რა თქმა უნდა, ერთი შეხვედრით ძნელია კონკრეტულ ფეხბურთელზე საერთო წარმოდგენა რომ შეგექმნას, მით უფრო, რომ სამივე ლეგიონერს, ალბათ, გარკვეული დროც დასჭირდება აქაურობასთან შესაგუებლად. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამივე დებიუტანტი ერთი ამპლუის ფეხბურთელია და მოედნის ცენტრში ასპარეზობს; ამათგან, ედნილსონი ბევრად გამოცდილია და იმავე მბენესა და მოიზესთან შედარებით აშკარად შთამბეჭდავი კარიერაც აქვს; კიდევ ვიმეორებთ, რომ ძალიან ძნელი იყო იმავე ედნილსონისათვის სადებიუტო შეხვედრაში რაღაც „ზღაპრული“ შემოეთავაზებინა (მით უფრო, „საყრდენისთვის), ბოლობოლო, ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდში მისი წარდგენა მატჩის წინა დღეს მოხდა. აზროვნება რომ არ დაეწუნება, ფაქტია; ისიც თვალში საცემი იყო, რომ მაქსიმალურად ცდილობდა „ერთი შეხედვით“ თამაშს, ოღონდ, აი, სისწრაფის რა მოგახსენოთ და ამ კომპონენტში რომ მოიკოჭლებს, იმის გამოც დაიმსახურა გაფრთხილება: მატჩის არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** „დინამოს“ პორტუგალიელ ლეგიონერს ყვითელი ბარათი სამართლიანად უჩვენა. **კახა კაჭარავას** გუნდში იმ დღეს სხვა სიახლეც იყო: კარს **გიორგი სომხიშვილი** იცავდა, მარჯვენა მცველის ფუნქციას **გიორგი გეთიაშვილი** ასრულებდა და ასე შემდეგ. ერთი მხრივ, ასეთი ამბები აღარც გვიკვირს - სეზონის დაწყებიდან დღემდე „დინამოს“ უამრავი საკადრო პრობლემა დაუგროვდა და აგვისტოში, ვისაც ძირითადის ფეხბურთელად მოვიაზრებდით, იმათგან დღესდღეობით მხოლოდ სამი-ოთხილა ასპარეზობს. სხვათა შორის, აუცილებლად უნდა ვთქვათ ამ მატჩის შინაარსზეც: წაგების მიუხედავად, „ბაიამ“ საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა; ეგ კი არა, **ბესიკ შეროზიას** გუნდის თამაშის ხარისხი და... სატურნირო ცხრილში „ბაიას“ ადგილი, აბსოლუტურად განსხვავებული ცნებაა. ანუ, ზუგდიდური გუნდი აშკარად უფრო მეტს იმსახურებს და ეს ყველაფერი „დინამოსთან“ შეხვედრაშიც გამოჩნდა (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში). მასპინძელთათვის კი, ალბათ, მეორე თუ მესამეხარისხოვანი იყო თამაშის ხარისხი - უმთავრესი მიზანი (სამი ქულის მოპოვება) უნდა შესრულებულიყო, თორემ პირველ სამეულს იმდენად ჩამორჩებოდნენ, მესამე და მეოთხე წრეში ალმოფხვრა რომ გაუჭირდებოდათ.

## მოფერიანებული აუტსაიდერები

„ლოკომოტივიც“ გვაოცებს და „სიონიც“, ოღონდ, ამ შემთხვევაში აშკარად განსხვავებული სიტუაციაა: **გელა სანაიას** გუნდი უკვე არწაგებებს დაეჩვია და „გუშინ თუ გუშინწინ“ ყველას წყალწაღებულ აუტსაიდერად რომ მიგვაჩნდა, დღესდღეობით საქმე აშკარად სხვაგვარად არის. არადა, სწორედ ქულების მოპოვებამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა თამაშს - ამ შემთხვევაში ხომ ფსიქოლოგიური წნეხიც იხსნება და, რაც მთავარია, მოთამაშეებიც უფრო თავდაჯერებულნი არიან. ბოლნისში სტუმრად მოპოვებული ქულა მთელი გუნდის დამსახურებაა, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ **მაქსიმე ქვილითაიას** დამაჯერებელი თამაში, ვინც უკვე მერამდენე „მშრალი“ მატჩი ჩაატარა. საერთოდაც, „ლოკომოტივი“ ცხრილში ბოლო ადგილზე კი იმყოფება, მაგრამ გაშვებულ გოლებში ლიგაში... მეხუთე მაჩვენებელი აქვს! აი, „სიონის“ წარუმატებლობათა სერია კი გრძელდება - ზედიზედ მეხუთე მატჩია, ბოლნისური კლუბი მოუგებლად ასპარეზობს და ამ ხნის განმავლობაში... მეტოქეთა კარში გოლიც არ გაუტანია! იმედი დავიტოვოთ, რომ დარჩენილ ორ ტურში **გიორგი ყიფშიძის** გუნდი მდგომარეობას გამოასწორებს; მით უფრო რომ „სიონს“ ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, აშკარად უკეთეს ადგილზე იმყოფებოდეს...

დაბოლოს, ტურის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დაპირისპირებაზეც გლდანში, „ამერის“ სტადიონზე მისულმა ათასამდე ქომაგმა ნამდვილად არ ინანა „გაგრამ“ და „სამტრედიამ“ გულშემატკივრებს „გახსნილი ფეხბურთი“ შესთავაზეს და მთელი მატჩის განმავლობაში მომენტი მომენტს ცვლიდა. ჯერ სტუმრები დომინირებდნენ და ლოგიკურიც იყო, გოლი რომ გაიტანეს; მერე მასპინძლები გააქტიურდნენ და **ირაკლი შენგელიას** კარსაც არაერთხელ დაემუქრნენ. ხარიხა, ძელი, ისევ ხარიხა - „სამტრედიას“ კარი თითქოს მოჯადოებული იყო. პლუს ამას სტუმართა მეკარეც საიმედოდ თამაშობდა; თუმცა, მასპინძლებს გარჯა-აქტიურობა დაუფასდათ და შეხვედრის მიწურულს ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. ამ მატჩის ორ გამორჩეულ ფეხბურთელზე - **შალვა ფირცხალავას** („სამტრედია“) და **თორნიკე ოქრიაშვილზე** („გაგრა“) კი „ლელოს“ წინა ნომერშიც ვწერდით...

**გია ტუხაშვილი**

## XVI ტურის სიმბოლური ნაკრები

მწვრთნელი: თემურ მახარაძე (4) ოლიმპი






ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დინამოს ახალწვეულმა ედნილსონმა სადებიუტო შეხვედრაში ლაშა სილაგავასგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17 ინტერვიუ დათი ხოჭოლავასთან

# იტალია მერჩივნა, მაგრამ სპარტაკი რეალური იყო

**დათი ხოჭოლავა** ერთ-ერთი იმათგანია, ვინც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდში თამაშის უფლება მოუპოვა. პალანგის ტურნირზე მან გიორგი ჭანტურიას არყოფნაში ლიდერის ტვირთი აიღო, რამაც ჩვენი გუნდის წარმატება დიდად განაპირობა კიდეც. ნიჭიერი თავდამსხმელი ახლახან მოსკოვის „სპარტაკში“ გასინჯეს...

**- დათი, მოდი, გავიხსენოთ შოტლანდიაში გამართული შესარჩევი ციკლის მატჩები...**

- ურთულესი ტურნირი იმ ქვეყნის ნაკრების სახელით მოვიგეთ, რომელიც ყველგან ყველაფერს აგებს. ამიტომ ძალიან დიდი განცდა გვქონდა იმისი, თუ როგორ გაიხარებდა ხალხი ამ წარმატებით. საქართველოს 17-წლამდელები ელიტრაუნდში შარშანაც გავიდნენ, მაგრამ მხოლოდ მეტი გატანილი ბურთის ხარჯზე. ჩვენ კი ორი მოგება დაგვიგროვდა და სხვებზე არ ვიყავით დამოკიდებულნი, პირდაპირ გავედით. ანუ ჩვენი თამაშით დავამტკიცეთ, რომ ელიტრაუნდში თამაშის ღირსნი ვიყავით.

**- წარუმატებელი ნაკრები ახსენე - ეს გულშემატკივართა განწყობაზეც ახდენს გავლენას და მით უფრო - ფეხბურთელებზე. ამის გამო, შოტლანდიასთან, პორტუგალიასა და კვიპროსთან საქართველოს შანსების ბევრს დიდად არ სჯეროდა...**

- ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მჯეროდა, რომ გავიდოდით. შეუძლებელია, გიორგი დევდარიანის გუნდში უიმედოდ ითამაშო. თუმცა იოლი გამარჯვებები არ მოგვიპოვებია, სამივე მეტოქესთან ძალიან გაგვიჭირდა. შოტლანდიასთან სტუმრად თამაში ისედაც რთულია, მით უმეტეს - მოგება. თუმცა ყველაზე მძიმე თამაში მაინც პორტუგალიასთან გვქონდა. ფაქტობრივად, მოედანზე ბრმად გავედით, მათზე არანაირი ინფორმაცია არ გვქონია, არ ვიცოდით, რა ფეხბურთს თამაშობდნენ, როგორ უტევდნენ, როგორ იცავდნენ თავს და ასე შემდეგ. არადა, მეტოქის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, შოტლანდიას რომ მოვუგეთ, იმის დამსახურებაცაა, დევდარიანმა მათი თამაში რომ ნახა - კარგად გააანალიზა ამ გუნდის პლუს-მინუსები და კონტრთამაში დაუპირისპირა. იმავეს ვიტყვი კვიპროსის შემთხვევაში. ჩვენ რომ მათზე წარმოდგენა არ გვქონოდა, არ ვიცი, შევძლებდით კი მოგებას? ბიჭებმაც კარგად დავინახეთ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები და ჩავკეტეთ, გასაქანი არ მივეცით. ასეა, მეტოქის ცოდნა ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- რამდენადაც შოტლანდიაში ნაკრებმა გვასახელა, იმდენად სამარცხვინო იყო გუნდის ეკიპირებასთან დაკავშირებული პრობლემები...**

- სამარცხვინო იყო, აბა, რა?! მე პირადად, დაკერებულნომრიანი მაისურით ვთამაშობდი. ბოლოს ისე კარგად ვაკერებდით ნომრებს, მგონი, ამ საქმის პროფესიონალებიც გავხდით.

**- ალბათ, ასეთ ფორმას საქართველოში არ ითაკილებ, მაგრამ უცხოეთში ქვეყანას წარმოადგენ და უხერხულია უბრალოდ...**

- მაგარი სირცხვილი იყო, თავიდან ეკიპირება საერთოდ არ გაგვაჩნდა და ვისაც რა გვქონდა, იმით დავდიოდით: ჭანტურია „ბარსელონას“ მაისურით, მე „საბურთალოსი“ და ასე შემდეგ. ბოლოს ფორმები დაგვირიგეს, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ერთნაირი იყო - ფორმებიც, ქურთუკებიც, ჩანთებიც... ამას ჩვენთან რამენაირად ავიტანთ, მაგრამ უცხოეთში მართლა ძალიან უხერხულია, ხალხი ამას ვერ გაიგებს...

**- ასეთი პირობებით რომ აჯობეთ გაცილებით მდიდარ შოტლანდიელებსა და კვიპროსელებს, ჩვენ სწორედ ეს გვიკვირს...**

- კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ. გასაგებია, რომ კარგი პირობები აქვთ და ჩვენზე მდიდრულად იმოსებიან, მაგრამ ნიჭს ვერ შეიძენ. ჩვენ კი ყველას ვჯობდით, პორტუგალიასაც კი და არანაირი შიში და მოკრძალება არ გვქონია. სხვათა შორის, ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ ფიზიკურ მომზადებაში არავის ჩამოვრჩით. ეს იმიტომ, რომ დევდარიანმა კარგად მოგვამზადა.

**- შენს კარიერაზე ვილაპარაკოთ. „საბურთალოს“ ფეხბურთელს „უდინეზე“ და მოსკოვის „სპარტაკი“ გიწვევდნენ. საბოლოოდ, მაინც რუსეთში ნახვედი გასასინჯად...**


დათი ხოჭოლავა

- სიმართლე გითხრათ, თავიდან რუსეთის გაგონებაც არ მსურდა. ყველამ ვიცით, რომ ძალიან მდიდარი ლიგაა, დიდ თანხებს იხდიან, მაგრამ რუსეთში წასვლის შემდეგ ბევრ ქართველს კარიერა აერია. ალბათ, ისეთი პროფესიონალიზმი და საფეხბურთო მენტალიტეტი არ გააჩნიათ, როგორც იტალიელებს, ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს... ამიტომ, მეც ევროპისკენ მიმიწევდა გული. იყო კიდეც იმედი. ფეხბურთის თამაში თუ გინდა, სად იტალია და სად რუსეთი?! მე კი ფულზე დახარბებული არ ვარ. მირჩევნია, ჯერ სახელისთვის ვითამაშო და ფული მერე თავისთავად გამოჩნდება. თუმცა მაინც რუსეთში წავედი...

**- რატომ? იტალიური ვარიანტი გამოირიცხა?**

- არ მინდოდა, მაგრამ რეალური სხვა არაფერი იყო. ევროკავშირში ქართველებს ბევრი პრობლემა გვექმნება. იტალიელებმა, ჯერ 18 წლის უნდა გახდე, ვიზის მიღება თუ გსურსო... მოკლედ, „სპარტაკი“ დაინტერესებული იყო და რთული სავიზო რეჟიმის მიუხედავად, საბუთები ძალიან სწრაფად გაგვიკეთა, შესაბამისად, მოსკოვში უპრობლემოდ ჩავედით. რუსებს არანაირი პირობები არ წამოუყენებიათ და ასარჩევიც არაფერი იყო. არადა, ევროპაში მსურდა გადასვლა...

**- ერთი კვირის წინ მოსკოვიდან დაბრუნდი, სადაც „სპარტაკში“ ლევან კოშაძესთან, არჩილ ტვილდიანსა და ვაკო ყაზაიშვილთან ერთად გაგსინჯეს. ჯერ უცნობია, აპირებენ თუ არა კონტრაქტის გაფორმებას?**

- ეს ჯერ ჩვენც არ ვიცით, რადგან მენეჯერის პასუხს ველოდებით. ის ამჟამად ბარსელონაში იმყოფება. მას მოსკოვის „სპარტაკთან“ საკმაოდ კარგი ურთიერთობა აკავშირებს და მალე ყველაფერი გვეცოდინება.

**- შენი აზრით, „სპარტაკში“ მოხვედრა გაგიჭირდათ?**

- არანაირად არ გაგვჭირვებია, მათ არაფერში ჩამოვრჩებოდით, თუ არ ალვემატებოდით...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ


რევაზ ჩელებაძე

## რევაზ ჩელებაძე

# პოსტსაბჭოურ ფეხბურთში ეს პირველი შემთხვევაა...

## სმოლენცევმა დამიდასტურა, ლაპორტას ანანიძის თაობაზე ვხვდებიო

**წინა ნომერში** გაცნობეთ, ჩვენმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა, ფორვარდმა საბა ცინცქილაძემ და ნახევარმცველმა ირაკლი კომახიძემ (12-12 წლისანი არიან) რევაზ ჩელებაძის მეშვეობით „ბარსელონაში“ კიდევ ერთი ტესტირება რომ გაიარეს და კატალონიური გრანდის მესვეურთა მოწონებაც დაიმსახურეს. ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩელებაძეს შევხვდით და ვიზიტზე უფრო დეტალურად ჩავეძიეთ...

- საბა ცინცქილაძე და ირაკლი კომახიძე ჯერ კიდევ ზაფხულში ჩავიყვანე სინჯებზე. მაშინ ანდორაში ვიყავით, სადაც „ბარსელონას“ ინიციატივით 60 ტალანტი იყო ტესტირებაზე, მათ შორის, ცინცქილაძე და კომახიძეც. ანდორაში ხუან მარტინეს ველასკესას სტუმრები ვიყავით. მას თვით დი სტეფანოს მხარდამხარ უთამაშია. „ბარსელონაში“ მისი აღზრდილები არიან ჩავი, ინიესტა, კარლეს პუიოლი, კრკიჩი და სხვები. ირაკლიმ და საბამ მოწონება დაიმსახურეს. ანდორაში გამართულ ტესტმატჩებში ცინცქილაძემ 10, კომახიძემ კი 7 გოლი გაიტანეს. გოლებს თავი რომ დავანებოთ, ორივე ზოგადადაც კარგად წარმოჩნდა და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ნოემბრის მიწურულს „ბარსელონა“ დაგვპატიჟებდა. ეს დროც დადგა და კატალონიაში ჩავედით... და ჩავედით ერთი გამორჩეული პიროვნების დახმარებით, რომელიც ბარსელონაში ცხოვრობს...

**- არ გაგვიმხელთ ამ პიროვნების ვინაობას?**

- საქართველოდან წასული ებრაელი, ახლა კი ისრაელში მცხოვრები ბადრი სეფიაშვილი ჩემი თანაკლასელი და მეგობარია. ბარსელონაში მისი მეგობარი ნოდარ თეთრუაშვილი დაგვხვდა. აქვე მინდა, მას დიდი მადლობა გადავუხადო თანადგომისა და მხარდაჭერისთვის... სამი დღის განმავლობაში ბიჭები მხოლოდ ავარჯიშეს, მეოთხე დღეს კი საკონტროლო მატჩები ათამაშეს. ანდორისგან განსხვავებით, ამჯერად ორივე ერთ გუნდში, თითო ტაიმი ათამაშეს. პირველი მატჩი 4:0 მოიგეს, ჩვენებმა ორ გოლში მიიღეს მონაწილეობა, ცინცქილაძემ ერთი გაიტანა, კომახიძემ კი საგოლე პასი გააკეთა. საღამოს მეორე საკონტროლო მატჩში კიდევ თითო ტაიმი ათამაშეს. ის შეხვედრა 1:0 დამთავრდა და გოლი ცინცქილაძემ შეაგდო. ამ ტესტმატჩებში ბავშვებს 8-9 სპეციალისტი თუ სკაუტი აკვირდებოდა. მატჩის შემდეგ დაგვიძახეს და გვითხრეს - გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ორივე „ბარსელონაში“ დავტოვოთო, სეზონის დასრულების შემდეგ, ივნის-ივლისში მოგიწვევთ და უკვე საკონტრაქტო პირობებზეც დავილაპარაკოთო. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ისეთმა ევროგრანდმა, როგორიც „ბარსელონაა“, ორი პატარა ქართველი ფეხბურთელის აყვანის საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

**- ალბათ გარკვეული როლი გიორგი ჭანტურიას ფაქტორმაც ითამაშა...**

- დიახ, ჭანტურია ერთადერთი ქართველია „ბარსელონაში“ და სწორედ ამ ფაქტორმა გამაბედინა, რომ ამ ორი პატარა ფეხბურთელის ტრანსფერზე „ბარსელონასთან“ მისასვლელი გზები მეძებნა... გიორგი ჭანტურია იქ ვნახეთ, ქომაგობდა საბასა და ირაკლის, მწვრთნელებს უთხრა, ჩემსავით ნიჭიერები არიანო... გიორგიმ ჩვენი ბიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე რომ გაიგო, გვითხრა - საბასა და ირაკლის ზაფხულიდან აქ მე ვუპატრონებო.

**- რა ხანგრძლივობის კონტრაქტზე იქნება ლაპარაკი?**

- გაივლიან ბიჭები სამედიცინო, ფუნქციონალურ და სხვა სახის შემოწმებას და აგვისტოდან უკვე ახალ გუნდში დაიწყებენ მზადებას. „ბარსელონას“ ეს ბიჭები ოჯახებიანად მიჰყავს და დაიტოვებს მანამ, ვიდრე სრულწლოვანები არ გახდებიან. მერე კი უკვე პროფესიულ კონტრაქტზე იქნება ლაპარაკი... ირაკლი კომახიძის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში მამამისის, ყოფილი ფეხბურთელის გია კომახიძის გარდა, ჯანო ანანიძის მწვრთნელებმა - მერაბ მჟავანაძემ და მერაბ გოგიტიძემ შეიტანეს თავთავიანთი წვლილი. ცინცქილაძე „ლუკას“ აღზრდილია, დღეს „ადელშია“, ალექსანდრე კანტიძის გუნდში...

**- ბარსელონამდე მოსკოვის „სპარტაკში“ 4 ქართველი ჭაბუკი წაიყვანეთ...**

- დიახ, „საბურთალოსთან“ შეთანხმებით ტვილდიანი, კოშაძე, ყაზაიშვილი და ხოჭოლავა მოსკოვის „სპარტაკში“ წავიყვანე. კახა ჭუმბურიძეც ჩვენთან ერთად იყო. ბიჭებმა მოწონება დაიმსახურეს, მათი ტრანსფერების საკითხიც გადაწყვეტილია. დეკემბერში თბილისში ალბათ „სპარტაკის“ სპორტული დირექტორი, კლუბის პრეზიდენტ ლეონიდ ფედუნის მარჯვენა ხელი ევგენი სმოლენცევი ჩამოვა და კონტრაქტებიც აქ გაფორმდება.

**- როგორც გავიგეთ, და „ლელო“ უკვე წერდა ამაზე, „სპარტაკის“ თავკაცი ანანიძის თაობაზე „ბარსელონას“ პრეზიდენტ ლაპორტას უნდა შეხვდეს. ეს ჯანოს მამამაც დაგვიდასტურა. თქვენ რა იცით ამის თაობაზე?**

- სმოლენცევს ტელეფონით ვესაუბრე. პირდაპირ ვკითხე - ჯანოს გარშემო ინტერესი დიდია და მითხარი, რა ხდება-მეთქი. მოკლედ მომიჭრა - კვირას ბარსელონაში მივფრინავ და ანანიძის თაობაზე ლაპორტას ვხვდები, დანარჩენს მერე გაიგებო... მხოლოდ ეს მითხრა. თუ დამიჯერებთ, მეტი არაფერი ვიცი. დაბრუნდება სმოლენცევი და ყველაფერს გავიგებთ.

**- ეს ვიზიტი ჯანოს ტრანსფერის წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ? „სპარტაკის“ ბოსებმა ხომ განაცხადეს - ანანიძეს კიდევ 3-4 წელი არ გავყიდითო...**

- იცით, რაშია საქმე? „სპარტაკს“ უკვე რამდენიმე გრანდი დაუკავშირდა და ხომ ფაქტია, რომ თავად წავიდა „ბარსასთან“ მოლაპარაკებებზე. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ტრანსფერი ამ ზამთარშივე შედგება. შესაძლოა, კლუბებმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიონ იმაზე, რომ „სპარტაკი“ ანანიძეს „ბარსელონას“ გარდა სხვა კლუბში არ გაუშვებს... ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ანანიძე მინიმუმ ერთი სეზონი მაინც უნდა დარჩეს რუსეთში, რათა ფიზიკური კონდიციები გაიუმჯობესოს, ჯანოს მეტი ჯანი სჭირდება, მერე უკვე სრულყოფილი ფეხბურთელი იქნება...

**დავით ცაბაძე**

ლეგიონის უქმეები

# ორი მეკარის დებიუტი

## ნალჩიკში ქართულად დასრულდა



გიორგი მაკარიძე



თეიმურაზ შარაშენიძე



დავით დევდარიანი



დიმიტრი ტატანაშვილი

**1994 წლის შემდეგ პირველად,** საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონი ქართველმა დააგემოვნა - გია გურულისგან 15-წლიანი შესვენების შემდეგ ესტაფეტა 19 წლის გოლკიპერმა გიორგი მაკარიძემ გადაიბარა. მან პირველად მოირგო „ლე მანის" მაისური საფრანგეთის ჩემპიონატში. კარში ქართველმა ყოფილი დინამოელი დიდიე ოვონო შეცვალა. „ლე მანისა" და „სენტ ეტიენის" მატჩი 1:1 დასრულდა. მაკარიძის დებიუტი თავსხმა წვიმაში შედგა, მე-18 წუთზე მის კარში გოლი მარჯვენა მცველ კორჩიას შეცდომის წყალობით გავიდა, „სენტ ეტიენის" ფორვარდი ილანი მაკარიძეს მარტოდმარტო შეატოვეს.

### ჯანოს ორი ვერცხლი

გუშინ დასრულდა რუსული პრემიერლიგის გათამაშება და მასთან ერთად საფეხბურთო სეზონიც. წლეულს რუსეთში მოთამაშე ქართული ლეგიონით კმაყოფილი უნდა ვიყოთ - ჩვენებურები **ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია** და **ნუკრი რევიშვილი** კვლავ ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ „რუბინის" რიგებში. „სპარტაკის" შემადგენლობაში გაიბრწყინა 17 წლის **ჯანო ანანიძემ,** რომელმაც საყოველთაო აღიარებასთან ერთად ვერცხლის მედალიც მოიპოვა, დიდი ჩავარდნის შემდეგ მაღალ დონეზე თამაშს დაუბრუნდა **მალხაზ ასათიანი,** რომელიც სულ ბოლოს ველარ შენვდა ბრინჯაოს მედლებს, გავარდნა აიცილა თავიდან ნალჩიკის „სპარტაკმა", სადაც მთელი სეზონი მაღალ დონეზე ითამაშა **ალექსანდრე ამისულაშვილმა,** ბოლოს კი - **დავით სირაძემაც,** პრემიერლიგის საგზური კი ქართველებით „დახუნძლულმა" „ანჟიმ" მოიპოვა, რომელსაც **ომარ თეთრაძე** წვრთნის.

გუშინ, წლევანდელ სეზონში „რუბინში" დებიუტი ჰქონდა 22 წლის გოლკიპერ ნუკრი რევიშვილს. ჩემპიონი გავარდნილ „ყუბანს" მეორე შემადგენლობით ესტუმრა (ლაშა სალუქვაძე სათადარიგო იყო). ნუკრიმ ჩემპიონატში ბოლოს 2007 წელს ითამაშა (2 თამაში), შარშანდელ სეზონში კი წუთითაც არ უთამაშია. ნუკრის დებიუტი ბრწყინვალე გამოუვიდა, ის დამაჯერებლად მოქმედებდა, ორჯერ კი აშკარა გოლისგან იხსნა მეორე ტაიმში გუნდი. ერთხელ **შევჩენკომ** ოდნავ წინ გამოსულ ქართველს თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ რევიშვილმა ნახტომში შეძლო გუნდის გადარჩენა, „რუბინმა" 3:0 მოიგო. „ჩემპიონატმა" ჩვენს თანამემამულეს 6 ბალი დაუწერა. „რუბინმა" 63 ქულით პირველ ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი და ანანიძის „სპარტაკს" საბოლოოდ 8 ქულით გაუსწრო.

„სპარტაკმა" სანკტ პეტერბურგში ჯანოს გარეშე ითამაშა და 1:2 დათმო. ქართველმა თინეიჯერმა წინა დღით დუბლების მატჩში ითამაშა... რადგან იმ მატჩს მეტი მნიშვნელობა ჰქონდა - „სპარტაკის" დუბლები „ზენიტისას" სამი ქულით ჩამორჩებოდნენ. სანკტ პეტერბურგის „კომსომოლსკაია პრავდა" წერს, რომ „ზენიტის" ფანები, რომელთაც ბოლომდე შეავსეს 3-ათასიანი ტრიბუნა, „სპარტაკის" ფეხბურთელებს გამუდმებით აყენებდნენ შეურაცხყოფას, განსაკუთრებით კი მათი სამიზნე ანანიძე ყოფილა. მოსკოველები ოქროს ვერც აქ შეწვდნენ, „ზენიტმა" 1:0 მოიგო, ანანიძემ კი 90 წუთი ითამაშა. დუბლების ჩემპიონატში ანანიძემ 19 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა" სტუმრად აუტსაიდერ „ხიმკის" მოუგო, თუმცა მხოლოდ მე-4 ადგილს და ევროპის ლიგის საგზურს შესწვდა - 3:1. მალხაზ ასათიანმა 90 წუთი ითამაშა, ჩვენს თანამემამულეს ერთხელ ხელზე მოხვდა ბურთი საჯარიმოში, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. **დავით მუჯირს** არ უთამაშია. „ჩემპიონატმა" მალხაზს 5,5 ბალი დაუწერა. „ლოკომოტივმა" 54 ქულით დაასრულა ჩემპიონატი.

ნალჩიკში სამმა ქართველმა ითამაშა და ორი ქართული გოლი გავიდა. „სპარტაკმა" 4:2 მოუგო „ტერეკს", 35 ქულა მოაგროვა და ჩემპიონატი მე-11 ადგილზე დაამთავრა. გროზნოელები 33 ქულით მე-12 ადგილს დასჯერდნენ. 38-ე წუთზე ჩაწოდების შემდეგ **ალექსანდრე ამისულაშვილმა** მასპინძელთა მეორე გოლი გაიტანა, 56-ე წუთზე კი **დავით სირაძემ** შეაგდო. ამისულაშვილმა და სირაძემ სეზონი 3-3 გოლით დაასრულეს. ქართველი ფორვარდი 73-ე წუთზე შეცვალეს. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლევან გვაზავამ.** კვლავ არსად ჩანს **გოგიტა გოგუა.**

### ტოპი: მალე შეიტყობთ!

**ლევან მჭედლიძე** გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ემზადებოდა „კიევოსთან" მატჩისთვის, მაგრამ „პალერმოს" ახალმა თავკაცმა **დელიო როსიმ** ის განაცხადში არ შეიყვანა. სიცილიელებმა სტუმრად 0:1 დათმეს. სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მოედანს უნდა დაბრუნებოდა **ზურაბ ხიზანიშვილი.** ქართველი „ნიუკასლი"-„სუონსის" მატჩის განაცხადშიც ვიხილეთ, ოღონდ, ზურა სათადარიგოთა სკამს არ გასცილებია. „ნიუკასლმა" 3:0 იმარჯვა და 39 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

ბუნდესლიგის მორიგმა ტურმა კვლავ უქართველოდ ჩაიარა. „შალკეს" ტრავმირებული **ლევან ყენია** და მწვრთნელისგან ათვალწუნებული **ლევან კობიაშვილი** აკლდნენ. „შალკე" სტუმრად 0:1 დამარცხდა მიონხენგლადბახში. ქართველთა გუნდი 25 ქულით მესამე ადგილზეა. მეორე ბუნდესლიგაში **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა" შინ 2:2 ითამაშა „ფორტუნასთან". მათემ 90 წუთი ითამაშა ცენტრალური მცველის პოზიციაზე. „მიუნხენი" 15 ქულით მე-15 ადგილზეა. „შპორტალმა" მათეს 3,5 ბალი დაუწერა.

გერმანიის თემას სანამ გავცდებით, ვიტყვით, რომ ბუნდესლიგის ოფიციალურ საიტს საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **კლაუს ტოპმიოლერმა** ინტერვიუში განუცხადა, რომ მალე ის ერთ-ერთ ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს და ამის შესახებ ჯერ კიდევ საშობაო არდადეგებამდე გამოაცხადებს. კითხვაზე იქნება თუ არა ეს პოლონეთის ნაკრები (ტოპი ამას წინათ პოლონეთში იმყოფებოდა) 58 წლის სპეციალისტმა განაცხადა, რომ მისი მომავალი გუნდი გაცილებით მსხვილი კალიბრისაა, ვიდრე პოლონეთის ნაკრები.

### გაიცანით, შარაშენიძე

ავსტრიის ბუნდესლიგაში ერთ-ერთ აუტსაიდერ ლასკ-თან სტუმრად მატჩში ქულები დაკარგა „შტურმმა" - 2:2. სტუმართა გუნდში, ტრადიციულად (ეს ტრადიცია სეზონში მხოლოდ ერთხელ დაირღვა), 90 წუთი ითამაშა **ილია კანდელაკმა.** გრაცელები 28 ქულით მე-4 ადგილზე არიან.

ცუდად მისდის საქმეები **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნოს", 11 ქულით ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა კლუბმა სტუმრად „პრჟიბრამთან" 2:3 წააგო. დიმიტრი მე-60 წუთზე შეცვალეს, სტუმართა პირველი გოლი მისი წამოწყებული კომბინაციით გავიდა. სლოვაკეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ჟილინამ" კვლავ **გიორგი ციმაკურიძის** გარეშე ითამაშა და 2:0 მოუგო „პეტრჟალკას". გიორგის ტრავმა არ აქვს, რადგან მან ამასწინათ პოლონურ კლუბთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა. „რუჟომბეროკმა" სტუმრად 1:3 წააგო ტრნავის „სპარტაკთან", დამარცხებულთა რიგებში **მამუკა ლომიძე** არ გამოჩენილა. „ჟილინა" 41 ქულით პირველია, „რუჟემბეროკი" 20 ქულით - მეცხრე.

უნგრეთში ლიგის თასის მატჩები გაიმართა, „დიორი ეტომ" სტუმრად 3:0 გაანადგურა „ლომბარდ პაპას". **რატი ალექსიძე** მეორე ტაიმში შეცვალეს, მეორე ტაიმში მოედანზე ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი **თეიმურაზ შარაშენიძე** ვიხილეთ, რომელმაც 84-ე წუთზე თავის სადებიუტო მატჩში პირველი გოლი გაიტანა. შარაშენიძე აქამდე „ეტოს" 1991 წელს დაბადებულთა გუნდში თამაშობდა.

ისრაელში ჩემპიონატის ლიდერი ჰაიფას „მაქაბი" დღეს ეწვევა თელ ავივის „მაქაბის". **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელმა" კი სტუმრად 1:0 მოუგო „ბნეი იეჰუდას". ქართველი ლეგიონერი მოედანზე 67-ე წუთზე გამოჩნდა.

საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა" სტუმრად 2:0 მოუგო „ირაკლისს". ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „ერგოტელისი" 17 ქულით მე-6 ადგილზეა. **ექტორ კუპერის** „არისმა" 90-ე წუთზე გაუშვა ხელიდან გამარჯვება „პანიონიოსთან" მატჩში - 1:1. საქართველოს ნაკრების ექსთავკაცს ჯერჯერობით „არისში" არ მოუგია.

სერბეთში **მიხეილ ხუციშვილის** „ვოივოდინა" „რადთან" 0:1 დამარცხდა, ქართველს არ უთამაშია, ნოვისადელები 24 ქულით მესამე ადგილზე არიან.

### დევდარიანი: ორჰუსთან კიდევ ორი წლით

**დავით დევდარიანის** „ორჰუსმა" შინ 1:0 მოუგო „ბრონდბიუს". ქართველი შემტევი ნახევარმცველი 83-ე წუთზე შეცვალეს. ორი დღის წინ მან კიდევ 2 წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი დანიურ კლუბთან. ახლა დევდარიანს „ორჰუსთან" ხელშეკრულება 2013 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში ჩვენებურმა ასეთი რამ თქვა: *„აქ ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. „ორჰუსში" ყველა პირობაა იმისთვის, რომ უკეთესი ფეხბურთელი გავხდე. დანიაში ყველაფერი მაკმაყოფილებს".*

„ბრონდბიუსთან" მატჩში ჩვენებური მონადინებული იყო, კონტრაქტის გაგრძელება გოლით აღენიშნა, ორჯერ ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ ვერ იყოჩაღა. „ორჰუსი" 26 ქულით მე-6 ადგილზეა.

### ბებერი ხარი შახტართან ვერას გახდა

უკრაინის ვიშალიგაში მე-15 ტურის მატჩები გაიმართა. **სანდრო გურულის** „კარპატი" შინ 2:2 დაუზავდა „ილიჩივეცს". სანდრო 67-ე წუთზე შევიდა და 6 წუთში **დენის კოჟანოვს** საგოლე პასი მისცა. **ვასილ გიგიაძის** „ტავრია" დონეცკში ვერას გახდა „შახტართან" - 0:3. 36-ე წუთზე ვეტერან ქართველს შესანიშნავი მომენტი შეექმნა, მეკარე **პიატოვთან** ერთი-ერთზე გასულმა გიგიაძემ გოლკიპერს გაარტყა. ქართველი ფორვარდი 79-ე წუთზე შეცვალეს. კიევის „დინამოსთან" თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ფორვარდ **ირაკლი მოდებაძეს,** რომელიც სათადარიგო იყო. უკრაინაში კიდევ რამდენიმე ქართველი ლეგიონერია (**ჯაბა კანკავა, სანდრო კობახიძე, ლაშა ჯაკობია, ვახტანგ ფანცხავა**), მაგრამ ამ ტურში ისინი მატჩის განაცხადშიც ვერ მოხვდნენ. გიგიაძის „ტავრია" 23 ქულით მე-6 ადგილზეა, „კარპატი" 21 ქულით მეშვიდეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





იბრაჰიმოვიჩის დარტყმა და 1:0

# სუპერიბრას სუპერკლასიკო

სეზონის პირველი „ელ კლასიკოს" ბედი ამ სუპერდაპირისპირების დებიუტანტმა გადაწყვიტა, ოღონდ ეს არც **კრიშტიანო რონალდო** იყო და არც კაკა - შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორი მილანის „ინტერისგან" შეძენილი შვედი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**. ახლად გამოჯანმრთელებულმა იბრაჰიმოვიჩმა 50-ე წუთზე **ტიერი ანრი** შეცვალა და ხუთ წუთზე ოდნავ მეტის გასვლის შემდეგ **დანი ალვეშის** ბრწყინვალე ჩაწოდება გამოიყენა და **იკერ კასილიასის** კარში ახლო მანძილიდან გაიტანა, როგორც შემდეგ ალმოჩნდა რიგით 159-ე „ელ კლასიკოს" მომგები გოლი. მაშ ასე, „ბარსელონამ" კიდევ ერთი მატჩით შეამცირა ჩამორჩენა, ანგარიში 68:61-ია „სამეფო კლუბის" სასარგებლოდ (30 ფრე)...

მართლები გამოდგნენ სპეციალისტები და ფეხბურთელები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ შარშანდელი უხვგოლიანი დაპირისპირება ალარ განმეორდებოდა, მით უფრო - 6:2. **მანუელ პელეგრინის** „რეალმა" ყველას დაანახვა, რომ გუნდმა დიდი პროგრესი განიცადა, მაგრამ... არა იმდენი, რომ „ბარსელონას" აჯობოს. ჯერაც წაუგებელმა ჩემპიონმა უშუალო კონკურენტის დამარცხებით კვლავ დაიბრუნა პირველი ადგილი პრიმერა დივიზიონში, ახლა სხვაობა „რეალYთან" ორი ქულაა.

თამაში „ბარსელონას" შეტევებით დაიწყო, მაგრამ მალე „რეალმა" ალლო აულო მასპინძელთა თამაშს და იყო დროის მონაკვეთი პირველ ტაიმში, როცა „რეალი" მეტოქეს სჯობდა კიდეც. გოლმა, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა, ყველაფერი შეცვალა, მასპინძელთა შუახაზმა ბურთის კონტროლი იგდო ხელთ, **ჩავის**, **ინიესტას** და, განსაკუთრებით, **მესის** სტუმრები ბურთს ველარ ართმევდნენ, შესანიშნავად მოქმედებდა დაცვის ცენტრი. „რეალს" ვერც **ბუსკეტსის** გაძევებამ უშველა, კრიშტიანო რონალდოს გაყვანამ კი მათი შანსები კიდევ უფრო შეამცირა. მატჩის ბოლოსკენ „რეალიც" ათი კაცით დარჩა, **ლასანა დიარამ** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

**მანუელ პელეგრინი** („რეალის" მწვრთნელი): *„მატჩის შედეგი არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. „რეალი" მეტს იმსახურებდა. „ბარსელონას" წინაალმდეგ მის მოედანზე თამაში ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ მართლაც კარგად ვითამაშეთ. არა მგონია, რომ იბრაჰიმოვიჩის გამოსვლამ მატჩის მიმდინარეობა შეცვალა. კი, მან გოლი გაიტანა, მაგრამ ეს უფრო შემთხვევითობა იყო, ვიდრე ლოგიკური შედეგი. ყველა მეკითხება, თუ რატომ შევცვალე ადრე კრიშტიანო რონალდო, პასუხი მარტივია - გუნდის ექიმებმა მითხრეს, რომ კრიშტიანო 60 წუთზე მეტი არ მეთამაშებინა, რადგან ის ბოლომდე გამოჯანმრთელებული ჯერ არ არის. მან კი მოედანზე 67 წუთი დაყო".*

**ჟოან ლაპორტა** („ბარსელონას" პრეზიდენტი): *„ბარსელონასა" და „რეალის" დაპირისპირებები დედამიწის ზურგზე საუკეთესო შოუა. დღეს ჩვენ ძალიან მაღალი ხარისხის ფეხბურთის მომსწრენი გავხდით, რომელშიც ჩვენმა გუნდმა სამართლიანად იმარჯვა. აქვე მინდა ალვნიშნო, რომ „რეალი" საუკეთესო გუნდია მათ შორის, რომელსაც „კამპ ნოუზე" ამ სეზონში უთამაშია. ცალკე გამოვყოფ პუიოლის თამაშს, ის უბრალოდ შესანიშნავი იყო".*

**იკერ კასილიასი** (რეალი): *„მიმაჩნია, რომ შედეგი უსამართლოა, ჩვენ ფრეს ვიმსახურებდით. „რეალმა" ბევრი მომენტი შექმნა მასპინძელთა კართან. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ სიზუსტე გვაკლდა. აი, „ბარსელონამ" კი იბრაჰიმოვიჩის დიდებული დარტყმით გაგვიტანა".*

### ვინ როგორ ითამაშა (GOAL.COM)

ბარსელონა

**ვალდესი - 7,5:** მატჩის პირველ ნახევარში ორჯერ დიდებულად ითამაშა. მთელი შეხვედრის განმავლობაში დამაჯერებელი იყო.

**დ. ალვეში - 8:** საგოლე პასის ავტორი. თავიდან ჩაწოდებებისას შეცდომებს უშვებდა, შემდეგ კი ფლანგზე გაილალა, როგორც შეტევებში, ასევე დაცვაში. მთელი შეხვედრა დაულლელად იმუშავა.

**პიკე - 7:** მართალია, ერთი-ორჯერ რონალდო მაინც დაუძვრა, მაგრამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ახალგაზრდა მცველი სავსებით იმსახურებს ძირითადში ადგილს.

**პუიოლი - 8,5:** დაულალავი, ბოლომდე მებრძოლი, კაპიტანმა სამჯერ ძალიან მნიშვნელოვანი დუელი მოიგო საჯარიმოში.

**აბიდალი - 7:** ფრანგი მცველი სოლიდურად გამოიყურებოდა, მხოლოდ ერთი-ორჯერ „ჩააგდო" ფლანგი.

**ბუსკეტსი - 4,5:** არ იყო საჭიროება „რეალის" კონტრშეტევისას ხელით ეთამაშა. მისი სულელური შეცდომა კინალამ ძვირად დაუჯდა „ბარსელონას". გვარდიოლა ბუსკეტსის მოქცევით ძალზე უკმაყოფილო დარჩა.

**კეიტა - 6,5:** მადრიდელები არ აძლევდნენ გასაქანს და თავისი შემტევი პოტენციალი ვერ გამოავლინა. ბუსკეტსის გაძევების შემდეგ შეცვალეს.

**ჩავი - 7:** ბურთის კონტროლი, მწვავე პასები. მოკლედ, ზუსტად ის ჩავი იყო, როგორსაც მივეჩვიეთ.

**მესი - 7,5:** თავიდან კარგად „ჩაკეტეს", მაგრამ მეორე ტაიმში არაერთხელ ალაფრთოვანა პუბლიკა დიდებული მოქმედებით.

**ინიესტა - 7,5:** მომენტებს ქმნიდა, თავადაც კარგად იხსნებოდა, მაგრამ მეტოქე დიდ სივრცეს და გასაქანს არ აძლევდა.

**ანრი - 6:** ვერაფერი მოუხერხა „რეალის" დაცვას და მწვრთნელმა დროულად შეცვალა.

**იბრაჰიმოვიჩი - 8:** მეტი რა უნდა შეძლოს შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელმა ასეთი დონის მატჩში? მხოლოდ გამარჯვების გოლის გატანაც საკმარისია, რომ ის მატჩის გმირად დავასახელოთ.

**ტურე - 6:** შემოვიდა დაცვის დასახმარებლად, მას შემდეგ, რაც ბუსკეტსი გააძევეს.

რეალი

**კასილიასი - 7:** ბოლოსკენ „რეალი" მეორე გოლისგან იხსნა, თუმცა ბარსელონელ კოლეგაზე ნაკლები საქმე ჰქონდა.

**ს. რამოსი - 7,5:** შეტევებში კარგად ერთვებოდა, მისი ფლანგიდან „ბარსელონამ" ბევრი ხიფათი ვერ შექმნა.

**პეპე - 7:** დაულალავად იშრომა მთელი მატჩის განმავლობაში.

**ალბიოლი - 6,5:** პეპესთან წყვილში სოლიდურად გამოიყურებოდა, მხოლოდ ერთხელ შეცდა უხეშად.

**არბელოა - 7:** ხშირად ჯარიმდებოდა, მეორე ტაიმში შეცვალეს.

**ლ. დიარა - 6:** ვერავინ გაიგო, რატომ იუხეშა ფრანგმა მეორე ტაიმში, როცა ამის აუცილებლობა არ იყო.

**ალონსო - 6:** ძალიან ხშირად შედიოდა ორთაბრძოლაში, ხშირად ჯარიმის ზლვარზე.

**კაკა - 7:** ზოგჯერ, ეპიზოდებში ნელა თამაშობდა, თუმცა რაც შეეძლო ყველაფერი გაილო და არც შეტევების წამოწყებას ერიდებოდა.

**რონალდო - 6,5:** რამდენჯერმე დიდებულად ითამაშა, ორი საგოლე მომენტი ჰქონდა, ერთხელ აულეს, ერთხელ კი ხარიხას გადააცილა.

**მარსელო - 7:** შეტევებშიც ერთვებოდა და არბეოლასაც ეხმარებოდა, როცა ამ უკანასკნელს ფლანგზე უჭირდა.

**იგუაინი - 5:** ერთი-ორჯერ გაამწვავა თამაში, ზოგადად კი შეუმჩნეველი იყო.

**ბენზემა - 6:** ერთი კარგი მომენტი გააფუჭა, თუმცა იგუაინს სჯობდა.

**რაული - 5,5:** ერთხელ მის დარტყმულს მცველები გადაეფარნენ. მეტი ვერაფრით დაეხმარა გუნდს.

>> მე-10 გვერდზე

### სპორტინგი-ვილიარეალი 1:0

**სპორტინგი (4-2-3-1):** პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია - მიჩელი, რივერა - მორანი, დე ლას კუევასი (76. კარმელო), კასტრო (84. მატაბუენა) - ბარალი (66. ბილიჩი).

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გოდინი, გონსალო, კაპდევილია - კანი (76. იბაგასა), ბრუნო, სენა (59. ეგურენი), პირესი - ნილმარი (65. ლორენტე), როსი.

**გოლი:** 1:0 ბილიჩი (75)

**გაძევება:** გონსალო (73. ვილიარეალი)

*75-ე წუთზე რივერამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

*89-ე წუთზე ბილიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 8-0; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 21 000

### ვალენსია-მალიორკა 1:1

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, ნავარო, დეალბერტი, მატიო (87. ჟიგიჩი) - ალბელდა, ბანეგა - პ. ერნანდესი (80. ალექსისი), სილვა (28. ხოაკინი), მატა - ვილია.

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ხოსემი, ნუნიესი, რამისი, აიოსე - ბ. ვალერო, მარტი, სუარესი (67. ალვარესი), კასტრო - ვიქტორი (82. პესოლანო), ადურისი (76. ვებო).

**გოლები:** 1:0 ვილია (48), 1:1 ბ. ვალერო (85-პენ)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 10-15; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 17-9 (6-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 38 000

### სევილია-მალაგა 2:2

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კონკო (71. სანჩესი), სკილაჩი, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - ნავასი, რენატო (54. კანუტე), ზოკორა, პეროტი - ლ. ფაბიანო, ნეგრედო (71. კაპელი).

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გასპარი, გამესი, გონსალესი, მტილიგა - ხუანიტო, აპონიო - ფერნანდო (82. ვალდო), ბა (74. ფორესტიერი), დუდა - ობინა (89. ედინიო).

**გოლები:** 0:1 ფერნანდო (22), 0:2 დუდა (45), 1:2 ლ. ფაბიანო (58), 2:2 ლ. ფაბიანო (72)

**გაძევება:** ლუკე (11. მალაგა, სათადარიგოთა სკამიდან)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-31; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 40 000

### ალმერია-ბილბაო 1:4

**ალმერია (4-4-2):** ალვესი - ხ. ორტისი, პელერანო, აკასიეტე, სისმა (60. ორტისი) - პიატი, ბერნარდელო, მბამი (46. გოიტომი), კრუსატი - როდრიგესი (46. კორონა), უჩე.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, უსტარიცი, ამორებიეტა, კოიკილი - გურპეგი (65. ლოპესი), ორბაისი, მარტინესი - სუსაეტა, ლორენტე (75. დე მარკოსი), იესტე (70. კასტილიო).

**გოლები:** 0:1 მარტინესი (37), 0:2 უსტარიცი (41), 0:3 ლორენტე (60), 0:4 დე მარკოსი (77), 1:4 უჩე (84)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 28-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-17 (5-7); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 8 000

### ხეტაფე-ხერესი 5:1

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - კორტესი (69. მ. ტორესი), დიასი, რაფა, მანე - ბოატენგი (63. ბელენგერი), კასკერო - პ. ლეონი (63. რიოსი), პარეხო, გავილანი - სოლდადო.

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, აიტამი, პრიეტო, კასადო - კეიტა (53. ვიკერა), ბერგანტინიოსი - ორელანა, მალდონადო (48. ხიოდა), არმენტეროსი (80. კალვო) - ბერმეხო.

**გოლები:** 0:1 აიტამი (33), 1:1 სოლდადო (44), 2:1 სოლდადო (45-პენ), 3:1 პარეხო (57), 4:1 სოლდადო (58), 5:1 კასკერო (60)

**გაძევება:** პრიეტო (45. ხერესი)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16-7 (6-2); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 10 000

### რასინგი-დეპორტივო 0:1

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - მორისი, მორატონი, ტორეხონი, კრისტიანი - მუნიტისი (46. ლ. გარსია), კოლსა, ლასენი, სერანო (67. კანალესი) - გეიხო (75. სისკო), ტჩიტე.

**დეპორტივო (5-4-1):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, ლოპო, ფილიპე, ტომასი - სერხიო, როდრიგესი, მისტა (63. ალვარესი), ლასადი (37. გუარდადო) - რიკი (88. ადრიანი).

**გოლი:** 0:1 ლოპო (76)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 13-11 (3-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 12 000

### ვალიადოლიდი-ტენერიფე 3:3

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილარი - ბარაგანი, ბარახა, პრიეტო, მარკოსი - ბორხა, რუბიო - ალემანი (71. ფონტი), კოსტა, კანობიო (79. მარკიტოსი) - მანუჩო (89. მედუნჯანინი).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ლუნა, მანოლო, სისილია, ბელვისი (81. დინეი) - მ. ალონსო, რიკარდო - ხუანლუ (58. ანხელი), ალფარო, ომარი (66. აიოსე) - ნინო.

**გოლები:** 1:0 კოსტა (27), 2:0 კანობიო (35), 3:0 კოსტა (49), 3:1 ნინო (63), 3:2 ანხელი (72), ლუნა (84)

**გაძევება:** ლუნა (91. ტენერიფე)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16-13 (8-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 788

### სარაგოსა-ოსასუნა 0:1

**სარაგოსა (4-2-3-1):** ვალეხო - პულიდო (46. ევერტონი), გონი, აიალა, ბაბიჩი - პონსიო, გაბი - ანდერი, აგილარი, ხ. ლოპესი (59. პენანტი) - ლაფიტა.

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო, ხოსეჩო, ოიერი - ხუანფრანი (70. კალეხა), ნეკუნამი, რუპერი, მასუდი (83. ვადოში) - არანდა (87. გალანი), კამუნიასი.

**გოლი:** 0:1 ნეკუნამი (26)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 22-17; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 21-9 (2-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 22 000

### ბარსელონა-რეალი 1:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა (65. ტურე) - მესი, ანრი (50. იბრაჰიმოვიჩი), ინიესტა.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, პეპე, ალბიოლი, არბელოა (73. რაული) - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო - იგუაინი, კაკა, მარსელო - რონალდო (65. ბენზემა).

**გოლი:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (56)

**გაძევება:** ბუსკეტსი (62. ბარსელონა), ლ. დიარა (89. რეალი)

**გაფრთხილება:** 2-6; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 17-25; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 9-16 (4-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 98 000

### ატლეტიკო-ესპანიოლი 4:0

**ატლეტიკო (4-4-2):** ასენხო - პერეა, დომინგესი, ხუანიტო, უიფალუში - სიმაო (87. ა. ლოპესი), ასუნსაო, ხურადო, რეიესი (68. მ. როდრიგესი) - აგუერო, ფორლანი (76. კამაჩო).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ფორლინი, რონკალია, დ. გარსია (51. პილუდი) - ნაკამურა, მოისესი - ვერდიუ (68. საპარი), კალეხონი (46. კორომინასი), ლ. გარსია - ტამუდო.

**გოლები:** 1:0 ფორლანი (37), 2:0 აგუერო (62), 3:0 აგუერო (85), 4:0 მ. როდრიგესი (89)

**გაძევება:** რონკალია (84. ესპანიოლი)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 17-5 (6-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 15 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 12 | 9 | 3 | 0 | 30-8 | 30 |
| 2. რეალი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-9 | 28 |
| 3. სევილია | 12 | 8 | 2 | 2 | 23-10 | 26 |
| 4. ვალენსია | 12 | 7 | 4 | 1 | 23-12 | 25 |
| 5. დეპორტივო | 12 | 8 | 1 | 3 | 17-12 | 25 |
| 6. მალიორკა | 12 | 6 | 3 | 3 | 22-15 | 21 |
| 7. სპორტინგი | 12 | 5 | 5 | 2 | 13-10 | 20 |
| 8. ბილბაო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-15 | 20 |
| 9. ხეტაფე | 12 | 6 | 0 | 6 | 19-17 | 18 |
| 10. ოსასუნა | 12 | 4 | 3 | 5 | 13-15 | 15 |
| 11. ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 8-14 | 13 |
| 12. ვილიარეალი | 12 | 3 | 3 | 6 | 17-16 | 12 |
| 13. ალმერია | 12 | 3 | 3 | 6 | 12-19 | 12 |
| 14. სარაგოსა | 12 | 3 | 3 | 6 | 15-23 | 12 |
| 15. ვალიადოლიდი | 12 | 2 | 5 | 5 | 18-23 | 11 |
| 16. ტენერიფე | 12 | 3 | 2 | 7 | 11-24 | 11 |
| 17. ატლეტიკო | 12 | 2 | 4 | 6 | 17-24 | 10 |
| 18. მალაგა | 12 | 1 | 4 | 7 | 13-18 | 7 |
| 19. რასინგი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-21 | 7 |
| 20. ხერესი | 12 | 1 | 4 | 7 | 4-21 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - ვილია (ვალენსია); 8 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 7 - ლ. ფაბიანო (სევილია), მესი (ბარსელონა), სოლდადო (ხეტაფე); 6 - პანდიანი (ოსასუნა), კოსტა (ვალიადოლიდი), კეიტა (ბარსელონა).

## სეგუნდა დივიზიონი

### XIV ტური

**კადისი-სელტა 3:1**

**გოლები:** 1:0 კრისტიანი (5), 2:0 ენრიკე (15), 2:1 ხოსელუ (45), 3:1 ტრისტანი (46)

**უნიონი-ხიმნასტიკი 1:0**

**გოლი:** 1:0 გოიკოეჩეა (73)

**უელვა-სალამანკა 0:2**

**გოლები:** 0:1 სალვა (18-პენ), 0:2 პერიკო (77)

**გაძევება:** ბუზონი (50. უელვა)

**ერკულესი-ლევანტე 2:1**

**გოლები:** 0:1 პინია (24), 1:1 როდასი (34-საკ. კარში), 2:1 დელიბაშიჩი (73)

**გაძევება:** სენდროში (58. ლევანტე)

**კარტახენა-უესკა 1:0**

**გოლი:** 1:0 რუბიატო (45-საკ. კარში)

**რაიო ვალეკანო-სოსიედადი 3:3**

**გოლები:** 1:0 სუსაეტა (6), 1:1 პრიეტო (15), 2:1 გარსია (18), 2:2 ბუენო (28), 3:2 კასტრო (54), 3:3 ზურუტუზა (63)

**გაძევება:** სალვა (90. რაიო ვალეკანო)

**ბეტისი-ლას პალმასი 1:0**

**გოლი:** 1:0 კაფა (76)

**კორდობა-ხირონა 2:2**

**გოლები:** 0:1 ტორტოლერო (26), 1:1 არტეაგა (59), 2:1 ფლორესი (59), 2:2 რატონი (60)

**გაძევება:** აგუსი (90. კორდობა)

**ვილიარეალი B-ელჩე 2:2**

**გოლები:** 0:1 მოლინა (28), 1:1 რუბენი (31), 1:2 სანტოსი (48), 2:2 ბორდასი (63)

**გაძევება:** ფუსტერი (78. ელჩე)

**კასტელონი-მურსია 2:1**

**გოლები:** 1:0 ულოა (36), 2:0 პენდინი (66), 2:1 ნატალიო (69)

**ალბასეტე-ნუმანსია 2:3**

**გოლები:** 1:0 ლოპესი (30), 1:1 ფელიპე (53), 1:2 ბარკერო (58), 1:3 ინიგო (66), 2:3 იდალგო (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 14 | 7 | 5 | 2 | 18-8 | 26 |
| 2. სოსიედადი | 14 | 7 | 5 | 2 | 19-14 | 26 |
| 3. კარტახენა | 14 | 7 | 5 | 2 | 20-10 | 26 |
| 4. ელჩე | 14 | 6 | 4 | 4 | 23-21 | 22 |
| 5. ვალეკანო | 14 | 5 | 6 | 3 | 22-15 | 21 |
| 6. ლევანტე | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 7. კორდობა | 14 | 5 | 6 | 3 | 15-15 | 21 |
| 8. ბეტისი | 13 | 5 | 5 | 3 | 20-14 | 20 |
| 9. ნუმანსია | 14 | 5 | 5 | 4 | 20-18 | 20 |
| 10. სალამანკა | 14 | 5 | 5 | 4 | 15-15 | 20 |
| 11. ხიმნასტიკი | 14 | 5 | 4 | 5 | 12-12 | 19 |
| 12. უელვა | 14 | 6 | 1 | 7 | 14-15 | 19 |
| 13. ვილიარეალი B | 13 | 5 | 4 | 4 | 18-17 | 19 |
| 14. ხირონა | 14 | 4 | 5 | 5 | 20-20 | 17 |
| 15. ლას პალმასი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-14 | 17 |
| 16. კადისი | 14 | 4 | 4 | 6 | 14-22 | 16 |
| 17. ალბასეტე | 14 | 4 | 4 | 6 | 21-27 | 16 |
| 18. უნიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 12-15 | 15 |
| 19. უესკა | 14 | 3 | 5 | 6 | 11-15 | 14 |
| 20. სელტა | 14 | 2 | 6 | 6 | 11-18 | 12 |
| 21. კასტელონი | 14 | 3 | 2 | 9 | 17-27 | 11 |
| 22. მურსია | 14 | 1 | 7 | 6 | 15-21 | 10 |

# ემირეიტსზე, ჩელსიდან ჩელსიმდე...



დროგბას გააქვს პირველი გოლი მეტოქის კარში

ბედის დაცინვაა თუ რა ხება? **ავრაამ გრანტმა** „ჩელსიში“ მუშაობა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხებით დაასრულა და შაბათს, „პორტსმუთის“ გაძლოლა ზუსტად იმავეთი დაიწყო. „ფრეტონ პარკზე“ „იუნაიტედმა“ „პორტსმუთს“ 4:1 მოუგო, **უეინ რუნიმ** კი ჰეთ-თრიკი შეასრულა - სამი გოლიდან ორი პენალტით შეაგდო. ისე, მართლა ბედის ამბავია. გრანტი თანამდებობიდან გაშვებული **პოლ ჰარტის** ადგილას შაინცდამაინც მაშინ დანიშნეს, როდესაც გუნდს ინგლისის ჩემპიონთან უწევდა თამაში. თუმცა, იურიდიულად ის ჯერ მწვრთნელად არ არის გაფორმებული - ბრიტანეთში, უცხოელისთვის ახალ თანამდებობაზე გადასვლას რალაც ბიუროკრატიული პროცედურები სჭირდება, ასე რომ, ისრაელის მოქალაქეს შეუძლია თქვას, მწვრთნელი რომ გავხდები, მერე მელაპარაკეთო. თუმცა, ხუმრობას შევეშვათ და ისა ვთქვათ, რომ 32-ე წუთზე, როდესაც ბერლინში დაბადებულ-გაზრდილმა გერმანელ-განელმა 22 წლის ნახევარმცველმა **კევინ-პრინც ბოატენგმა,** რუნისა არ იყოს, პენალტი შეაგდო, „პომპეის“ ხელმძღვანელობას იმედი ჩაესახა, რომ არ დამარცხდებოდა, მაგრამ... იმედმა 16 წუთს გასტანა.

შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში მანჩესტერელთა მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** გუნდთან ერთად არ იყო - ის ხომ მსაჯის უსამართლო კრიტიკისთვის ორთამაშიან დისკვალიფიკაციას იხდის. ისე, თავის ადგილას რომ ყოფილიყო, ალბათ, შეხვედრის არბიტრ **მაიკ დინს** ჰკითხავდა, რატომ დაარტყმევინა ბოატენგს თერთმეტმეტრიანი და მართალიც იქნებოდა, რადგან ახალ კალიდონიელ თავდამსხმელს **ფრედერიკ პიკვიონს ნემანია ვიდიჩმა** მაისურზე როგორ და რანაირად დაქაჩა, საკამათო საკითხად დარჩა. სხვათაშორის, ამ საკითხს ფერგიუსონი პრესკონფერენციაზე მაინც შეეხო, თუმცა, მანამდე დინი პენალტების დანიშვნის იმტაზე გახლდათ მოსული და აკი სამჯერ გაიშვირა კიდეც ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ. მანჩესტერელთაგან მეოთხე გოლი **რაიან გიგზმა** გაიტანა, რომელიც მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა ყველაზე მეტად შეაქო:

*„გიგზი გამონაკლისია. მისნაირები ძალიან ცოტანი არიან. თავად ამბობს, რომ კიდევ ორ წელიწადს ითამაშებს, მაგრამ ასეთი რამ უამრავჯერ უთქვამს. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ერთსა და იმავეს იმეორებს, ასე რომ, დავიცადოთ, სანამ 67-ის გახდება. მაშინ, ალბათ მართლა დაანებებს თამაშს თავს. ხვალ (კვირას, 29 ნოემბერს) გიგზი ჯერ მხოლოდ 36 წლისა ხდება. ვულოცავ და ბედნიერებას ვუსურვებ. რაც შეეხება ჩვენს კარში დანიშნულ პენალტს, იმ ეპიზოდში მსაჯი თანამსაჯმა დააბნია და აიძულა თერთმეტმეტრიანი დაენიშნა. მსაჯს სხვა გზა აღარ ჰქონდა, დაემორჩილა კაცს, რომელიც მოვლენათა ცენტრიდან 30 მეტრში იდგა. საჯარიმოში მაისურებზე ქაჩვას და ძიძგილაობას ყოველ შეხვედრაში ვუყურებთ და ყოველ ჯერზე არბიტრებმა პენალტი რომ დანიშნონ, კარგად წავა ჩვენი საქმე“.*

„ჰალ სიტის“ ჯამბაზმა ნახევარმცველმა, **ჯიმი ბალარდმა** კი 82-ე წუთზე „მანჩესტერ სიტის“ პენალტით ანგარიში გაუთანაბრა და გოლი თეატრალიზებულად იზეიმა - გარს თანაგუნდელები შემოისხა და ჰალელთა მწვრთნელის **ფილ ბრაუნის** როლი გაითამაშა, ვითომ ბიჭებს ჭკუას არიგებდა.

*„ასეთი მშვენიერი ზეიმი არასდროს მინახავს - განაცხადა მატჩის შემდეგ ბრაუნმა, რომელიც ცოტა გულღრძო კაცი რომ ყოფილიყო, ვინ იცის, სწყენოდა კიდეც - მომენტის შესაფერისი კომედია გაითამაშეს. ასეთ რამეს ადამიანი მხოლოდ ისტლენდში თუ გააკეთებ და თან, ბალარდმა ყველაფერი „ჰალის“ ქომაგებს მიუძღვნა. მართალი გითხრათ, იმწუთას ამ მასხრობისთვის არც კი შემიხედავს, რადგან ხუთკაციან ნახევარდაცვაზე გადაწყობას ვაპირებდი და ფიქრში ვიყავი გართული, მაგრამ ჩემმა ასისტენტებმა გასახდელში, ლეპტოპზე მაჩვენეს ყველაფერი და ძალიან ბევრი ვიცინე“.*

ამასობაში კი „მანჩესტერ სიტიმ“ ზედიზედ მეშვიდე ფრე ითამაშა. ეს რასაკვირველია, ამბიციური გუნდისთვის მეტისმეტია, მაგრამ ისტლენდელთა მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** თავს იმით იმშვიდებს, რომ ამის მიუხედავად „სიტი“ მაინც ცხრილის სათავესთან ტრიალებს. არადა, მანჩესტერელთა თავს სულ ერთი და იგივე მეორდება: დაწინაურდებიან და შემდეგ უპირატესობას ვერ ინარჩუნებენ. ცნობისთვის: „ჰალთან“ მატჩს კლუბის თავმჯდომარე **ხალდუნ ალ-მუბარაკიც** ესწრებოდა, რომელმაც გასულ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების შეძენაზე 120 მილიონი ფუნტი დახარჯა...

ჰიუზმა შაბათის ფრე მსაჯს, **ლი პრობერტს** დააბრალა. ისტლენდელთა თავკაცი დარწმუნებულია, რომ **ჟოლეონ ლესკოტს** საჯარიმოში ბურთისთვის ხელი არ გაუკრავს და არც **კოლო ტურეს** წაუქცევია ჰოლანდიელი მოთამაშე უგრძესი გვარ-სახელით - **იოჰანეს ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.** ერთი სიტყვით, ჰიუზმა კარგად ვერც კი გაიგო, რატომ გაიშვირა პრობერტმა ხელი თერთმეტმეტრიანისკენ.

და კიდევ, ამ შეხვედრაში აგვისტოს შემდეგ პირველად ითამაშა **რობინიომ,** რომელიც მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შეცვალეს. მიმომხილველები წერენ, რომ ბრაზილიელი ამ შეხვედრაში არ ვარგოდა და ფეხბურთელს, რომელიც „ბარსელონაში“ გადასვლას ესწრაფვის, შეახსენებენ, რომ მის საოცნებო „ელ კლასიკოში“ „ჰალთან“ ჭიდაობაზე ცოტა მაღალი დონის ფეხბურთისთვის მოუწევს თავის გართმევა.

„ტოტენჰემ ჰოთსპური“ კი ბირმინგემში წაგებისგან კაპიტნის, **მაიკლ დოუსონის** გოლმა იხსნა - დოუსონმა ამ სეზონში პირველად შეაგდო. არადა, **ჰარი რედნაპის** ჩამორჩენილი გუნდი (ანგარიში **გაბრიელ აგბონლაორმა** მე-10 წუთზევე გახსნა) მეორე ტაიმში ძალიან ყოჩაღობდა და მასპინძლები გვარიანი პრესის ქვეშაც მოაქცია. ერთი სიტყვით, ლონდონელები ფრეს ნამდვილად იმსახურებენ, რამეთუ მასპინძლებს შესვენების შემდეგ თავდაცვის მეტი არაფერი გაუკეთებიათ - სხვა სიტყვებით, „სფურზს“ ამ ტურშიც „უიგანის“ მსგავსი მეტოქე რომ შეხვედროდა, შესაძლოა კიდევ 9:1 გვეხილა. თავი გამოიჩინა „ასტონ ვილას“ ამერიკელმა მეკარემ **ბრედ ფრიდელმაც.**

„უიგანიო“... „უიგანი“ ეძახეთ და, გუნდმა წინა ტურის კატასტროფის მიუხედავად **უგო როდალეგას** გოლით „სანდერლენდს“ 1:0 მოუგო - მეტსაც გეტყვით, გუნდს შინ ბოლო ხუთი თამაშია არ წაუგია. რაც შეეხებათ კლავ დამარცხებულ „შავ კატებს“, მათ წინა ჩემპიონატიდან თუ ვუანგარიშებთ 17 გასვლიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

„ვესტ ჰემმა“ და „ბარნლიმ“ ერთმანეთს რვა გოლი გაუტანეს - ჯერ ხუთი ლონდონელებმა შეაგდეს, შემდეგ კი სამი სტუმრებმა. „ბლექბერნისა“ და „სტოკის“ დაპირისპირება უგოლო იყო. მოგეხსენებათ, ბლექბერნელთა თავკაცმა **სემ ელერდაისმა** გულის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ფეხბურთელებს ძალიან უნდოდათ მისთვის ზედიზედ მეხუთე საშინაო გამარჯვება მიეძღვნათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

„ფულჰემმა“ და „ბოლტონმა“ თითო გაუტანეს ერთმანეთს. მასპინძლები თავიდან აგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში იყოჩაღეს და შეცვლაზე შესულმა **დემიენ დაფმა** ბოლოს გაქვითა.

„ბირმინგემმა“ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და ეს **ლი ბოიერის** მიერ მე-3 წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოხდა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, რომელსაც აქამდე ერთადერთი გოლი შინ, „ფულჰემის“ კარში ჰქონდა გატანილი, **ალექს მაკლიშის** გუნდი მე-11 ადგილზე აიყვანა. გარდა ამისა, ეს გამარჯვება ბირმინგემელთათვის პრემიერლიგაში ზედიზედ მეხუთედ არდამარცხებას ნიშნავდა - ამ ხუთ შეხვედრაში გუნდმა 11 ქულა მოიპოვა, რაც იმ ორი წლის განმავლობაში, რაც გუნდს სათავეში უდგას, მაკლიშის საუკეთესო „მონაკვეთია“. მაგრამ რამდენაც კარგი იყო ეს შედეგი ბირმინგემული გუნდისთვის, იმდენად ცუდი გახლდათ ის „ვულვერჰემპტონისთვის“, რომელმაც აგერ უკვე რვა თამაშია, მოგების გემო არ იცის და უსაფრთხო ზონასაც ოთხი ქულით ჩამორჩება.

„ლივერპულმა“ კი „გუდისონ პარკზე“ მერსისაიდური დერბი პირწმინდად მოიგო - 2:0. სტუმრები შეხვედრის მე-12 წუთზე **ჯოზეფ იობოს** ავტოგოლმა დააწინაურა - იობომ **ხავიერ მასკერანოს** შეტევას ბურთის საკუთარ კარში გაგზავნაზე უკეთესი ვერაფერი დაუპირისპირა. და მეორე გოლშიც იობოს მიუძღოდა ბრალი: თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მან საჯარიმოდან ბურთი ხეირიანად ვერ გამოიტანა, მისგან ასხლეტილი **სტივენ ჯერარდმა** თანაგუნდელებს დაუბრუნა და საბოლოოდ **დირკ კუიტმა** „წითლების“ გამარჯვება გამოჭედა. ცნობისათვის: ეს გახლდათ „ლივერპულის“ მიერ „ევერტონის“ მეათე ძლევა „გუდისონ პარკზე“.

*„დერბიში გამარჯვება ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა, - თქვა მატჩის შემდეგ „ლივერპულის“ თავკაცმა **რაფა ბენიტესმა,** - დღევანდელმა გამარჯვებამ შესაძლოა დარჩენილი სეზონისთვის მყარი საფუძველი ჩაყაროს“.*

„ჩელსიმ“ კი, ამასობაში, დაამტკიცა, რომ ამ სეზონში მისი შეჩერება ნებისმიერი რა გუნდისთვის უძნელესი ამოცანა იქნება. ყოველ შემთხვევაში „არსენალისთვის“ ეს საკუთარ „ემირეიტს სტადიუმზეც“ კი შეუძლებელი აღმოჩნდა - „ლურჯებმა“ „მეთოფეებს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. უნდა ითქვას, რომ ჩრდილოლონდონელები სულაც არ ჩანდნენ უსუსურები, მაგრამ დასავლეთლონდონელ **დიდიე დროგბასა** და მის თანაგუნდელებს დამატებით სიმძლავრე ეტყობოდათ. და დროგბა შემთხვევით არ გვიხსენებია - კოტ დ'ივუარის ნაკრების ფორვარდმა სამიდან ორი გოლი გაიტანა, ხოლო მესამე შემთხვევაში **ვერმაელენზე** თავისი სიახლოვით ფსიქოლოგიურად იმოქმედა და საკუთარ კარში შეაგდებინა გოლი.

საინტერესოა, რომ „ემირეიტსზე“ „არსენალი“ ბოლოს გასულ სეზონში... ისევ „ჩელსის“ ჰყავდა დამარცხებული. განსხვავება ერთია, მაშინ „ლურჯებს“ **გუუს ჰიდინკი** წვრთნიდათ, ახლა კი მათი თავკაცი **კარლო ანჩელოტია...**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

5 დეკემბერი. არსენალი-სტოკი, ასტონ ვილა-ჰალი, ბლექბერნი-ლივერპული, მანჩესტერ სიტი-ჩელსი, პორტსმუთი-ბარნლი, ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი, უიგანი-ბირმინგემი, ვულვერჰემპტონი-ბოლტონი. 6 დეკემბერი. ევერტონი-ტოტენჰემი, ფულჰემი-სანდერლენდი.

### პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ 1:4

**პორტსმუთი:** ბეგოვიჩი, ბენ ჰაიმი, ქაბული, უილსონი, პრეიდერსონი, ბრაუნი, იებდა (78. უტაკა), ოჰარა, ბოატენგი, დინდანე (81. სმიტი), პიკვიონი (63. კანუ).

**მანჩესტერ იუნაიტედი:** კუშჩაკი, გ. ნევილი, ბრაუნი, ვიდიჩი, ევრა, ქერიკი (76. ანდერსონი), ფლეტჩერი, სქოულზი, გიგზი, ვალენსია, რუნი.

**გოლები:** 0:1 რუნი (25-პენ), 1:1 ბოატენგი (32-პენ), 1:2 რუნი (48), 1:3 რუნი (54-პენ), 1:4 გიგზი (87)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 24-14 (8-5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 20 482

### მანჩესტ. სიტი-ჰალი 1:1

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი, ტურე, ლესკოტი, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი, დე იონგი, აირლენდი, რობინიო (76. ბელამი), ტევესი, ადებაიორი (68. სანტა კრუსი).

**ჰალი:** დიუკი, მაკშეინი, ზაიატე, გარდნერი, დოუსონი, გარსია, მერნი (62. ბოატენგი), ბალარდი, ჰანტი, ჯეოვანი (62. ბარმბი), ალტიდორი (73. ვენეგოორი)

**გოლები:** 1:0 რაიტ-ფილიპსი (45), 1:1 ბალარდი (82-პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19-9 (5-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 46 382

### ბლექბერნი-სტოკი 0:0

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა, სამბა, ნილსენი, ჟივე, ემერტონი, ენდრიუსი (46. გრელა), ნზონზი, დიუფი (67. პედერსენი), დი სანტო, დანი (32. რობერტსი).

**სტოკი:** სიორენსენი, უილკინსონი, შოუკროსი (52. ფაიე), ჰუთი, კოლინზი, ლოურენსი, დიაო, უაიტჰედი, ეზერინგტონი, ფულერი(83. თუნჯაი), სიდიბე (69. ბიტი).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-2 **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 13-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 25 143

### ფულჰემი-ბოლტონი 1:1

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი (68. ს.დევისი), ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, გერა (81. დიკგაკოი), გრინინგი, ბეირდი, დაფი, ნივლენდი, დემპსი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ობრეინი, სემუელი, ტეილორი, კაკენი, კოენი (78. მ. დევისი), გარდნერი, კ. დევისი, კლასნიჩი (61. მუამბა).

**გოლები:** 0:1 კლასნიჩი (35), 1:1 დაფი (75)

**გაფრთხილება:** 1-6; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 8-19; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 18-4 (5-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 23 554

### ვესტ ჰემი-ბარნლი 5:3

**ვესტ ჰემი:** გრინი, სპექტორი, და კოსტა, გებიდონი, ოლუნგა, კოლისონი (78. ფაბერი), კოვაჩი, პარკერი, სტანისლასი, კოული (46. ჰაინესი), ფრანკო (59. ხიმენესი).

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კოლდუელი, ჯორდანი (55. კალვენესი), იგლზი, ბიკეი, ალექსანდერი (70. მაკდონალდი), ბლეიკი (55. ნაჯენტი), ელიოტი, ფლეტჩერი.

**გოლები:** 1:0 კოლისონი (18), 2:0 სტანისლასი (33), 3:0 კოული (43-პენ), 4:0 ფრანკო (51), 5:0 ხიმენესი (64-პენ), 5:1 ფლეტჩერი (68), 5:2 ფლეტჩერი (74), 5:3 იგლზი (90)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 6-2 **კარში დარტყმა:** 12-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 34 003

### უიგანი-სანდერლენდი 1:0

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბოისი, ბრამბლი, ფიგეროა, ნზოგბია, ტომასი, დიამე, როდალეგა, სკოტლენდი (55. გომესი), შარნერი.

**სანდერლენდი:** ფულოპი, ბერდსლი, ტერნერი, და სილვა (84. ჰილი), მაკარტნი (84. ზენდენი), მალბრანკი (46. კემპბელი), კანა, ჰენდერსონი, რიდი, რიჩარდსონი, ბენტი.

**გოლი:** 1:0 როდალეგა (76)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 17-9 (7-0); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 447

### ასტონ ვილა-ტოტენჰემი 1:1

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, ბეიე, კუელარი, დანი, იანგი, მილნერი, პეტროვი, რიო-კოკერი (71. სიდუელი), იანგი, კარეუ (76. ჰესკი), აგბონლაორი.

**ტოტენჰემ ჰოთსპური:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, ბასონგი, ასუ-ეკოტო, ლენონი, ჰადლსტოუნი, პალასიოსი (66. ჯენასი), კრანჩარი (79. კინი), დეფო, კრაუჩი.

**გოლები:** 1:0 აგბონლაორი (10), 1:1 დოუსონი (77)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 13-25 (1-7); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 39 866

### ვულვზი-ბირმინგემი 0:1

**ვულვზი:** ჰანემანი, მანსიენი (46. უორდი), კრედოკი, ბერა, სტირმენი, ჰელფორდი (32. ნაითლი, 67. მილიაში), ედუარდსი, ჰენრი, ჯერვისი, დოილი, ებანკს-ბლეიკი.

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიგუელი, ლარსონი, ბოიერი, ფერგიუსონი, მაკფადენი, ჯერომი, ბენიტესი (87. ფეჰი).

**გოლი:** 0:1 ბოიერი (3)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 10-13 (1-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 26 668

### ევერტონი-ლივერპული 0:2

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო (86. ნილი), დისტინი, ბაინესი, პინეაარი, ჰეიტინგა, კეჰილი (81. იაკუბუ), ფელანი, ბილიალეტდინოვი, ჟო (66. საა).

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, კარაგერი, აგერი, ინსუა, კუიტი, მასკერანო, ლუკასი, აურელიო (78. რიერა), ჯერარდი, ნგონგი (75. ბენაიუნი).

**გოლები:** 0:1 იობო (12-საკ. კარში), 0:2 კუიტი (80)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 16-11 (6-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 39 652

### არსენალი-ჩელსი 0:3

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ვერმაელენი, ტრაორე, ნასრი (66. როსიცკი), დენილსონი, ბილონგი (46. უოლკოტი), არშავინი, ფაბრეგასი, ედუარდო (57. ველა).

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კარვალიუ, ტერი, ე. კოული (72. ფერეირა), მიკელი, ესიენი, ლემპარდი, ჯ. კოული (68. დეკუ), ანელკა, დროგბა (87. მალუდა).

**გოლები:** 0:1 დროგბა (41), 0:2 ვერმელენი (45-საკ. კარში), 0:3 დროგბა (86)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 12-10 (2-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 60 067

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 14 | 12 | 0 | 2 | 36-8 | 36 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 14 | 10 | 1 | 3 | 30-13 | 31 |
| 3. ტოტენჰემი | 14 | 8 | 2 | 4 | 33-19 | 26 |
| 4. არსენალი | 13 | 8 | 1 | 4 | 36-18 | 25 |
| 5. ლივერპული | 14 | 7 | 2 | 5 | 31-20 | 23 |
| 6. ასტონ ვილა | 14 | 6 | 5 | 3 | 22-14 | 23 |
| 7. მანჩესტ. სიტი | 13 | 5 | 7 | 1 | 24-17 | 22 |
| 8. სანდერლენდი | 14 | 6 | 2 | 6 | 21-20 | 20 |
| 9. სტოკი | 14 | 5 | 5 | 4 | 13-15 | 20 |
| 10. ფულჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-16 | 19 |
| 11. ბირმინგემი | 14 | 5 | 3 | 6 | 12-14 | 18 |
| 12. ბარნლი | 14 | 5 | 2 | 7 | 19-31 | 17 |
| 13. ბლექბერნი | 14 | 5 | 2 | 7 | 16-28 | 17 |
| 14. უიგანი | 14 | 5 | 2 | 7 | 15-31 | 17 |
| 15. ჰალი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-31 | 16 |
| 16. ევერტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-25 | 15 |
| 17. ვესტ ჰემი | 14 | 3 | 5 | 6 | 24-26 | 14 |
| 18. ბოლტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-27 | 12 |
| 19. ვულვზი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-27 | 10 |
| 20. პორტსმუთი | 14 | 2 | 1 | 11 | 11-23 | 7 |

**ბომბარდირები:** 11 - დროგბა (ჩელსი), დეფო (ტოტენჰემი); 10 - რუნი (მანჩესტერ იუნ), ტორესი (ლივერპული); 9 - ბენტი (სანდერლენდი); 8 - საა (ევერტონი); 7 – კოული (ვესტ ჰემი), აგბონლაორი (ასტონ ვილა), რობინ ვან პერსი (არსენალი); 6 - კინი (ტოტენჰემი), ფაბრეგასი (არსენალი), როდალეგა (უიგანი).

## ჩემპიონშიპი

### XVIII ტური

**ბრისტოლი-შეფილდ იუნ 2:3**

**გოლები:** 0:1 ჰენდერსონი (30), 0:2 ჰენდერსონი (33), 1:2 კეირი (53), 2:2 საბორიო (90), 2:3 ჰენდერსონი (90)

**კრ. პალასი-უოტფორდი 3:0**

**გოლები:** 1:0 მოზესი (2), 2:0 ლი (6), 3:0 ემბროუზი (54)

**დერბი-რედინგი 2:1**

**გოლები:** 0:1 სიგურდსონი (56), 1:1 გრინი (60), 2:1 ჰალსი (73)

**ნიუკასლი-სუონსი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰეირვუდი (8), 2:0 ლოვენკრანდსი (21), 3:0 ჰეირვუდი (28)

**ნოტინგემი-დონკასტერი 4:1**

**გოლები:** 1:0 რობერტსი (18-საკ. კარში), 2:0 მორგანი (59), 3:0 ერნშოუ (77), 4:0 მაკგუგანი (80), 4:1 შარპი (82)

**პიტერბორო-მიდლსბრო 2:2**

**გოლები:** 0:1 კიტსონი (28), 1:1 ბოიდი (54), 1:2 კიტსონი (58), 2:2 ბეტი (76)

**ქუინზ პარკი-ქოვენთრი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბესტი (16), 1:1 სიმპსონი (35), 2:1 ბუჟაკი (69), 2:2 ვუდი (81)

**სკანთორპი-ლესტერი 1:1**

**გოლები:** 0:1 უოგჰორნი (3), 1:1 ვულფორდი (90)

**შეფილდ უენ-ვესტ ბრომვიჩი 0:4**

**გოლები:** 0:1 კოქსი (23), 0:2 კოქსი (30), 0:3 თომასი (38), 0:4 ბრანტი (85)

**კარდიფ სიტი-იფსვიჩი 1:2**

**გოლები:** 1:0 უიტინგემი (35), 1:1 უოლტერსი (73), 1:2 სტიდი (85)

**პლიმუთი-ბარნსლი 1:4**

*წყალდიდობის გამო 58-ე წუთზე შეწყდა*

**ბლექპული-პრესტონი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 18 | 12 | 3 | 3 | 29-10 | 39 |
| 2. ვესტ ბრომვ. | 18 | 11 | 4 | 3 | 39-15 | 37 |
| 3. ლესტერი | 18 | 8 | 7 | 3 | 21-15 | 31 |
| 4. ნოტ. ფორესტი | 18 | 7 | 8 | 3 | 23-17 | 29 |
| 5. ქუინზ პარკი | 18 | 7 | 7 | 4 | 31-21 | 28 |
| 6. სუონსი | 18 | 7 | 7 | 4 | 15-15 | 28 |
| 7. კარდიფი | 18 | 8 | 3 | 7 | 34-22 | 27 |
| 8. ბლექპული | 17 | 7 | 6 | 4 | 27-19 | 27 |
| 9. უოტფორდი | 18 | 7 | 6 | 5 | 27-29 | 27 |
| 10. მიდლსბრო | 18 | 7 | 5 | 6 | 25-20 | 26 |
| 11. კრ. პალასი | 18 | 6 | 8 | 4 | 20-18 | 26 |
| 12. ბრისტოლი | 18 | 6 | 8 | 4 | 22-22 | 26 |
| 13. პრესტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 23-23 | 24 |
| 14. შეფილდ იუნ. | 18 | 6 | 6 | 6 | 29-30 | 24 |
| 15. ბარნსლი | 17 | 6 | 3 | 8 | 21-28 | 21 |
| 16. დერბი | 18 | 6 | 2 | 10 | 21-29 | 20 |
| 17. ქოვენთრი | 18 | 4 | 7 | 7 | 21-28 | 19 |
| 18. დონკასტერი | 18 | 3 | 9 | 6 | 22-26 | 18 |
| 19. შეფილდ უენ. | 18 | 4 | 6 | 8 | 23-29 | 18 |
| 20. სკანთორპი | 18 | 5 | 3 | 10 | 21-36 | 18 |
| 21. რედინგი | 18 | 4 | 5 | 9 | 18-28 | 17 |
| 23. იფსვიჩი | 17 | 2 | 10 | 6 | 19-29 | 16 |
| 22. პლიმუთი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-28 | 15 |
| 24. პიტერბორო | 18 | 2 | 6 | 10 | 21-31 | 12 |

**ბომბარდირები:** 11 - ჩოპრა (კარდიფ სიტი); 10 - ემბროუზი (კრისტალ პალასი), ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), უიტინგემი (კარდიფი); 9 - ფრიატი (ლესტერი), მეინარდი (ბრისტოლი).

## პირველი ლიგა

### XVIII ტური

ჩარლტონი-ბრისტოლი 4:2, კოლჩესტერი-სტოკპორტი 2:0, ექსეტერი-მილუოლი 1:1, ჯილინგემი-იეოვილი 1:0, ჰარტლპული-საუთჰემპტონი 1:3, ლიდსი-ლეიტონი 1:0, მილტონ-კეინზი-კერლისლი 3:4, ნორვიჩი-ბრაიტონი 4:1, სუინდონი-ჰადერსფილდი 2:1, ტრანმერი-საუთენდი 2:0, უოლსოლი-ოლდჰემი 3:0, უაიკომბი-ბრენტფორდი 1:0.

## მეორე ლიგა

### XIX ტური

მაკლესფილდი-გრიმსბი 0:0.

## კონფერენსი

### გამოტოვებული თამაშები

იბსფლიტი-მენსფილდი 2:1, გეიტსჰედი-ქროული 2:1, გრეისი-ტამუორთი 1:0, კიდერმინსტერი-უიმბლდონი 0:1, სელისბერი-სტივინიჯი 0:1, ჩესტერი-ისტბურნი 3:2 (შეწყდა), ჰეისი-ფორესტ გრინი გადაიდო, ჰისტონი-იორკი გადაიდო.

# ინტერი ხელიდან გასხლტა

როგორც ვივარაუდეთ, გენუური დერბი მეტად დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. ფაქტობრივად ყველაფერი ვიხილეთ, რისი ნახვაც ფეხბურთში შესაძლებელია: გოლები, სახიფათო იერიშები, სხვადასხვა ფერის ბარათები, უხეშობა, თერთმეტმეტრიანები და უამრავი ნიუანსი, რომელიც ახასიათებს სპორტის უპირველეს სახეობას. მოკლედ, ჩვენი პროგნოზი გამართლდა და ამ ერთმა თამაშმა ძალიან ბევრი რამ დაიტია.

ანგარიში იმაზე მეტყველებს, რომ ერთმა გუნდმა მეორე დაჯაბნა და ეს ასეც გახლდათ. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯენოამ" ყველა კომპონენტში აჯობა მეტოქეს, მათ შორის უხეშობაშიც. დიახ, ფორმალურმა მასპინძლებმა საკმაოდ ხისტი ფეხბურთი შესთავაზეს „სამპდორიას" და რიგ ეპიზოდებში უხეშობასაც არ მოერიდნენ. განსაკუთრებით არ დაინდეს **ანტონიო კასანო**, ვისაც არაერთხელ მოხვდა კოჭებში და ამის გამო „ჯენოას" კარგა ხანს კაცნაკლულსაც კი მოუხდა თამაში. თუმცა, გაძევებამდე მასპინძლებმა გოლი გაიტანეს და უმჯობესია, ამ ეპიზოდით დავიწყოთ: საჯარიმო მოედანში არგენტინელი **პალასიო** შეიჭრა, კარგად აუარა გვერდი მცველს და დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, „სამპას" უკანახაზელი კი იძულებული გახდა თამაშის წესები დაერღვია. სტუმრებმა მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მაგრამ ამაოდ - **მილანეტოს** დარტყმული უზადო გამოდგა.

აი, აქ კი უკვე **ბიავას** გაძევებაზე უნდა ვთქვათ. ჯენოელთა მცველი კასანოს მეურვეობდა და თვალს არ აცილებდა, თუმცა ეს რომ იოლი საქმე არ გახლავთ, თავადაც დარწმუნდა. 29-ე წუთზე პირველი ყვითელი ბარათი მიიღო, 45-ეზე კი მეორესაც გამოჰკრა ხელი და გუნდი კაცნაკლული დატოვა. მეორე შემთხვევისას, მსაჯს შეეძლო მისი დანდობა, მაგრამ სხვაგვარად მოიქცა და ჯიბეზე ხელი გაიკრა, თანაც დამაჯერებელი გამომეტყველებით.

მეორე ნახევარში „სამპდორიასგან" ველოდით გააქტიურებას, მით უმეტეს, რომ მათ რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. თუმცა, მსგავსი არაფერი მომხდარა - ისევ „ჯენოა" უტევდა და თანაც, კიდევ უფრო გააფთრებით. მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მარტო **ჯუზეპე სკულის** სამჯერ შეეძლო მეტოქის კარის აღება. ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ „სამპას" კიპერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორივეჯერ გადაარჩინა გუნდი გაშვებულ გოლს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ **კასტელაციმ** ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და ყველაზე ნაკლებად მიუძღვოდა ბრალი თავისი გუნდის მარცხში.

53-ე წუთზე კასტელაციც უძლური აღმოჩნდა - **ჯანპიერო გასპერინის** შეგირდებმა მორიგი ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, რის შედეგადაც დასარტყმელ პოზიციაზე **მარკო როსი** გავიდა და ანგარიში გააორა. მეორე ბურთის გაშვებამ სტუმრები სულ მთლად არია, მათაც უმატეს უხეშობას, რაც ორი ფეხბურთელის გაძევებად დაუჯდათ. პირველი **მარკო როსი** გახლდათ, ოღონდ არ დაიბნეთ, ეს „ჯენოელი" როსია, თანაქალაქელის სეხნია, თანაც გვარ-სახელით. შეგულიანებულმა მასპინძლებმა კიდევ უფრო მეტად შეუტიეს მეტოქეს და ერთ-ერთ ეპიზოდში მორიგ თერთმეტმეტრიანს გამორჩნენ - ამჯერად უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი **პალადინომ** მოიყვანა სისრულეში, 3:0. მატჩის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე არბიტრმა კიდევ ერთხელ ააფრიალა წითელი ბარათი და მოედნიდან „სამპას" უკანახაზელი **კაჩატორე** მიაბრძანა.

ამ მატჩზე თხრობა „ჯენოას" და „სკუადრა აძურას" ფეხბურთელის, **დომენიკო კრიშიტოს** კომენტარით დავასრულოთ: *„ყველაფერი ვაჩვენეთ, რასაც მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვამზადებდით. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მინიმუმ ხუთი, ექვსი ბურთის სხვაობით უნდა მოგვეგო. თუმცა ანგარიშს არ აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, მთავარია, რომ უპრინციპულეს შეხვედრაში გავიმარჯვეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ".*

აქვე აღვნიშნოთ, რომ იტალიურ პრესაში მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა - ამბობენ, სეზონის ბოლოს გასპერინი პოსტს დატოვებს, მას კი წარსულში „ინტერის" ფეხბურთელი **ფრანჩესკო მორიერო** შეცვლისო. სენიორ ჯანპიეროს კლუბის პრეზიდენტთან გაურთულდა ურთიერთობა და ეს ხმებიც ამად გავრცელდა. რაც შეეხება მორიეროს, ალბათ გახსოვთ ეს თმახუჭუჭა ნახევარმცველი, რომელიც მარჯვენა ფლანგზე ირჯებოდა და „მაკრატლების" შესრულებაც ეხერხებოდა.

კვირის მატჩებიდან უდავოდ „ინტერი"-"ფიორენტინას" დაპირისპირება უნდა გამოვყოთ. მილანელებს „ბარსელონასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, სარეაბილიტაციოდ ჰქონდათ საქმე და ამისთვის „ვიოლას" დამარცხება იყო საჭირო. ბუნებრივია, „ინტერის" ფეხბურთელთა მოტივაციას ეს ერთიორად ამაღლებდა. მეორე მხრივ, „ფიორენტინამ" ლიგის პლეი ოფის საგზური გაინაღდა, რაც ფლორენციელთათვის დამატებითი პლუსია, მათ თავისუფლად შეუძლიათ გადაერთონ ეროვნული ჩემპიონატის პაექრობებზე. მოკლედ, აი, ასეთი მდგომარეობა ჰქონდათ კლუბებს შეხვედრის წინ. თვითონ მატჩი კი ორივე გუნდისთვის მეტად მძიმე გამოდგა. „ვიოლა" საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იყო აქცენტირებული და კონტრშეტევებზე ასპარეზობდა, „ინტერი" კი ცდილობდა, სწრაფი და ეფექტური იერიშებით გაერღვია მეტოქე გუნდის დაცვის რუბიკონი.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში „ნერაძური" საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და იმ ერთ გოლს, რომელიც სამი ქულის მომტანი გამოდგა, იმსახურებდა. მილანელებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში უნდა გაეხსნათ ანგარიში, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. პირველი მომენტი **სალი მუნტარის** შეექმნა: სიტუაცია **სამუელ ეტო'ოზე** ითხოვდა გადაცემის გაკეთებას და ასეთ შემთხვევაში, გოლი გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ მუნტარიმ რატომღაც კარში დარტყმა გადაწყვიტა და შეცდა კიდეც. ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა **დეიან სტანკოვიჩმა**, მაგრამ მცირედით ააცილა ბურთი კარს. კარგად გამოიყურებოდა ყველასათვის მოულოდნელად სასტარტო შემადგენლობაში გამწესებული **რიკარდო კვარეშმა** - გაანამა **მასიმო გობი**, რომელიც მეურვედ ჰყავდა მიჩენილი.

ერთადერთი გოლი მატჩის 85-ე წუთზე გავიდა: საჯარიმოში შეჭრილი **დიეგო მილიტო კომოტომ** მოჩეხა და მატჩის არბიტრმაც ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა - ზუსტი დარტყმა თავად დაზარალებულმა შეასრულა, 1:0. აი აქ კი, ჩრდილში მყოფმა **ჯილარდინომ** შეგვახსენა თავი და კინაღამ ანგარიში გაათანაბრა: **ლუსიო** და **სამუელი** ბავშვებივით მოატყუა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კი ბურთი ძელს გაარტყა. ეს იყო და ეს, „ინტერმა" მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში.

აღნიშნული სამი ქულა „იუვენტუსმა" კიდევ უფრო ფასეული გახადა - ტურინულმა გრანდმა სარდინიაში წააგო, თანაც სრულიად დამსახურებულად. „კალიარიმ" ბევრად უფრო გააზრებული და შედეგზე ორიენტირებული ფეხბურთი ითამაშა, რაც გატანილ ორ გოლში ასახა. ძალიან კარგად უტევდნენ **ნენე**, **ლაცარი** და **ჯედა**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიქა გააძვრეს „ვეკია სენიორას" გამობრძმედილ უკანახაზელებს. პირველი გოლი ნენეს ანგარიშზეა, დაახლოებით 25 მეტრიდან გაისროლა და **ჯიჯი ბუფონი** უშანსოდ დატოვა. ამ უკანასკნელის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს, მთლიანობაში კარგი თამაში ჩაატარა და რამდენჯერმე იხსნა კიდეც გუნდი გაშვებული გოლისგან.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ უფრო გაამწვავეს იერიშები, რაც დიდწილად შეცვლაზე შესული **ალესანდრო მატრის** დამსახურება გახლდათ. თავისუფლად ატყუებდა მცველებს და არაერთი ხიფათი შექმნა „იუვეს" კართან. გარჯა 89-ე წუთზე დაუფასდა, კიდევ ერთხელ აუარა გვერდი **ფაბიო კანავაროს** და ახლო მანძილიდან შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა, 2:0. უნდა აღინიშნოს, რომ „იუვეს" ფეხბურთელებმა ორჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება, მაგრამ ორივეჯერ თამაშგარე მდგომარეობიდან - ჯერ **კარვალიო ამაური** დარჩა განზილებული, შემდეგ კი **ალესანდრო დელ პიერო**. ამ მარცხით „ბიანკონერიმ" საგრძნობლად გაირთულა სატურნირო მდგომარეობა, „ინტერი" მთელი რვა ქულით გაუშვა წინ.

მოგვიანებით „მილანმა" ზღაპარში მოუგო „კატანიას" და პირველად ამ სეზონში მეორე ადგილზე აინაცვლა. მოგწონთ თუ არა „როსონერის" თამაში, ფაქტი ერთია - **ლეონარდოს** უკვე აქვს შედეგი. კი ბატონო, არც ამჯერად იყო მოსაწონი „მილანის" თამაში, მაგრამ... შეცვლაზე შესულმა ორმა ფეხბურთელმა 3 ქულის საქმე გააკეთა. და ეს ხომ თავისთავად მწვრთნელის აქტივიცაა. მოკლედ, ასე იყო - **ინძაგიმ** კარგად დაუგდო ბურთი **ჰუნტელაარს**, რომელმაც დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა და მასპინძელთა მეკარეს ბურთი ილლიაში გაუძვრა (ჰოლანდიელის პირველი მილანური გოლი). ინძაგიმ მეორე ეპიზოდშიც იყოჩაღა - თითქოს დაკარგული ბურთი მოიპოვა და ჰუნტელაარს გაატანა, ამან კი თითქმის იმავე პოზიციიდან კიპერს თავზე გადაავლო. და ეს ყველაფერი მსაჯის მიერ დამატებულ დროში მოხდა...

ჰო, მართლა, **კახა კალაძე** ბოლომდე სკამზე დატოვეს...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

5 დეკემბერი. მილანი-სამპდორია, იუვენტუსი-ინტერი. 6 დეკემბერი. ჯენოა-პარმა, სიენა-კატანია, ბოლონია-უდინეზე, ფიორენტინა-ატალანტა, პალერმო-კალიარი, ნაპოლი-ბარი, ლივორნო-კიევო, რომა-ლაციო.



გამარჯვების პენალტი. მილიტო 1:0

### უდინეზე-ლივორნო 2:0

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 6.5 - საპატა 6.5, კოდა 6, დომიცი 5.5 - ბასტა 7, ინლერი 6.5 (73. კორადი 6), გ. დ'აგოსტინო 5.5 (85. სამარკო), ასამოა 7, ლუკოვიჩი 6.5 - ფლორო ფლორესი 6.5 (73. ისლა 5.5), დი ნატალე 7.5.

**ლივორნო:** დე ლუჩია 6 - პერტიკონე 6.5, დინისი 5, კნეჟევიჩი 5.5 - რაიმონდი 5 (55. ჩელერინო 5), მორო 6, ა. ფილიპინი 5.5 (85. მარკინი), პიერი 5 (46. ვიტალე 5.5) - პულცეტი 5.5, კანდრევა 6.5 - კ. ლუკარელი 5.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (29), 2:0 ფლორო ფლორესი (40)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 18-10 (7-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 15 000

### ჯენოა-სამპდორია 3:0

**ჯენოა:** ამელია 6 - ბიავა 4.5, მორეტი 6, ბოკეტი 6 - მ. როსი 8, იურიჩი 7, მილანეტო 7.5, კრიშიტო 7 - პალასიო 7 (46. პაპასტატოპულოსი 6), სკული 7 (70. ფლოკარი), პალადინო 8 (80. კრესპო).

**სამპდორია:** კასტელაცი 6 - კაჩატორე 5, გასტალდელო 5.5, მ. როსი 4, ციგლერი 4.5 - მანინი 5.5 (53. პოცი), პალომბო 6, პოლი 6 (59. აკარდი 5), პადალინო 6 (55. ტისონე 6) - კასანო 5, პაცინი 5.

**გოლები:** 1:0 მილანეტო (9-პენ), 2:0 მ. როსი (53), 3:0 პალადინო (75-პენ)

**გაძევება:** ბიავა (45. ჯენოა), მ. როსი (66. სამპდორია), კაჩატორე (88. სამპდორია)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 30-24; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 6-9 (5-2); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 33 165

### ინტერი-ფიორენტინა 1:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - ხ. ძანეტი 6, სამუელი 6.5, ლუსიო 6, კივუ 5.5 - კამბიასო 6, მანტური 6.5 (73. ტიაგო მოტა), სტანკოვიჩი 7 - კვარეშმა 6.5 (73. მანსინი) - ეტო'ო 5.5, მილიტო 6.5 (87. ვიეირა).

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 7 - კომოტო 5, დაინელი 5.5 (76. დე სილვესტრი), კროლდრუპი 6, გობი 5.5 - მონტოლივო 6, კ. ძანეტი 5.5 - მარკიონი (18. იორგენსენი 5.5), სანტანა 5.5 (86. კასტილიო), ვარგასი 6.5 - ჯილარდინო 6.5.

**გოლი:** 1:0 მილიტო (85-პენ)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 23-15 (6-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 48 955

### კალიარი-იუვენტუსი 2:0

**კალიარი:** მარკეტი 6.5 - პიზანო 6, ასტორი 6.5, ლოპესი 6.5, აგოსტინი 6 - ბიონდინი 6, კონტი 6.5, ლაძარი 6.5 (64. დესენა 6) - კოსუ 6.5 (71. პაროლა 6) - ჟედა 6.5, ნენე 7.5 (61. მატრი 7).

**იუვენტუსი:** ბუფონი 6 - კასერესი 7, ფ. კანავარო 4.5, კიელინი 7, მოლინარო 5 (81. ჯოვინკო) - სისოკო 5 (84. ტიაგო მენდეში), პოულსენი 6 - კამორანეზი 6, დიეგო 5, მარკიზიო 5.5 (61. დელ პიერო 6) - ამაური 5.

**გოლები:** 1:0 ნენე (31), 2:0 მატრი (89)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 23-11; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 10-10 (4-4); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 21 000

### პარმა-ნაპოლი 1:1

**პარმა:** მირანტე 6 - პანუჩი 6.5, დელაფიორე 6, ა. ლუკარელი 6 - ძაკარდო 6, მორონე 7, ჯემაილი 5.5, ლუნარდინი 5.5 (70. ანტონელი 5.5), კასტელინი 5.5 (54. ბიაბიანი 6) - ლანცაფამე (90. პაჩი), ამორუზო 6.5.

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - კამპანიარო 6, პ. კანავარო 6, კონტინი 5 - მაჯო 6, გარგანო 6.5, პაციენცა 6 (81. ჩიგარინი), არონიკა 5.5 - ჰამშიკი 6, კვალიარელა 6 (88. გრავა) - დენისი 6.5 (65. ბოლიაჩინო 6.5).

**გოლები:** 0:1 დენისი (32), 1:1 ამორუზო (85-პენ)

**გაძევება:** კონტინი (84. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 21-25; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-13 (5-4); **ბურთის ფლობა:** 528%-48%.

**მაყურებელი:** 20 097

### ატალანტა-რომა 1:2

**ატალანტა:** კონსილი 7 - დარიჩი 6.5, პელეგრინო 6, ბიანკო 6, ბელინი 6 - ჩერავოლო 6.5 (62. ვალდესი 7), დე აშენტისი 6, გუარენტე 6.5, პადოინი 5.5 - აკვაფრესკა 5.5 (75. კ. დონი 6.5), ტირიბოკი 6.

**რომა:** ჟულიო სერჟიო 6.5 - მოტა 5.5 (81. ბურდისო), მექსე 6.5, ჟუანი 6, რიისე 6 - პისარო 6.5, ბრიგი 6 - ვუჩინიჩი 7.5, პეროტა 6.5 (72. ჟულიო ბაპტიშტა), მენეზი 5 (62. ტადეი 6) - ტოტი 5.5.

**გოლები:** 1:0 ჩერავოლო (13), 1:1 ვუჩინიჩი (44), 1:2 პეროტა (64)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 11-14 (6-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 15 000

### კიევო-პალერმო 1:0

**კიევო:** სორენტინო 7 - სარდო 6, მორერო 6.5, მანდელი 6.5 (83. სკარდინა), მანტოვანი 6 - პინცი 7, რიგონი 6, მარკოლინი 6.5 (66. არიატი 6) - ბენტივოლიო 7 - პელისიერი 6.5, აბრუსკატო 7 (68. ბოგდანი 6.5).

**პალერმო:** სირიგუ 6 - კასანი 6, კიაერი 5, ბოვო 5.5, ბალცარეტი 5 - ნოჩერინო 5.5 (77. ერნანდესი), ლივერანი 4, ბრეშანო 5 - სიმპლისიუ 5 (65. მილიაჩო 5) - მიკოლი 5, კავანი 5 (69. ბუდანი 5).

**გოლი:** 1:0 აბრუსკატო (54)

**გაძევება:** ლივერანი (90. პალერმო)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 22-21; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-12 (4-2); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 18 000

### ლაციო-ბოლონია 0:0

**ლაციო:** მუსლერა 6.5 - დიაკიტი 6 (72. ლიხტშტაინერი 6), სტენდარდო 6, რადუ 7 - ბროკი 6, ბარონიო 4.5 (86. ელიზეუ), მათუსალემი 6.5, კოლაროვი 5.5 - ფოჯა 5.5 (66. მეგნი 5.5), სარატე 5.5 - როკი 6.

**ბოლონია:** ვივიანო 7 - კ. ძენონი 6, მორასი 5.5, პორტანოვა 6.5, ლანა 5.5 - მინგაცინი 6 (24. კაზარინი 6), გუანა 6, მუდინგაი 5 - ადაილტონი 6 (60. ბომბარდინი 6), სალაიეტა 4.5, დი ვაიო 5 (69. ოსვალდო 4).

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 15-29; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 25-5 (4-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 19 975

### ბარი-სიენა 2:1

**ბარი:** ჟილე 5 - ა. მაზიელო 6, რანოკია 6, ბონუჩი 6.5, პარიზი 5.5 - ე. ალვარესი 6.5 (58. კამატა 7), დონატი 6.5, ალმირონი 6, კომანი 6 (83. ანტონელი 6.5) - პ. ბარეტო 6 (77. გრეკო 6.5), მეჯორინი 6.

**სიენა:** კურჩი 6 - როზი 6 (66. ფიკანია 5.5), ტერცი 6, ბრანდაუ 6, დელ გროსო 6.5 - ვერგასოლა 7, ჟენევიე 6, იაროლიმი 6 - ფინი 5.5 (64. რეჟინალდო 5.5), მაკარონე 6.5 (85. კალაიო), გეზალი 6.

**გოლები:** 0:1 ვერგასოლა (3), 1:1 ა. მაზიელო (78), 2:1 გრეკო (90)

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 13-9 (5-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 15 400

### კატანია-მილანი 0:2

**კატანია:** ანდუხარი 5 - ბელუში 6.5, სილვესტრი 6.5, სპოლი 6.5, პ. ალვარესი 6 - ბიაჯანტი 6, კარბონი 6.5, ლამა 6 (61. იცკო) - მარტინესი 5.5 - მასკარა (86. პოტენცა), მორიმოტო 5 (78. რიკიუტი).

**მილანი:** დიდა 6 - აბატე 6, ნესტა 6.5, ტიაგო სილვა 6.5, ძამბროტა 6 (66. ანტონინი 6) - ფლამინი 5 (84. ჰუნტელაარი 8), ამბროზინი 6.5, ზეედორფი 6 - რონალდინიო 6 - ბორიელო 6 (74. ფ. ინძაგი 6), პატო 5.5.

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (92), 0:2 ჰუნტელაარი (94)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 21-18; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 6-13 (2-3); **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 16 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 14 | 11 | 2 | 1 | 33-11 | 35 |
| 2. მილანი | 14 | 8 | 4 | 2 | 20-15 | 28 |
| 3. იუვენტუსი | 14 | 8 | 3 | 3 | 26-15 | 27 |
| 4. სამპდორია | 14 | 7 | 3 | 4 | 20-19 | 24 |
| 5. პარმა | 14 | 7 | 3 | 4 | 18-17 | 24 |
| 6. ჯენოა | 14 | 7 | 2 | 5 | 26-24 | 23 |
| 7. კალიარი | 14 | 7 | 1 | 6 | 21-16 | 22 |
| 8. ბარი | 14 | 5 | 6 | 3 | 14-11 | 21 |
| 9. რომა | 14 | 6 | 3 | 5 | 24-22 | 21 |
| 10. ფიორენტინა | 14 | 6 | 3 | 5 | 15-13 | 21 |
| 11. ნაპოლი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-19 | 20 |
| 12. უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 17-17 | 18 |
| 13. კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 16-16 | 18 |
| 14. პალერმო | 14 | 4 | 5 | 5 | 17-19 | 17 |
| 15. ლაციო | 14 | 2 | 7 | 5 | 9-14 | 13 |
| 16. ბოლონია | 14 | 3 | 4 | 7 | 14-21 | 13 |
| 17. ატალანტა | 14 | 3 | 3 | 8 | 14-22 | 12 |
| 18. ლივორნო | 14 | 3 | 3 | 8 | 6-16 | 12 |
| 19. კატანია | 14 | 1 | 6 | 7 | 12-21 | 9 |
| 20. სიენა | 14 | 1 | 3 | 10 | 12-24 | 6 |

**ბომბარდირები:** 10 - დი ნატალე (უდინეზე); 9 - მილიტო (ინტერი), ტოტი (რომა); 8 - პაცინი (სამპდორია); 7 - ჰამშიკი (ნაპოლი); 6 - ეტო'ო (ინტერი), ჯილარდინო (ფიორენტინა), მატრი (კალიარი), ნენე (კალიარი), პატო (მილანი), ტრეზეგე (იუვენტუსი).

## სერია B

### XVI ტური

**სალერნიტანა-გალიპოლი 1:3**

გოლები: 1:0 სოლიგო (5), 1:1 პალანტე (39), 1:2 დი კარმინე (63), 1:3 დი ჯენარო (90)

**ემპოლი-ჩეზენა 2:0**

გოლები: 1:0 კორალი (44), 2:0 ვალდიფიორი (74)

**პადოვა-ვიჩენცა 1:2**

გოლები: 0:1 სესტუ (11), 1:1 ტრევიზანი (12), 1:2 ბელანოვიჩი (45)

გაძევება: ფაისკა (15. პადოვა), სეზარი (66. პადოვა)

**პიაჩენცა-ასკოლი 2:1**

გოლები: 0:1 ბერნაჩი (45), 1:1 რინკონი (58), 2:1 მოსკარდელი (61)

**მოდენა-ტრიესტინა 2:0**

გოლები: 1:0 ბრუნო (17), 2:0 ბრუნო (66)

**ფროზინონე-ალბინოლეფე 2:2**

გოლები: 0:1 ჩელინი (30), 1:1 ბაშა (65), 1:2 პერიკო (80), 2:2 სანტორუვო (90)

გაძევება: პიჩინი (90. ალბინოლეფე)

**ლეჩე-გროსეტო 3:2**

გოლები: 0:1 პინილია (3), 0:2 პინილია (34), 1:2 ფაბიანო (45), 2:2 ანჟელო (46), 3:2 ჯაკომაცი (74)

**ანკონა-სასუოლო 2:2**

გოლები: 0:1 მაზუჩი (25), 1:1 მასტრონუნციო (31), 2:1 მასტრონუნციო (74), 2:2 ნოსელი (83)

გაძევება: ფუზანი (81. სასუოლო)

**ტორინო-კროტონე 1:2**

გოლები: 0:1 პეტრილი (22), 0:2 ბონვისუტო (26), 1:2 რ. ბიანკი (29)

**რეჯინა-ბრეშა 4:0**

გოლები: 1:0 პაგანო (6-პენ), 2:0 პაგანო (19), 3:0 კაშონე (74), 4:0 ლანძარო (89)

გაძევება: ბეგა (2. ბრეშა)

**მანტოვა-ჩიტადელა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანკონა | 16 | 9 | 3 | 4 | 27-15 | 30 |
| 2. ლეჩე | 16 | 9 | 3 | 4 | 27-19 | 30 |
| 3. ემპოლი | 15 | 8 | 3 | 4 | 24-18 | 27 |
| 4. ჩეზენა | 16 | 6 | 8 | 2 | 18-9 | 26 |
| 5. მოდენა | 16 | 8 | 2 | 6 | 17-16 | 26 |
| 6. ტორინო | 16 | 6 | 5 | 5 | 22-15 | 23 |
| 7. ვიჩენცა | 16 | 5 | 8 | 3 | 18-15 | 23 |
| 8. ტრიესტინა | 16 | 6 | 5 | 5 | 18-18 | 23 |
| 9. სასუოლო | 15 | 5 | 7 | 3 | 23-16 | 22 |
| 10. პადოვა | 16 | 5 | 7 | 4 | 21-17 | 22 |
| 11. ფროზინონე | 15 | 6 | 4 | 5 | 22-21 | 22 |
| 12. გალიპოლი | 16 | 5 | 7 | 4 | 15-17 | 22 |
| 13. ბრეშა | 15 | 6 | 3 | 6 | 18-19 | 21 |
| 14. კროტონე (-2) | 16 | 5 | 7 | 4 | 15-17 | 20 |
| 15. გროსეტო | 15 | 4 | 7 | 4 | 21-23 | 19 |
| 16. ჩიტადელა | 15 | 4 | 5 | 6 | 18-19 | 17 |
| 17. რეჯინა | 15 | 4 | 4 | 7 | 17-22 | 16 |
| 18. პიაჩენცა | 16 | 4 | 4 | 8 | 14-22 | 16 |
| 19. ალბინოლეფე | 15 | 3 | 6 | 6 | 17-24 | 15 |
| 20. ასკოლი | 16 | 3 | 6 | 7 | 19-28 | 15 |
| 21. მანტოვა | 15 | 2 | 7 | 6 | 14-18 | 13 |
| 22. სალერნიტანა | 15 | 1 | 3 | 11 | 12-29 | 6 |

**ბომბარდირები:** 12 - რ. ბიანკი (ტორინო), მასტრონუნციო (ანკონა); 8 - კარაჩოლო (ბრეშა); 7 - ანტენუჩი (ასკოლი), პინილია (გროსეტო).

## ლეგა პრო 1/A

### XV ტური

ფოლინიო-პრო პატრია 1:1, ლეკო-ვიარეჯო 0:0, სორენტო-კომო 0:0, კრემონეზე-ნოვარა 0:2, მონცა-ვარეზე 3:1, ლუმეცანე-ალესანდრია 1:2, პაგანეზე-პერგოკრემა 3:0, არეცო-ფილინე 3:2, ბენევენტო-პერუჯა დღეს.

## ლეგა პრო 1/B

### XV ტური

რავენა-კოზენცა 3:1, პესკარა-ფოჯა 0:0, ტარანტო-ვერონა 0:0, ტერნანა-რეალ მარჩანიზე 0:3, სპალ-რეჯანა 1:1, პეშინა-ანდრია 1:1, პორტოგრუარო-პოტენცა 1:0, რიმინი-ვირტუს ლანჩანო 0:0, კავეზე-ჯულიანოვა 2:2.

# ბრავო, ჰაინკეს, ბრავო!

## ლევერკუზენი ახალი გერმანული მანქანაა



შტეფან კისლინგმა (მარჯვნივ) შტუტგარტს სამი გოლი გაუტანა, ერენ დერდიოკმა კი ერთი

შაბათს, ზინსჰაიმში, სადაც სოფლის გუნდი „ჰოფენჰაიმი“ საშინაო მატჩებს ატარებს ხოლმე, საფეხბურთო მატჩი კი არა, ნამდვილი ომი გაიმართა! თამამად ვიტყვით, ეს იყო მიმდინარე სეზონის ყველაზე ემოციური და დაძაბული შეხვედრა - ადგილობრივ „ჰოფენჰაიმსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის. პრინციპში, ამას ველოდით კიდეც, რადგან ეს ომი ძალიან ადრე, თამაშამდე ოთხი დღით ადრე დაიწყო, როცა დორტმუნდელთა შეფმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** „ჰოფენჰაიმს“ შეურაცხოფა მიაყენა: *„რა ჰქვია იმ გუნდს, სოფლიდან რომ არიან? „ჰოფე“ თუ „ჰოპენჰაიმი“? რა ეშველებოდათ, მილიარდერი პატრონი რომ არ ჰყავდეთ? ჩვენ შაბათს არ უნდა დავუშვათ, რომ ფულმა ფეხბურთზე იზეიმოს!“*

უშუალოდ თამაშის წინ, ვატცკემ კიდევ ერთხელ თქვა, არც ერთ სიტყვას უკან არ წავიღებო, რითაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ამასთან, ზინსჰაიმში ჩასული 3 000 დორტმუნდელი ფანი პირველიდან ბოლო წუთამდე **დიტმარ ჰოპის** და ზოგადად „ჰოფენჰაიმის“ შეურაცხმყოფელ „სიმღერებს“ მღეროდნენ. საპასუხოდ, „ჰოფენჰაიმის“ ქომაგებმა დორტმუნდელთა მეკარე **რომან ვაიდენფელერს** სანთებელები და სხვა საგნები დაუშინეს. ლოგიკურია, რომ ემოციებმა მოედანიც მოიცვა. „დორტმუნდი“ მოწოდების სიმაღლეზე იდგა და „ბორუსიას“ ფეხბურთელები თავს ხისტად იცავდნენ, ტექნიკურ ჰოფენჰაიმელებს ხშირად ეუხეშებოდნენ, მაგრამ ჯარიმის ზღვარზე და არა არასპორტულად. ბოლო 15 წუთის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ და მხოლოდ ემოციები დუღდა - ამას უკვე ფეხბურთი აღარც ჰქვია!

ვითარება განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა დორტმუნდელებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს (**შიმუნიჩმა სუბოტიჩს** წაავლო ხელი). „ჰოფეს“ თავკაცი **რალფ რანგნიკი** ამბობს, თუ ეს თერთმეტმეტრიანი იყო, მაშინ ყველა თამაშში 6-7 პენალტი უნდა ინიშნებოდესო. მერე „სოფლელების“ თავდამსხმელმა **მაიკოსუელმა** ზედმეტად აგრესიულად გაარტყა ბურთი ვაიდენფელერს, რის გამოც ბრაზილიელ ფორვარდს წითელი ბარათი აუფრიალეს. წითელი ბარათის აწევა და მოედანზე შეხლა-შემოხლის დაწყება ერთი იყო. მეტოქეები ერთმანეთს ხელებს ჰკრავდნენ, „ჰოფეს“ თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩი** კი **პატრიკ ოვომოიელას** თმებში სწვდა და სახეც „დაუჭმუჭნა“. მასპინძელთა მეკარე **ტიმო ჰილდებრანდი**: *„პენალტი ნაჩუქარი იყო, ვაიდენფელერი კი, უმჯობესი იქნებოდა, მსახიობი გამოსულიყო და არა ფეხბურთელი. ფაქტია, რომ მსახიობობა გაცილებით უკეთ გამოსდის.“* მცველი იოზიპ შიმუნიჩი: *„წითელი ბარათი დაცინვა იყო! ისევე, როგორც პენალტი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ მსაჯს ერთხელაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დანიშნავენ!“*

*„ყველაფერი ფეხებზე მკიდია, მთავარი ის არის, რომ ჩვენ მოვიგეთ!“* - ეს კი დორტმუნდელთა სკანდალური მეკარის, ვაიდენფელერის სიტყვებია. მატჩის შემდეგ ვატცკე მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** გადაეხვია და ზედიზედ მეშვიდე მატჩის არწაგება და მნიშვნელოვანი სამი ქულა მიულოცა, რის შემდეგაც თქვა: *„ვამაყობ ამ გუნდით!“* ისე, დორტმუნდელები თავიანთ უერთგულეს ქომაგებს სიამაყის საფუძველს ხშირად ნამდვილად არ აძლევენ ხოლმე...

„ვერდერისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უხვგოლიანი და თვალსასეირო გამოვიდა. არც ამ შეხვედრას აკლდა ემოციები და ვნებათაღელვა. „მგლები“ ორჯერ იგებდნენ (ორივე გოლი **ედინ ჯეკომ** გაიტანა), მაგრამ „მუსიკოსებმა“ ორჯერვე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. სკანდალური გამოვიდა ბრემენელთა მეორე გოლი, რომლის ავტორი **პერ მერტეზაკერია**. აყლაყუდა მცველმა **მესუთ იოზილის** მიერ ჩაწოდებული კუთხურიდან იხეირა - კუთხურიდან, რომელიც არ უნდა დანიშნულიყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ვოლფსბურგელები. საქმე იმაშია, რომ სანამ ბურთი პირით ხაზს გადაკვეთდა, იოზილს ის ხელზე მოხვდა. მსაჯი **გიუნტერ პერლი** მიიჩნევს, რომ მესუთს ხელით განგებ არ უთამაშია, რასაც ვოლფსბურგელები კატეგორიულად არ ეთანხმებიან. საფინალო სასტვენის შემდეგ „მგლების“ დამრიგებელი **არმინ ფეე** მოედანზე შეიჭრა და არბიტრთან ცხარე კამათი გააჩაღა. იმავეს აკეთებდნენ „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელებიც. მოკლედ, „ვერდერი“ სასწაულად და ცოტა მსაჯის წახმარებით გადაურჩა 18-მატჩიანი წაუგებელი სერიის შეწყვეტას და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი შეინარჩუნა.

„ჰამბურგს“ ისევ მძიმე უქმეები ჰქონდა. **ბრუნო ლაბადიას** გუნდმა, რომელსაც ორივე წამყვანი თავდამსხმელი (**პეტრიჩი, გერერო**) ტრავმირებული ჰყავს, ორი ქულაც დაკარგა და გაჭირვების ჟამს თავდასხმაში გადასროლილი ნახევარმცველი, უნიჭიერესია **ელერო ელიაც**. 22 წლის ჰოლანდიელი საკმაოდ მძიმედ დაშავდა და ეს უკანასკნელი ლაბადიას გუნდში მერვე (!) ტრავმირებული ფეხბურთელია. ჩრდილოელებმა მაინცში მხოლოდ 1:1-ს მიაღწიეს და ახლა უკვე ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ. მატჩის შემდეგ ლაბადიამ აღიარა, პირველი წრის დარჩენილ შეხვედრებში ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ჩვენი საკადრო პრობლემები კვირიდან კვირამდე მატულობსო. „მაინცის“ თავკაცმა **თომას ტუხელმა** კი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჰამბურგელებს ბოდიში მოუხდა, იმედი მაქვს, ელიას ტრავმა სერიოზული არ არისო. აქვე გეტყვით, რომ დამარცხდა „შალკე“, თანაც მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** წაგებით კმაყოფილი დარჩა, ბიჭები იეფორიაში იყვნენ და კარგია, რომ წავაგეთ, აზრზე მოვლენ და გამოფხიზლდებიანო - კაცია და გუნება...

ბერლინის „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგისკენ მარშირებულ სვლას აგრძელებს. დედაქალაქის გუნდმა ამჯერად „აინტრახტთან“ წააგო, თანაც საკუთარ მოედანზე და ისევ არცთუ პატარა ანგარიშით: 1:3. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: „ჰერტას“ ფანებს იმის თავი და სურვილიც კი აღარ აქვთ, რომ თავის „საყვარელ“ გუნდს უსტვინონ! სამაგიეროდ, „აინტრახტის“ ფანები ყვიროდნენ, **ფუნკელი** გააგდეთო! შეგახსენებთ, რომ ფრიდჰელმ ფუნკელი „ჰერტას“ მწვრთნელია! სხვათა შორის, ფრიდჰელმი ხუთი წელი მუშაობდა „აინტრახტის“ თავკაცად და ამ გუნდის ყველა ფეხბურთელს ზედმიწევნით ზუსტად იცნობს, მაგრამ მაინც ვერ მიაგნო ისეთ ტაქტიკურ სქემას და სტრატეგიას, რომლითაც „აინტრახტს“ დაამარცხებდა ან თუნდაც ფრეს მიაღწევდა. ჩვენ კი მხოლოდ ერთსღა დავძენთ: ასეთი თამაშების შემდეგ, „ჰერტას“ შეუძლია, ფული მაინც დაზოგოს ამ სეზონის გაგრძელებაზე უარი თქვას. ფაქტია, რომ ასეთი „ჰერტა“ ბოლო ადგილს თავს ვერ დააღწევს! თუმცა ბერლინელთა შეფი **ვერნერ გეგენბაუერი** ამბობს, მეორე ბუნდესლიგაზე ფიქრს მხოლოდ მაშინ დავიწყებთ, როცა ელიტაში ადგილის შენარჩუნების თეორიული შანსიც კი აღარ გვექნებაო. თუ ასე გააგრძელეს, ბერლინელებს ეს დღეც ძალიან მალე დაუდგებათ.

ამიერიდან, სადაც „ჰერტას“ ბედოვლათობას ვახსენებთ, იქ არც „შტუტგარტი“ უნდა დაგვავიწყდეს. პირდაპირ ვთქვათ: გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი პარადოქსია ის, რომ „შტუტგარტი“ წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს! გუშინდელის მერე შვაბები „ჰერტას“ „მხარში ამოუდგნენ“ და ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრდნენ - შვიდი თამაშია, „შტუტგარტს“ ბუნდესლიგაში არ მოუგია და ამ შვიდ მატჩში მხოლოდ ორი გოლის გატანა შეძლო. გუშინ კი, **მარკუს ბაბელის** ბიჭები ბრწყინვალედ მოთამაშე „ლევერკუზენთან“ განადგურდნენ - 0:4. შვაბთა მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** მატჩის შემდეგ ცოფებს ყრიდა: *„რატომ წავაგეთ? იმიტომ, რომ საშინლად, ამაზრზენად, ანტიფეხბურთს ვთამაშობთ. მეჩვიდმეტე ადგილზე ვართ და ზოგიერთები „ფინტაობენ“, პასებს ქუსლებით აკეთებენ და ა.შ. მთელი გუნდი გასაგდებია! არც ერთი არ იმსახურებს მოედანზე ყოფნას!“* იმ დროს, როცა „შტუტგარტს“ ძალიან მძიმე დროება დაუდგა, „ლევერკუზენი“ კვლავ ამაყად ლიდერობს და შემოდგომის ჩემპიონობას უმიზნებს! „ფარმაცევტებიდან“ ისევ ბრწყინვალე იყო **შტეფან კისლინგი**, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა და ბომბარდირთა დავას ახლა უკვე 12 გოლით ლიდერობს. ბრავო, **იუპ ჰაინკეს**! მწვრთნელიც ასეთი უნდა: საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის გუნდისგან, დონ იუპმა ახალი, ნამდვილი გერმანული მანქანა შექმნა!

გუშინვე, მიუნხენის „ბაიერნმა“ მოგების გემო გაიხსენა და „ჰანოვერში“ 3:0 მოიგო. ამ გამარჯვებით **ლუის ვან გაალის** შეგირდები მეოთხე ადგილამდე ალზევდნენ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

4 დეკემბერი. ბაიერნი-ბორუსია (მ). 5 დეკემბერი. ვოლფსბურგი-ფრაიბურგი, შტუტგარტი-ბოხუმი, ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი, ბორუსია (დ)-ნიურნბერგი, ჰანოვერი-ლევერკუზენი, აინტრახტი-მაინცი. 6 დეკემბერი. კიოლნი-ვერდერი, შალკე-ჰერტა.

### ბოხუმი-კიოლნი 0:0

**ბოხუმი (4-2-3-1):** ჰეერვაგენი 3.5 - კონჩა 4 (46. კლიმოვიჩი 4), მალტრიტცი 5, მავრაი 3, ფუხსი 4 - დაბროვსკი 3, პფერტცელი 3.5 - პროკოფი 3.5, ონო 4.5, გროტე 5 (46. ეპალე 4) - შესტაკი 5.

**კიოლნი (4-1-4-1):** მონდრაგონი 3 - შორხი 4, ჟერომელი 3.5, მოჰამადი 3, ერეთი 3.5 - პეცონი 3.5 (64. მაკენა 3.5) - პეტიტი 3, მანიშე 4 - ჩიპი 3.5, იალსინი 4 (62. სანუ 4) - ნოვაკოვიჩი 3.5.

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 5(3)-10(2); **ჯარიმა:** 17-16; **კუთხური:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 29 102

### ჰოფენჰაიმი-ბორუსია (დ) 1:2

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** ჰილდებრანდი 3.5 - ბეკი 4, შიმუნიჩი 4, კომპერი 4 (46. ფორსა 4.5), აიხნერი 4.5 (46. ვაისი 3.5) - სალიჰოვიჩი 4.5, ლუის გუსტავო 4 - კარლოს ედუარდო 3 - ობასი 4.5 (74. მაიკოსუელი), იბიშევიჩი 5, ბა 2.5.

**ბორუსია დ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3 - ოვომოიელა 3, სუბოტიჩი 2, ჰუმელსი 3.5, შმელცერი 4.5 - ს. ბენდერი 3.5, ნ. შაჰინი 2.5 - ბლაშჩიკოვსკი 3 (90. სანტანა), ზიდანი 3 (80. ფოილნერი), გროსკროიტცი 4 - ბარიოსი 4.

**გოლები:** 0:1 ბლაშჩიკოვსკი (2), 1:1 ბა (49), 1:2 ნ. შაჰინი (79-პენ)

**გაძევება:** მაიკოსუელი (81. ჰოფენჰაიმი)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 14(1)-14(6); **ჯარიმა:** 17-28; **კუთხური:** 9-6; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 30 150

### მაინცი-ჰამბურგი 1:1

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი 2.5 - ფ. ჰელერი 3.5, ბუნგერტი 3, ნოვესკი 4, ლიოვი 3.5 (62. ამრი 4) - კარჰანი 4, სოტო 3.5 (81. პოლანსკი) - ჰოოგლანდი 3, ივანშიტცი 3, შიურლე 4 - ბონსე 4.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი 2 - დემელი 4, როზენალი 5.5, მატიისენი 2.5, აოგო 3.5 - იაროლიმი 3.5, ჟ. ბოატენგი 3.5 - ტროხოვსკი 4 (83. რინკონი), იანსენი 3.5 - თორუნი 3 (68. არსლანი 4), ელია (16. ბერგი 5).

**გოლები:** 0:1 თორუნი (3), 1:1 ჰოოგლანდი (84)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 12(6)-14(5); **ჯარიმა:** 10-20; **კუთხური:** 10-7; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 300

### ნიურნბერგი-ფრაიბურგი 0:1

**ნიურნბერგი (4-1-2-1-2):** შტეფანი 3.5 - დიკმაიერი 3.5, ვოლფი 3, მარო 5 (46. ჩუპო-მოტინგი 4), პინოლა 3.5 - ნორდტვეიტი 3 - ჟიგაქსი 5 (74. მინტალი), ფრანტცი 4.5 (67. ვიდოშიჩი 4.5) - კლუგე 4 - აიგლერი 5, ბუნიაკუ 4.

**ფრაიბურგი (4-1-2-1-2):** პუპლინი 3 - დუ-რი ჩა 3.5, ბართი 3, ბასტიანსი 3.5, მენდი 3 - ბანოვიჩი 3 - კალიგიური 4, მაკიადი 5 (61. უცომა 4) - აბდესადკი 4.5 (92. შუსტერი) - რაიზინგერი 3 (67. იეგერი 3.5), იდრისუ 3.5.

**გოლი:** 0:1 რაიზინგერი (12)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 20(3)-7(3); **ჯარიმა:** 15-23; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 40 824

### ვერდერი-ვოლფსბურგი 2:2

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე 3 - ფრიტცი 3.5, მერტეზაკერი 3, ნალდო 4.5, ბოონიში 4.5 - ფრინგსი 2.5 (89. მორენო) - ბარგფრედე 3.5 (73. დ. იენსენი), ჰანტი 3.5 - იოზილი 3 - უგო ალმეიდა 3, მარინი 3.5 (79. როზენბერგი).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო 2.5 - რიტერი 3.5, რ. კოშტა 3, ბარძალი 4, ჯონსონი 3.5 - ჰასებე 3 (90. მადლუნგი), გენტნერი 4 - გრაფიტე 4.5 (79. კალენბერგი), მიშიმოვიჩი 4, ზიანი 2 - ჯეკო 2.

**გოლები:** 0:1 ჯეკო (42), 1:1 უგო ალმეიდა (62), 1:2 ჯეკო (85), 2:2 მერტეზაკერი (90)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 24(6)-8(4); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 9-6; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 34 523

### ჰერტა-აინტრახტი 1:3

**ჰერტა (4-2-3-1):** დრობნი 3 - პიეჩეკი 4.5 (84. იანკერი), ა. ფრიდრიხი 5, ფონ ბერგენი 5, პეეჩინოვიჩი 5.5 - ლუსტენბერგერი 4.5, სისერო 4.5 - რაფაელი 4.5, კაჩარი 5, ნიკუ 5 - დომოვჩიისკი 5 (46. რამოსი 3.5).

**აინტრახტი (4-1-4-1):** ნიკოლოვი 2.5 - ფრანცი 2.5, კრისი 3, რუსი 3.5, შპიხერი 3 - ბაირამოვიჩი 3.5 - ჰ. ოხსი 2, ა. მაიერი 2.5, შვეგლერი 3, ქორქმაზი 3.5 (64. კიოლერი 4) - ლიბეროპულოსი 2.5 (93. ტებერი).

**გოლები:** 0:1 ჰ. ოხსი (11), 0:2 ფრანცი (70), 0:3 ა. მაიერი (75), 1:3 რამოსი (81)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(6)-12(7); **ჯარიმა:** 22-21; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 48 253

### ბორუსია (მ)-შალკე 1:0

**ბორუსია მ (4-2-2-2):** ბეილი 3 - ლეველსი 3, ბრაუერსი 3.5, დანტე 2, ჟორე 4.5 - მარქსი 3, ბრედლი 4 - როისი 2.5, არანგო 3 (86. კლაინე) - მატმური 4 (89. მეეუვისი), ფრენდი 4.5 (71. ბობადილია).

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი 3.5 - რაფინია 4, ჰიოვედესი 3, ბორდონი 3, ვესტერმანი 5 - მატიპი 4 - მორიტცი 5 (60. ჰალილ ალთინთოფი 4.5), შმიტცი 4 - რაკიტიჩი 5 (46. მორავეკი 4) - ფარფანი 4 (85. ჰოლტბი), კურანი 4.

**გოლი:** 1:0 როისი (5)

**გაფრთხილება:** 0-5; **დარტყმა:** 12(3)-18(4); **ჯარიმა:** 12-24; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 54 057

### ლევერკუზენი-შტუტგარტი 4:0

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ადლერი 3 - შვააბი 3, მ. ფრიდრიხი 2.5, ჰიიპია 2, კასტრო 3 (84. შარპეი) - ვიდალი 2.5 (84. ლ. ბენდერი), რაინარტცი 2.5 - ბარნეტა 3, კროოსი 1 - დერდიოკი 2.5, კისლინგი 1 (89. ჰელმესი).

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 4.5 - ოსორიო 4.5, ტასკი 5, დელპიერი 5.5, ბოკა 5 - რუდი 4.5, ტრეში 4.5 - გებჰარდტი 5 (46. ჰილბერტი 4.5), ჰლები 4.5 - კაკაუ 5 (46. შიბერი 4.5), პოგრებნიაკი 5 (73. მარიკა).

**გოლები:** 1:0 კისლინგი (22), 2:0 დერდიოკი (39), 3:0 კისლინგი (59), 4:0 კისლინგი (87-პენ)

**გაფრთხილება:** 0-6; **დარტყმა:** 22(9)-10(2); **ჯარიმა:** 12-21; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 30 210

### ჰანოვერი-ბაიერნი 0:3

**ჰანოვერი (4-1-3-1-1):** ფრომლოვიტცი - პინტუ (78. კრუინოვეკი), ჰაგი, კ. შულცი, რაუში - ბალიტში - შტაინერი, როზენტალი (86. რამა), ჯაპკა (68. ჰანკე) - ბრუგინკი - ია კონანი.

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, პრანიჩი (76. ოტლი) - გომესი, ოლიჩი (85. ბაუმიოჰანი).

**გოლები:** 0:1 თ. მიულერი (19), 0:2 ოლიჩი (47), 0:3 გომესი (90)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 14(6)-9(5); **ჯარიმა:** 16-13; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 49 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 14 | 8 | 6 | 0 | 30-9 | 30 |
| 2. ვერდერი | 14 | 7 | 6 | 1 | 31-12 | 27 |
| 3. შალკე | 14 | 7 | 4 | 3 | 21-13 | 25 |
| 4. ბაიერნი | 14 | 6 | 6 | 2 | 22-11 | 24 |
| 5. ჰამბურგი | 14 | 6 | 6 | 2 | 28-18 | 24 |
| 6. ჰოფენჰაიმი | 14 | 7 | 2 | 5 | 25-13 | 23 |
| 7. მაინცი | 14 | 6 | 5 | 3 | 20-18 | 23 |
| 8. ვოლფსბურგი | 14 | 6 | 4 | 4 | 27-25 | 22 |
| 9. ბორუსია (დ) | 14 | 5 | 6 | 3 | 15-16 | 21 |
| 10. აინტრახტი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-21 | 19 |
| 11. ბორუსია (მ) | 14 | 5 | 3 | 6 | 16-21 | 18 |
| 12. ჰანოვერი | 14 | 4 | 4 | 6 | 16-19 | 16 |
| 13. ფრაიბურგი | 14 | 5 | 1 | 8 | 17-30 | 16 |
| 14. კიოლნი | 14 | 3 | 4 | 7 | 7-15 | 13 |
| 15. ნიურნბერგი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-21 | 12 |
| 16. ბოხუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 13-25 | 12 |
| 17. შტუტგარტი | 14 | 2 | 5 | 7 | 11-20 | 11 |
| 18. ჰერტა | 14 | 1 | 2 | 11 | 9-30 | 5 |

**ბომბარდირები:** 12 - კისლინგი (ლევერკუზენი); 6 - ჯეკო (ვოლფსბურგი), იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), ივანშიტცი (მაინცი), კურანი (შალკე), მიშიმოვიჩი (ვოლფსბურგი), იოზილი (ვერდერი), პისარო (ვერდერი), ბუნიაკუ (ნიურნბერგი)

### II ბუნდესლიგა

**კარლსრუე-კობლენცი 2:1**

**გოლები:** 1:0 შტინდლი (48), 2:0 ფინკი (62), 2:1 ნ. კუქი (74)

**ალემანია-ალენი 0:2**

**გოლები:** 0:1 ვიმანი (16), 0:2 გორშლიუტერი (40)

**ფრანკფურტი-ჰანზა 0:1**

**გოლი:** 0:1 ფილინგერი (21)

**დუისბურგი-აუგსბურგი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბრინკმანი (24), 0:2 ტრაორე (64), 1:2 ტიფერტი (74-პენ), 2:2 ტიფერტი (79)

**პადერბორნი-ფიურტი 1:0**

**გოლი:** 1:0 ზალიკი (31)

**კოტბუსი-ობერჰაუზენი 3:0**

**გოლები:** 1:0 შტრაითი (15), 2:0 იულა (47), 3:0 ბიტროფი (73)

**ზტ. პაული-უნიონი 3:0**

**გოლები:** 1:0 ებერსი (9), 2:0 კალა (14), 3:0 კრუზე (39)

**მიუნხენ 1860-ფორტუნა 2:2**

**გოლები:** 1:0 ლუდვიგი (36), 2:0 ტ. ჰოფმანი (63), 2:1 იოვანოვიჩი (70), 2:2 ზუნდი (73)

**კაიზერსლაუტერნი-არმინია დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 13 | 9 | 3 | 1 | 21-9 | 30 |
| 2. ზტ. პაული | 14 | 9 | 2 | 3 | 33-15 | 29 |
| 3. არმინია | 13 | 9 | 1 | 3 | 22-9 | 28 |
| 4. ფორტუნა | 14 | 7 | 3 | 4 | 22-14 | 24 |
| 5. უნიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 23-21 | 23 |
| 6. აუგსბურგი | 14 | 5 | 7 | 2 | 29-24 | 22 |
| 7. დუისბურგი | 14 | 6 | 4 | 4 | 25-22 | 22 |
| 8. პადერბორნი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-18 | 20 |
| 9. ობერჰაუზენი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-24 | 20 |
| 10. ფიურტი | 14 | 6 | 0 | 8 | 25-25 | 18 |
| 11. კოტბუსი | 14 | 5 | 3 | 6 | 22-23 | 18 |
| 12. კარლსრუე | 14 | 5 | 3 | 6 | 18-21 | 18 |
| 13. ჰანზა | 14 | 6 | 0 | 8 | 18-22 | 18 |
| 14. ალემანია | 14 | 4 | 4 | 6 | 11-17 | 16 |
| 15. მიუნხენ 1860 | 14 | 4 | 3 | 7 | 16-19 | 15 |
| 16. კობლენცი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-21 | 12 |
| 17. ფრანკფურტი | 14 | 2 | 3 | 9 | 11-27 | 9 |
| 18. ალენი | 14 | 1 | 4 | 9 | 9-22 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - თურკი (აუგსბურგი); 9 - ებერსი (ზტ. პაული), ფედერიკო (არმინია); 7 - შ. კუქი (კობლენცი), ნიოთე (ფიურტი); 6 - ალაგუი (ფიურტი), იოვანოვიჩი (ფორტუნა), იულა (კოტბუსი), მოსკერა (უნიონი).

### III ბუნდესლიგა

რეგენსბურგი-ბორუსია (დ) II 2:0, დრეზდენი-ჰაიდენჰაიმი 4:3, კარლ ცაისი-ვუპერტალი 1:0, უნტერჰახინგი-შტუტგარტი II 1:0, ინგოლშტადტი-ვეენი 5:1, ოფენბახი-ზანდჰაუზენი 3:3, ბრაუნშვაიგი-აუე 3:0, ბურგჰაუზენი-ერფურტი 1:3, კილი-ოსნაბრიუკი 1:1, ვერდერი II-ბაიერნი II 0:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ლილი-ვალანსი | 4:0 |
| ლორიანი-გრენობლი | 2:2 |
| პსჟ-ოსერი | 1:0 |
| სოშო-ნიცა | 1:0 |
| ტულუზა-ბულონი | 1:0 |
| ლანსი-მარსელი | 1:0 |
| ლე მანი-სტ. ეტიენი | 1:1 |
| ნანსი-ბორდო | 0:3 |
| ლიონი-რენი | 1:1 |
| მონაკო-მონპელიე | გადაიდო |

### II დივიზიონი

XV ტური

მეცი-კლერმონი 2:1; ბასტია-ბრესტი 1:1; დიჟონი-სტრასბური 0:0; გინგამი-არლი 4:1; ისტრი-ვანი 1:1; ლავალი-სედანი 1:1; ტური-ანჟერსი 2:0; ჰავრი-აიაჩო 1:0; ნანტი-შატორუ 2:2; ნიმი-კაენი 0:4.

## ჰოლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| სპარტა-ეინდჰოვენი | 2:3 |
| ალკმაარი-ვენლო | 2:0 |
| ჰერაკლესი-როდა | 3:2 |
| ჰერენვენი-ვაალვიკი | 3:1 |
| ვილემი-ტვენტე | 1:3 |
| დენ ჰააგი-ფეიენოორდი | 0:2 |
| ვიტესი-აიაქსი | 1:5 |
| გრონინგენი-ნიიმეგენი | 2:2 |
| უტრეხტი-ბრედა | 3:1 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ცვოლე-კამბური 1:0; გრააფსხაპი-ჰაარლემი 4:1; ემენი-ეინდჰოვენი II 4:1; დორდრეხტი-იგლზი 2:0; ომნივორლდი-ვეენდამი 1:1; ჰელმონდი-დენ ბოში 2:1; მაასტრიხტი-აპელდოორნი 3:2; როსენდაალი-ვოლენდამი 2:2; ტელსტარი-ფორტუნა 3:1; ტოპ ოსი-ექსელსიორი 1:2.

## ბელგია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-კორტრიიკი | 1:0 |
| გენტი-სერკლი | 3:1 |
| ბრიუგე-შარლერუა | 1:0 |
| ბეერსხოტი-რუზელარე | 3:0 |
| მუსკრონი-გენკი | 2:0 |
| ვესტერლო-მეხელენი | 2:0 |
| ვარეგემი-ლოკერენი | 1:0 |
| სტ. ტრუიდენი-სტანდარდი | 2:0 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ოსტენდე-დენდერი 2:2; ბევერენი-რონსე 1:2; ეუპენი-ანტვერპენი 1:1; ლომელი-ტურნე 3:1; ტუბეკე-სტანდარდი (ვ) 4:2; ტურნჰაუტი-ბრიუსელი 1:2; ვაასლანდი-ჰევერლე 1:1; ბორინაჟი-ლიერსი 1:3; ტინენი-ლიეჟი 2:1.

## არგენტინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| როსარიო-ატლეტიკო | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ურაკანი | 2:0 |
| ჩაკარიტა-გოდოი | 2:1 |
| რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი | 1:1 |
| სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი | 3:0 |
| ტიგრე-ველესი | გვ. დასრულდა |
| ბანფილდი-რასინგი | გვ. დასრულდა |
| არსენალი-ლანუსი | დღეს |
| კოლონი-ნიუელსი | დღეს |

## პორტუგალია

XI ტური

| | |
|---|---|
| ოლჰანენსე-გიმარაეში | 0:2 |
| ნასიონალი-ნავალი | 1:1 |
| სპორტინგი-ბენფიკა | 0:0 |
| აკადემიკა-სეტუბალი | 3:0 |
| ფერეირა-ლეიქსოეში | 1:1 |
| ბელენენსეში-მარიტიმუ | 2:2 |
| პორტუ-რიუ ავე | 2:1 |
| ბრაგა-ლეირია | დღეს |

### II დივიზიონი

XI ტური

კოვილია-პორტიმონენსე 3:1; ავეში-ოლივეირენსე 2:1; კარეგადო-ეშტორილი 1:2; პენაფიელი-ვარზიმი 0:0; ჟილ ვისენტე-შავეში 0:3; სანტა კლარა-ბეირა მარი 1:1; ტროფენსე-ფრეამუნდე 4:0.

## შოტლანდია

XIII ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-რეინჯერსი | 1:0 |
| სელტიკი-სტ. მირენი | 3:1 |
| ჰიბერნიანი-ფალკირკი | 2:0 |
| კილმარნოკი-ჰარტსი | 1:2 |
| მოზერველი-დანდი იუნ | 2:2 |
| სტ. ჯონსტონი-ჰამილტონი | 1:1 |

### I დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| პარტიკი-ინვერნესი | 2:1 |

## შოტლანდიის თასი

### III რაუნდი

| | |
|---|---|
| ეირდრი-ქუინი | 4:0 |
| ალბიონი-ელჯინი | 1:0 |
| კლაიდი-ლივინგსტონი | 0:1 შეწყდა |
| კოუდენბითი-ალოა | 0:0 |
| დევერონვეილი-ეირი | 0:1 |
| ედინბურგი-კეიტი | 3:1 |
| მორტონი-დამბარტონი | 0:0 |
| ირვინი-არბროა | 1:0 |
| მონროუზი-ისტ ფაიფი | 2:1 |
| რეითი-პიტერჰედი | 0:0 |
| როსი-ბირუიკი | 5:1 |
| სპარტანსი-ფორფარი | 0:1 |
| სტენჰაუზმუირი-ქოუვი | 1:1 შეწყდა |
| სტირლინგი-ტელბოტი | 2:1 |
| თრივი-ინვერური | 1:2 |
| ვიკი-ბრეჩინი | 4:4 |

## ავსტრია

XVII ტური

| | |
|---|---|
| რიდი-მატერსბურგი | 0:0 |
| აუსტრია (ვ)-აუსტრია (კ) | 1:0 |
| კაპფენბერგი-ვინერი | 3:1 |
| ლინცერი-შტურმი | 2:2 |
| ზალცბურგი-რაპიდი | 0:0 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

აუსტრია (ლ)-ლუშტენაუ 4:1; აუსტრია II-გრატკორნი 2:1 შეწყდა; ტიროლი-სტ. პოლტენი 2:2; ჰარტბერგი-დორნბირნი 5:3; ზალცბურგი II-ვენა 2:1; ალტახი-ადმირა 0:0.

## მექსიკა

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კრუს ასული-პუებლა | 3:2 |
| ამერიკა-მონტერეი | 1:1 |
| ტოლუკა-სან ლუისი | 1:0 |

## საბერძნეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-ქსანთი | 0:0 |
| ირაკლისი-ერგოტელისი | 0:2 |
| აეკ-პაოკ | 1:0 |
| ლარისა-კავალა | 1:0 |
| პანთრაკიკოსი-ლევადია | 0:2 |
| არისი-პანიონიოსი | 1:1 |
| ატრომიტოსი-იანინა | 2:1 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2:0 |

### II დივიზიონი

XI ტური

ეთნიკოსი (ვ)-როდოსი 2:0; დოხა-ანაგენისი 0:0; ეგალეო-ტრასივულოსი 0:2; ეთნიკოსი (ა)-იონიკოსი 1:1; ილიუპოლი-აგროტიკოსი 2:1; კერკირა-პანსერაიკოსი 4:0; ოფიოლიმპიაკოსი (ვ) 1:1; პანაიტოლიკოსი-კალამატა 0:0; დიაგორასი-პიერიკოსი დღეს.

## დანია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ესბერგი-ოლბორგი | 1:1 |
| რანდერსი-სონდერილი | 0:0 |
| კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 2:0 |
| ნორდსილანდი-სილკებორგი | 0:1 |
| ორჰუსი-ბრონდბიუ | 1:0 |
| ოდენსე-ჰერფოლგე | დღეს |

## შვეიცარია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-გრასჰოპერსი | 0:1 |
| სტ. გალენი-ლუცერნი | 1:1 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 2:0 |
| ბელინცონა-სიონი | 3:1 |
| ციურიხი-არაუ | 2:0 |

### ჩელენჯლიგა

XIV ტური

კრინსი-ივერდონი 1:1; ლოკარნო-ვადუცი 4:1; შაფჰაუზენი-ბილი 3:2; ვინტერტური-ლუგანო 1:2; ლე მონი-გოსაუ 3:2; სერვეტი-ლოზანა 0:0; სტად ნიონე-ვილი 0:0; ვოლენი-თუნი დღეს.

## თურქეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბურსა-გალათასარაი | 1:0 |
| ფენერბაჩე-ქასიმფაშა | 1:3 |
| დიარბაქირი-ანკარა | 3:0 |
| ანთალია-გენჩლერი | 2:0 |
| ანკარაგიუჯუ-დენიზლი | 1:0 |
| ბუიუქშეჰირი-გაზიანთეფი | 1:1 |
| მანისა-ქაისერი | 0:1 |
| ტრაბზონი-ესკიშეჰირი | 2:1 |
| სივასი-ბეშიქთაში | 0:1 |

### II დივიზიონი

XIV ტური

გირეშუნი-ერჩიესი 2:1; ადანა-ქონია 0:0; ბოლუ-ქართალი 5:2; ჰაჩეთეფე-ორდუ 0:3; ქოჯაელი-ქარაბუქი 1:5; მერსინი-ბუკა 1:0; რიზე-ქარსიაქა 0:2; სამსუნი-დარდანელი 1:2; ალთაი-ბბ გაზიანთეფი დღეს.

## კვიპროსი

XI ტური

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-აპოლონი | 1:1 |
| აეკ-არისი | 1:3 |
| ეთნიკოსი-ენოსისი | 1:0 |
| აპეპ-აპოპ | 2:3 |
| დოქსა-ერმისი | 1:1 |
| ომონია-ნეა სალამისი | 1:1 |
| აელ-აპოელ | დღეს |

## უელსი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-კონვესი | 0:0 |
| სუონი-უელშპული | 0:1 |
| ლანელი-აბერისტვითი | 4:0 |
| ტნს-ქერსოუსი | 4:0 |
| ბალა თაუნი-კარმარტენი | 1:3 |
| პორტმედოგი-ეირბასი | 0:1 |
| რილი-ჰევერფორდვესტი | 1:2 |
| ნიუთი-პრესტატინი | გადაიდო |
| ნიუთაუნი-პორტ ტელბოტი | გადაიდო |

## ბოსნია

XV ტური

| | |
|---|---|
| მოდრიცა-ველეჟი | 1:1 |
| ზვიეზდა-ტრავნიკი | 1:0 |
| რუდარი-ლაკტაში | 2:0 |
| სლავია-ჩელიკი | 1:0 |
| სლობოდა-ოლიმპიკი | 0:0 |
| ბორაცი-სარაევო | 0:1 |
| ჟელეზნიჩარი-ლეოტარი | 3:1 |
| ზრინსკი-შიროკი ბრიეგი | 4:1 |

## ბულგარეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| პირინი-სლივენი | 2:0 |
| ჩერნო მორე-ცსკა | 0:0 |
| ლოკომოტივი (მ)-ბოტევი | 2:2 |
| სპორტისტი-მინიორი | 0:1 |
| ლევსკი-მონტანა | 3:1 |
| ბეროე-ლიტექსი | 3:0 |
| ჩერნომორეცი-ლოკომოტივი (ს) | 0:2 |
| ლოკომოტივი (პ)-სლავია | დღეს |

## ხორვატია

XVI ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-ზადარი | 2:0 |
| შიბენიკი-კროაცია | 2:0 |
| კარლოვაცი-მედიმურიე | 2:0 |
| ისტრა-დინამო | 0:0 |
| ლოკომოტივა-რიეკა | 3:0 |
| ზაგრები-სლავენი | 3:3 |
| ვარტექსი-ინტერი | 2:1 |
| ჰაიდუკი-ოსიეკი | 1:0 |

## ჩეხეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 3:0 |
| პრშიბრამი-კლადნო | 3:2 |
| სლოვაცკო-იაბლონეცი | 1:1 |
| ბოჰემიანსი 1905-სპარტა | 0:2 |
| ბუდეიოვიცე-ბოჰემიანსი | 3:0 |
| სლავია-ბრნო | 3:1 |
| ტეპლიცე-პლზენი | გადაიდო |
| ბანიკი-სიგმა | დღეს |

## ისრაელი

XI ტური

| | |
|---|---|
| ბნეი შახნინი-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:1 |
| ჰაპოელი (პ)-ჰაპოელი (რ-გ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (ფ-თ) | 1:1 |
| მაკაბი (ა-ნ)-მაკაბი (ნ) | 1:3 |
| აშდოდი-ბეითარი | 2:0 |
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (თ-ა) | 0:1 |
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (რ) | 1:1 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | დღეს |

## უნგრეთი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| დებრეცენი-ზალაეგერშეგი | 5:3 |

## პოლონეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| პოლონია (ვ)-პოლონია (ბ) | 1:0 |
| ზაგლებე-ლეხი | 0:1 |
| კრაკოვია-პიასტი | 3:2 |
| ბელხატოვი-ლეგია | 0:1 |
| იაგელონია-ლეჩია | 0:0 |
| რუხი-კორონა | 0:0 |
| ოდრა-ვისლა | 1:3 |
| არკა-შლიონსკი | 1:1 |

## რუმინეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ინტერნასიონალი | 2:2 |
| დინამო-უნირეა (ა) | 2:0 |
| კლუჟი-უნივერსიტატეა | 2:0 |
| პანდური-რაპიდი | 1:1 |
| გაზ მეთანი-ტიმიშოარა | 2:6 |
| სტიაუა-ვასლუი | 2:1 |
| ბრაშოვი-პოლიტეხნიკა | დღეს |
| უნირეა (უ)-გლორია | დღეს |

## რუსეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-სატურნი | 3:0 |
| მოსკოვი-დინამო | 1:2 |
| ხიმკი-ლოკომოტივი | 1:3 |
| კრილია-ტომი | 1:3 |
| ყუბანი-რუბინი | 0:3 |
| როსტოვი-ამკარი | 1:1 |
| ნალჩიკი-ტერეკი | 4:2 |
| ზენიტი-სპარტაკი | 2:1 |

## სერბეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-იავორი | 1:0 |
| მეტალაკი-სპარტაკი | 0:0 |
| მლადი-ჰაიდუკი | 1:3 |
| ნაპრედაკი-იაგოდინა | 2:1 |
| ოფკ-ჩუკარიჩკი | 4:1 |
| რად-ვოივოდინა | 1:0 |
| სარტიდი-ბორჩა | 1:1 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 1:2 |

## ჩრ. ირლანდია

XIX ტური

| | |
|---|---|
| გლენტორანი-გლენავონი | 2:0 |
| კრუზეიდერსი-ინსტიტუტი | 1:2 |
| კოლრეინი-ნიური | 3:0 |
| ბალიმენა-ლისბურნი | 0:1 |
| კლიფტონვილი-პორტდაუნი | 2:1 |
| დუნგანონი-ლინფილდი | 2:2 |

## უკრაინა

XV ტური

| | |
|---|---|
| კარპატი-ილიჩივეცი | 2:2 |
| ზაკარპატია-კრივბასი | 3:0 |
| შახტარი-ტავრია | 3:0 |
| დნიპრო-ვორსკლა | 2:2 |
| არსენალი-მეტალისტი | 1:2 |
| ზორია-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ობოლონი-მეტალურგი (დ) | 2:1 |
| მეტალურგი (ზ)-დინამო | 0:0 |

## სლოვენია

XIX ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-დრავა | 2:0 |
| ოლიმპია-ინტერბლოკი | 2:0 |
| მარიბორი-გორიცა | 3:1 |
| რუდარი-ნაფტა | 0:1 |
| კოპერი-პუბლიკუმი | გადაიდო |

## სლოვაკეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-დ. სტრედა | 2:0 |
| სლოვანი-ტატრანი | 3:1 |
| ტრნავა-რუჟომბეროკი | 3:1 |
| ინტერი-კოშიცე | 2:2 |
| ჟილინა-პეტრჟალკა | 2:0 |
| ნიტრა-დუბნიცა | 0:1 |

## ბრაზილია

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ატ. პარანაენსე-ბოტაფოგო | 2:0 |
| ავაი-სანტოსი | 2:2 |
| კორინთიანსი-ფლამენგო | 0:2 |
| კრუზეირო-კურიტიბა | 4:1 |
| ფლუმინენსე-ვიტორია | 4:0 |
| გოიაში-სან პაულუ | 4:2 |
| გრემიო-ბარუერი | 4:2 |
| პალმეირასი-ატ. მინეირო | 3:1 |
| სანტო ანდრე-ნაუტიკო | 5:3 |
| სპორტ რესიფე-ინტერნასიონალი | 1:2 |

## იაპონია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ივატა-ჰიროშიმა | 0:1 |
| კაშიმა-გამბა | 5:1 |
| კავასაკი-ნიიგატა | 1:0 |
| კიოტო-ურავა | 1:0 |
| ნაგოია-იამაგატა | 2:0 |
| ტოკიო-კობე | 1:0 |
| ომიია-კაშივა | 1:1 |
| იოკოჰამა-შიმიცუ | 2:0 |
| ჯეფ იუნაიტედი-ოიტა | 0:2 |

## ინგლისის თასი

### II რაუნდი

| | |
|---|---|
| ნორთვიჩი-ლინკოლნი | 1:3 |
| სტეინსი-მილუოლი | 1:1 |
| აკრინგტონი-ბარნეტი | 2:2 |
| ბეთი-ფორესტ გრინი | 1:2 |
| ბორნმუთი-ნოტსი | 1:2 |
| ბრეტფორდი-უოლსოლი | 1:0 |
| ბრაიტონი-რაშდენი | 3:2 |
| კემბრიჯი-იორკი | 1:2 |
| ჯილინგემი-ბარტონი | 1:0 |
| ჰერეფორდი-კოლჩესტერი | 0:1 |
| მილტონი-ექსეტერი | 4:3 |
| ნორთჰემპტონი-საუთჰემპტონი | 2:3 |
| ოქსფორდი-ბაროუ | 1:1 |
| პორტ ვეილი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| როტერჰემი-ლუტონი | 2:2 |
| ტრანმერი-ოლდერშოტი | 0:0 |
| რექსჰემი-სუინდონი | 0:1 |
| კარლაილი-ნორვიჩი | 3:1 |
| კეტერინგი-ლიდსი | 1:1 |
| სტოკპორტი-ტორკი | გადაიდო |

## ჩილე

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-უნ. კატოლიკა | 0:3 |
| კოლო კოლო-სერენა | გვ. დასრულდა |

## უნგრეთის თასი

| | |
|---|---|
| კეჩკემეტი-დიოშდიორი | 3:0 |
| ნირეღიჰაზა-ვაშაში | 2:3 |
| ფერენცვაროში-მტკ | 1:3 |
| ლომბარდი-დიორი | 0:3 |
| კაპოშვარი-ვიდეოტონი | 0:2 |

---

**ოქროს ბურთი**



ათეულში ბარსელონას ფეხბურთელები სჭარბობენ

# შესანიშნავი ათეული

„ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" მაძიებელთა სია ოცდაათიდან ათამდე შემცირდა. ტოპათეულის შემადგენლობა თითქმის სანახევროდ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის - „ბარსელონას" ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული (**იბრაჰიმოვიჩი, ინიესტა, მესი და ჩავი**). აქვეა „ბარსას" ყოფილი ფორვარდი **სამუელ ეტო'ო**, რომელიც ზაფხულიდან მოყოლებული „ინტერში" თამაშობს.

სიაში ექვსი ფეხბურთელი ჰყავს წარმოდგენილი ესპანეთის პრიმერა დივიზიონს, სამი - ინგლისის პრემიერლიგას და ერთი - იტალიის სერია A-ს:

**დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი, ჩელსი)
**სამუელ ეტო'ო** (კამერუნი, ინტერი)
**სტივენ ჯერარდი** (ინგლისი, ლივერპული)
**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი, ბარსელონა)
**ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, ბარსელონა)
**კაკა** (ბრაზილია, რეალი)
**ლიონელ მესი** (არგენტინა, ბარსელონა)
**კრისტიანო რონალდო** (პორტუგალია, რეალი)
**უეინ რუნი** (ინგლისი, მანჩესტერ იუნ)
**ჩავი** (ესპანეთი, ბარსელონა)

„ოქროს ბურთის" მფლობელი 1 დეკემბერს გახდება ცნობილი. ჯილდოს მოპოვების მთავარ პრეტენდენტად ლეო მესი სახელდება.

**გია თვალაბეიშვილი**

---

**ესპანეთი.** ლა ლიგა. XII ტური

« მე-6 გვერდიდან

### კლასიკოს მიღმა

„ვალენსიამ" „მესტალიაზე" უაზროდ გაანიავა დიდი სათამაშო უპირატესობა „მალიორკასთან" შეხვედრაში და ორი ქულა დაკარგა. მეორე ტაიმის დასაწყისში ჩემპიონატის ბომბარდირმა **დავიდ ვიამ** „ღამურები" დააწინაურა, მაგრამ ორ-სამჯერ ძალზე ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა, იგივე ითქმის მის თანაგუნდელებზეც. შედეგად, მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე **ბრუნომ** საჯარიმოში **გონსალო კასტრო** მოცელა, პენალტით კი ანგარიში **ბორხა ვალერომ** გაათანაბრა - 1:1. პირველ ნახევარ საათში „ვალენსიას" ტრავმის გამო **დავიდ სილვა** დააკლდა.



აგუერომ დუბლი შეასრულა

ხიხონში „სპორტინგმა" ცხრამდე გააგრძელა წაუგებელი სერია, მასპინძლებს „ვილიარეალთან" ხორვატმა ფორვარდმა **მატე ბილიჩმა** მოაგებინა, რომელმაც 75-ე წუთზე წყალში ჩაუყარა გმირობა სტუმართა მეკარე **დავიდ ლოპესს**, რომელმაც **ალბერტო რივერას** დარტყმული პენალტი მოიგერია. სხვათა შორის, ლოპესმა მატჩის მიწურულს კიდევ ერთი პენალტი მოიგერია, ამჯერად მეკარემ ბილიჩს აუღო.

ლიდერთა მდევარ „სევილიასა" და აუტსაიდერ „მალაგას" მატჩი მოულოდნელად დაიწყო - მატჩის 22-ე წუთზე **ფერნანდომ ხავი ვარასის** შეცდომით ისარგებლა და ანდალუსიურ დერბიში „მალაგა" დააწინაურა. სტუმრები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ტაიმის მიწურულს **დუდამ** ფერნანდოს პასით ორამდე გაზარდა „მალაგას" უპირატესობა. მეორე ტაიმში **ლუიშ ფაბიანომ** დუბლი შეასრულა და „სევილია" მარცხისგან იხსნა.

„ხეტაფეს" 24 წლის ფორვარდმა **რობერტო სოლდადომ** ლომის წილი დაიდო „ხერესის" 5:1 განადგურებაში - მან ჰეთ-თრიკი შეასრულა. ბასკებმა სტუმრად 4:1 გაანადგურეს „ალმერია", „ვალიადოლიდი" კი მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე 3:0-ს უგებდა „ტენერიფეს" და მაინც დაკარგა ქულები, ბოლო წუთებში სამი გოლი გაუშვა. ცენტრალურმა მცველმა **ლოპომ** „დეპორტივოს" სანტანდერში მნიშვნელოვანი სამი ქულა მოაპოვებინა - 1:0.

როგორც იქნა, ძველი „ატლეტიკო" ვიხილეთ - წუხელ, „ესპანიოლთან" მატჩში **სერხიო აგუერომ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **დიეგო ფორლანმა** და **მაქსი როდრიგესმა** გაიტანეს - 4:0. მოკლედ, ოთხივე გოლი სამხრეთამერიკული გამოდგა. „ათლეტთა" თავკაცი **კიკე ფლორესი** ღორის გრიპისგან გამოკეთდა. მას გუნდი სერიოზული კრიზისიდან გამოჰყავს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

#### მომდევნო ტური

5 დეკემბერი. სევილია-ვალიადოლიდი, ხერესი-ატლეტიკო, დეპორტივო-ბარსელონა, რეალი-ალმერია. 6 დეკემბერი. ტენერიფე-სპორტინგი, ვილიარეალი-ხეტაფე, ესპანიოლი-რასინგი, ბილბაო-ვალენსია, მალიორკა-სარაგოსა, მალაგა-ოსასუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


რაგბი



ალექსანდრე თოდუას პირველი ლელო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს თასი

# ლელომ დუბლი გააკეთა

**ლელო–ლოკომოტივი 23:22**

ლელო (15-9) ყიასაშვილი, თოდუა, კორკელია, მჭედლიშვილი, ზაალიშვილი, ხმალაძე, ჭინჭარაული (კაჭარავა 32). (1-8) მირცხულავა, ჭყონია, სუჯაშვილი, აზალაძე, ხორბალაძე, ი.მაისურაძე, სარდანაშვილი, კოლელიშვილი.

*2ლ: თოდუა (2). 3ს,2გ: ყიასაშვილი.*

ლოკომოტივი (15-9) ნიკლაური, ტუჩაშვილი, კობერიძე, ხუციშვილი (ქავთარაძე 70), კავთიძე, კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი, გენებაშვილი, ნაცარაშვილი, გუჯარაიძე, გუნიავა (ნიშნიანიძე 63), ბერიშვილი, ჩიტიძე, ზ.მაისურაძე.

*ლ: ნიკლაური. 5ს,გ: კვინიხიძე.*

მსაჯი: გ. ამირხანაშვილი

ჩემპიონის ტიტულს „ლელომ" საქართველოს თასის ფინალში გამარჯვებაც დაამატა, „ლოკომოტივთან" ბრძოლა უშელავათო გამოდგა და თამაში მინიმალური სხვაობით - 23:22 მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ სეზონის ბოლო შეხვედრა იყო, ორივე გუნდი ფინალს საუკეთესო ფორმაში შეხვდა. თამაშიც ლაზათიანი, დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. აუგს ვერც ერთზე ვიტყვით. გამარჯვებისთვის ორივე გუნდმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლა, თასს ორივე იმსახურებდა, თუმცა გამარჯვება მაინც უძლიერესმა მოიპოვა.

ანგარიში „ლელომ" საჯარიმოთი გახსნა. ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** ხელსაყრელი პოზიციიდან გაიტანა - 3:0. ამას მომდევნო ათ წუთში რკინიგზელთა მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** ორი საჯარიმოთი უპასუხა და თავისიანები დააწინაურა - 6:3.

21-ე წუთზე ლელოელებმა მეტოქის დალელოვება შეძლეს. „ლოკომოტივის" ოცდაორმეტრიან ზონაში, შეტევის მარჯვენა ფრთაზე, „ლელოს" სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. იქედან გამოსული ბურთი რვა ნომერმა **ვიქტორ კოლელიშვილმა** აიტაცა, ათიოდ მეტრით წაიწია და შებოჭეს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაუტანეს მგეზავ **ლაშა ხმალაძეს**, რომელმაც ორის გამოტოვებით კიდისკენ გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** გადააწოდა. მას წინააღმდეგობა, ფაქტობრივად, აღარ შეხვედრია. გარდასახვა რთული პოზიციიდან ყიასაშვილმა ზუსტად დაარტყა - 10:6.

ტაიმის ბოლომდე დარჩენილ 14 წუთში უპირატესობას „ლოკომოტივი" დაეუფლა. მართალია, რკინიგზელებს დერეფანში უჭირდათ, მაგრამ მორკინალები დინამიკურ თამაშში საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ და მეტოქეს წესის დარღვევას აიძულებდნენ.

29 - წუთზე „ლოკომოტივმა" ისევ შეძლო დაწინაურება. შერკინება ამჯერად „ლელოს" ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში დაინიშნა. ბურთი ისევ კოლელიშვილმა აიტაცა, ოდნავ წინ წაიწია, შებოჭეს და რაკში თამაშისას დაკარგა. ცხრა ნომერმა **ირაკლი ლვინჯილიამ** ბურთი სწრაფად გაუტანა მარცხნივ, გრძელ ფრთაზე კვინიხიძეს, ამან შეტევაში შუამარბი **გიორგი კობერიძე** ჩართო, რომელსაც უკნიდან ფულბეკი **ბექა ნიკლაური** წამოეშველა. მისი შეჩერება კი ორმა ლელოელმა ვერ შეძლო. კვინიხიძემ გარდასახვა თითქმის კიდიდან დაარტყა და გაიტანა - 13:10.

ბობამ მონაგარს ექვს წუთში კიდევ ერთი საჯარიმოც მიუმატა და ტაიმი „ლოკომოტივმა" - 16:10 მოიგო.

მეორე ტაიმი რკინიგზელებმა რიხით დაიწყეს და 50-ე წუთისთვის უკვე 12 ქულის სხვაობით იგებდნენ - 22:10. ორი საჯარიმო კვინიხიძემ გაიტანა. ამის შემდეგ ინიციატივას მთლიანად „ლელო" დაეუფლა. გუნდის თამაშის დალაგება შეცვლაზე შესულმა ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** შეძლო. უფრო მობილურად ამოქმედდა შერკინება. ყოველივე ამას კი 54-ე წუთზე ლელოელთა მორიგი ლელო მოჰყვა.

ლოკომოტიველებმა საკუთარი ჩათვლის მოედნიდან 20 მეტრში დერეფანში ბურთი უხეიროდ ააგდეს. ის პირდაპირ „ლელოს" მღლეტელ **ილია მაისურაძეს** ჩაუვარდა ხელებში. ამან ხუთიოდე მეტრით წაიწია და შებოჭეს. კაჭარავამ რაკიდან ბურთი სწრაფად გამოიტანა და მარცხნივ, გრძელ ფრთაზე, სადაც ლელოელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, ლაშა ხმალაძეს გადააწოდა. „ქოქოსამ" ფეხით მეტოქის ლელოში დაკიდა ბურთი, რომელიც გარემარბმა ალექსანდრე თოდუამ დაიჭირა და მეორე ლელო მიითვალა. ყიასაშვილმა გარდასახა - 17:22.

რკინიგზელების თამაშში რაღაც მოიშალა. ფულბეკმა ბექა ნიკლაურმა საჯარიმო აუტში რამდენჯერმე ვერ გადაიტანა. მას უფრო გამოცდილმა კვინიხიძემაც „მიბაძა". მეტოქის ამ შეცდომებით „ლელომ" კარგად ისარგებლა. 59-ე და 68-ე წუთებზე ყიასაშვილმა ორი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები ერთი ქულით დააწინაურა - 23:22.

„ლოკომოტივმა" ხელი მატჩის მიწურულსაც გამოილო. რკინიგზელთა მორკინალებმა ბოლო წამებში მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მოკლე დარტყმებით შეაღწიეს, მაგრამ იქ რაკში თამაშისას ბურთი წინ გადაუვარდათ. შერკინებიდან ბურთი ლელოელებმა აუტში გაიტანეს და თამაშიც დასრულდა. „ლელო" თასს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძალოსნობა




# კუზილოვის სამი ბრინჯაო

კორეის ქალაქ გოიანგში გუშინ დამთავრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი. 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა **ალბერტ კუზილოვმა**, რომელმაც სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა: ერთი ორჭიდის ჯამში და ორიც ცალკეულ მოძრაობებში.

კუზილოვმა აიტაცა 187 კილოგრამი, აკვრაში 221-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ორჭიდის ჯამში 408 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. ამავე წონაში ცდიდა ძალებს **გია მაჭავარიანი**, რომელსაც 390 კილოგრამით (180+210) მერვე ადგილი ხვდა. ოქროს და ვერცხლის მედლები (როგორც მრავალჭიდში, ისე ცალკეულ სახეობებშიც), შესაბამისად, პოლონელმა **მარჩინ დოლეგამ** (421=195+226) და რუსმა **დმიტრი ლარიკოვმა** (416=194+222) მოიპოვეს.

მძიმე წონაში ქართველთაგან დებიუტანტი **ირაკლი თურმანიძე** გამოდიოდა. მან ორჭიდში 380 კილოგრამი (175+205) მოაგროვა, რამაც მე-13 ადგილი მოუტანა. თურმანიძეს ორჭიდის ჯამში 2 კილოგრამით ჩამორჩა (378=166+212) **გიორგი კობალაძე**, რომელიც კანადის სპორტულ ღირსებას იცავდა.

ამ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **კვონ-იონგ ენი** (კორეა) — 445 (198+247), 2. **არტიომ უდაჩნი** (უკრაინა. იგი პირადი წონით აღემატებოდა კორეელს) — 445 (200+245), 3. **იგორ შიმეჩკო** (უკრაინა) — 427 (202+225).

**ვაჟა დანელია**

ევროკავშირი და სპორტი

# სემინარმა ევროკავშირის კანონმდებლობაში ჩაგვახედა

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" 27 ნოემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და და სპორტის სამინისტროსა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ევროპის კავშირის ოფისის ერთობლივი ორგანიზებით საგანგებო სემინარი გაიმართა თემაზე – "ევროპის კავშირის კანონმდებლობის ზეგავლენა სპორტზე".




მარცხნიდან: დავით დარჩიაშვილი, დავით ნამგალაური და მიხაელ თრნიკერი

ერთდღიანი სემინარი მთლიანად დაეთმო ევროკავშირის საკანონმდებლო საკითხების განხილვას სპორტის სექტორთან დაკავშირებით. შეკრებილთ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის, ევროკავშირის ოფისის წარმომადგენლებმა - **მიხაელ თრნიკერმა, ჰელმუნდ ფოლკერმა, მატიე ფონტენომ,** ასევე ავსტრიის პროფკავშირთა ფედერაციის წევრმა - **ოლივერ როპკემ,** საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს, გერმანიის ფეხბურთის ასოციაციისა და სხვადასხვა უწყების თანამშრომლებმა ევროპული გამოცდილება გაუზიარეს, რისი მეშვეობითაც ევროკავშირის ქვეყნებში სპორტული მოძრაობა რეგულირდება იურიდიული, სოციალური და სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით.

სიტყვით საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - **დავით დარჩიაშვილიც** გამოვიდა, რომელმაც ევროკავშირთან მიმართებაში საქართველოში არსებულ ვითარებასა და ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის სივრცესთან მიახლოების აუცილობლობაზე გაამახვილა ყურადღება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ - **დავით ნამგალაურმა** უცხოელ სტუმრებს ქართული სპორტის ძირითადი მიღწევები გააცნო, იურიდიულ ასპექტში კი ევროპული გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

სემინარზე აღინიშნა ისიც, რომ ნამდვილად გადასახედია სპორტის შესახებ საქართველოს კანონის სხვადასხვა მიმართულება, რაც ბოლო პერიოდში პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში ერთ-ერთი ძირითადი განხილვის საგანია.

სემინარის ინიციატორი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი - **თამაზ თევზაძე** გახლდათ, რომელიც სპორტში თეორიული განათლების მიმართულებით აქტიურ მუშაობას ეწევა.

ლეგიონერები

# ზირაქაშვილმა ლელო გაიხსენა



დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეორე წრე დაიწყო. გათამაშების ლიდერის, „პერპინიანის" სტუმრობა „ბაიონთან" ღორის გრიპის ეპიდემიის გამო გადაიდო. ამით ისარგებლა ქართველი მორაგბის, **აქსენტი გიორგაძის** „კასტრმა" და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა.

კასტრელებმა ბასკური „ბიარიცი" მიიღეს და დამაჯერებლად დაამარცხეს - 34:6. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს.

ლიდერებს კვალში ჩაუდგა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელმაც შინ მოუგო „ბურგუენს" - 32:3. ზირაქაშვილმა მე-40 წუთზე ლელო გაიტანა და 70-ე წუთზე შეცვალეს.

მოულოდნელად საკუთარ მოედანზე წააგო **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან" **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიემ" - 3:25. მონპელიელმა ქართველებმა სრულად ითამაშეს. ხინჩაგიშვილი კი 77-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად ურთულეს ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „სტად ფრანსესთან" **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" - 22:18. 17 ქულა გუნდს **ჯონი ვილკინსონმა** მოუტანა (ოთხი საჯარიმო, თითო არეკნი და გარდასახვა). ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად ვერას გახდა „ტულუზთან" **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი" -12:17. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეყლაშვილმა შეცვალა.

საფრანგეთი. I დივიზიონი: XIV ტური: **სტად ფრანსე-ტულონი 18:22, მეტრო რასინგი-ალბი 9:6, კასტრი-ბიარიცი 34:6, ტულუზი-მონტობანი 17:12, მონპელიე-ბრივი 3:25, კლერმონი-ბიარიცი 32:3, ბაიონი-პერპინიანი (გადაიდო).**

სატურნირო მდგომარეობა: **1. კასტრი - 46 ქულა, 2. პერპინიანი - 41, 3. კლერმონი - 41, 4. ტულუზი - 40, 5. ტულონი - 38, 6. მეტრო რასინგი - 35, 7. სტად ფრანსე - 33, 8. ბიარიცი - 32, 9. ბრივი - 29, 10. მონპელიე - 29, 11. მონტობანი - 26, 12. ბაიონი - 23, 13. ბურგუენი - 23, 14. ალბი - 15.**

მეორე დივიზიონში ისევ ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი ლიდერობს. **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" დივიზიონის დებიუტანტ „ექსს" უმასპინძლა და იოლად დაამარცხა - 29:3. ანტონი ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.

„აჟენს", რომელსაც 47 ქულა დაუგროვდა, რვა ქულით ჩამორჩება **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსი", რომელმაც მე-12 ტურში შინ დაამარცხა „მონ დე მარსანი" - 36:10. ჟღენტმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

რვა ქულით ჩამორჩება „აჟენს" **გურამ კავთიძის** „ლიონიც", რომელიც ფრეს დასჯერად სტუმრად „გრენობლთან" - 9:9. კავთიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

შინ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „ლა როშელთან" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა"- 25:22. ჩვენებურის გუნდმა 30 ქულა დააგროვა და საპლეიოფო ხუთეულს მჭიდროდ მიუახლოვდა. დათუნაშვილი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად წააგო „დაქსთან" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა" - 16:19. მაგრაქველიძე სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 45-ე წუთიდან გამოჩნდა.

II დივიზიონი: XII ტური: **ორიაკი-ლა როშელი 25:22, გრენობლი-ლიონი 9:9, დაქსი-ტარბი 19:16, აჟენი-ექსი 29:3, ოში-ნარბონი 27:32, ოიონაქსი-მონ დე მარსანი 36:10, ლანამეზანი-ბორდო 9:16, პო-კოლომიე (გადაიდო).**

სატურნირო მდგომარეობა: **1. აჟენი - 47 ქულა, 2. ოიონაქსი - 39, 3. ლიონი - 39, 4. ნარბონი - 37, 5. გრენობლი - 34, 6. ორიაკი - 30, 7. ლა როშელი - 30, 8. ბორდო - 29, 9. პო - 27, 10. დაქსი - 25, 11. ტარბი - 25, 12. მონ დე მარსანი - 24, 13. ოში - 21, 14. კოლომიე - 17, 15. ექსი - 14, 16. ლანამეზანი - 5.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

საქართველოს XIX ჩემპიონატი. IV ტური

# უძლეველი ორია

## ისევ რუსთავი, ისევ ტუჯანი

### 28 ნოემბერი. თბილისი, სპორტის სასახლე

**მერანი-შსს 49:112**

7:26, 19:24, 12:21, 11:41

მერანი: ფ. გურული (9ქ, 6მ, 3ჩ), გ. გურული (6ქ), ხაჩიური, ნიკურაძე (8ქ, 9მ, 3პ), დოლიძე (7ქ, 9მ), სამხარაძე, ჯ. გურული, გაბუნია (5ქ), მჭედლიშვილი, თავამაიშვილი (14ქ, 9მ)

შსს: მიქაბერიძე (3ქ), ბერუაშვილი (2ქ), ფაიქრიძე (6მ, 4პ, 2დ), ი. ბერიშვილი (19ქ, 7მ, 3პ, 3ჩ), აბულაძე (16ქ, 8მ), კორკოტაძე (8ქ, 7მ), შერმადინი (10ქ, 8მ), ყველაშვილი (8ქ, 10მ), სუხიშვილი (5ქ), კვერნაძე (6ქ, 6მ), ნიკოლაძე (32ქ, 5მ, 5პ, 5ჩ), ქადაგიძე (3ქ)

მსაჯები: დ. არეშიძე, კ. კუპატაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

**თსუ-ენერჯი 62:89**

19:24, 23:24, 17:17, 3:24

თსუ: ფანჩულიძე (7ქ), კოხრეიძე (3ქ, 5ფ), კეიდია (7ქ), ლოსაბერიძე (21ქ, 6მ, 3პ), ხეცურიანი (17ქ, 7მ, 6პ, 5დ), ივანეიშვილი (2ქ), დ. ბარბაქაძე (2ქ, 2დ), ბოლქვაძე (3ქ), ხიზანიშვილი, კუჭავა (5მ, 3ჩ)

ენერჯი: მაჭავარიანი, ბაბიაშვილი (19ქ, 12მ), ჩიტაშვილი (5ქ, 5პ, 6ჩ), ცეკვავა (5ქ), ჩაჩანიძე, აბაიშვილი, ტულუში (15ქ, 10მ, 3პ, 3ჩ), დვალიშვილი (10ქ), არნივიძე, ტუჯანი (24ქ, 13მ, 4პ, 4დ), ჭოჭუა (11ქ, 3პ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

კომისარი: რ. ხომერიკი

**სამედ/აკადემია-სოხუმი 66:73**

22:18, 10:23, 22:12, 12:20

სამედ/აკადემია: ი. ლეჟავა, ჩქარეული, ლომოური (3ქ), ბოქოლიშვილი (20ქ, 3პ), ბექაური (2ქ, 5მ), მუმლაძე (2ქ, 8მ), თენეიშვილი (21ქ, 5ფ), გაბისონია (6ქ, 4პ, 4ჩ), ჯავახიშვილი (12ქ, 8მ), ელიაძე, ზ. მაისურაძე

სოხუმი: ტეტელაშვილი, სორდია (16ქ), ჩიკვილაძე (22ქ, 8მ), ბ. ბერიშვილი (3ქ), კანკია (12ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), კობიძე (9ქ, 15მ, 2დ), სულაბერიძე (2ქ), ნიკლაური, გაბელია (9ქ, 3პ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: რ. გელოვანი

**აგრარული-დინამო 119:59**

26:10, 32:19, 34:13, 27:17

აგრარული: გულისაბედაშვილი (17ქ, 8მ, 4ჩ), ჩაჩიბაია (25ქ, 7მ, 3ჩ), ნივნივაძე (12ქ, 8პ), გასიტაშვილი (5ქ, 6პ, 3ჩ), ხანიაშვილი (20ქ, 5მ), ათანელიშვილი (17ქ, 11მ), კანდელაკი (2ქ), გ. ბარბაქაძე (19ქ, 9მ, 3პ), დიდია (2ქ)

დინამო: ნანიტაშვილი (2ქ, 4პ), ნ. ნოზაძე, სანაძე (2ქ), ეძგვერაძე (17ქ, 5მ, 3პ), სიგუა (5ქ), გემაზაშვილი (10ქ, 6მ), ჯანგველაძე (8ქ, 8მ), ჩაველაშვილი, დეკანოიძე (11ქ), კოპალიანი (4ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: მ. რატიშვილი

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 4 | 4 | 0 | 364-223 | 8 |
| 2. სსაუ | 4 | 4 | 0 | 363-265 | 8 |
| 3. თსუ | 4 | 3 | 1 | 366-336 | 7 |
| 4. შსს | 4 | 2 | 2 | 368-313 | 6 |
| 5. სოხუმი | 4 | 2 | 2 | 300-293 | 6 |
| 6. ავიამშენი | 3 | 2 | 1 | 265-258 | 5 |
| 7. სამ/აკად. | 4 | 1 | 3 | 253-278 | 5 |
| 8. მერანი | 4 | 0 | 4 | 203-382 | 4 |
| 9. დინამო | 4 | 0 | 4 | 302-420 | 4 |
| 10. ბათუმი | 3 | 1 | 2 | 238-254 | 4 |



სამედიცინო-სოხუმი

მეოთხე ტურში ხუთი დაგეგმილი მატჩიდან ერთი გადაიდო. პარასკევს „ავიამშენი" ბათუმში უნდა ჩასულიყო, მაგრამ ფინანსური პრობლემის გამო ვერ წავიდა. „ავიატორებმა" მატჩის გადადება წინასწარ ითხოვეს, ამიტომ მათ მიმართ სანქციები არ გატარდება.

„ბათუმი"-„ავიას" დაპირისპირება 17 დეკემბრისთვის გადაიდო.

■ ■ ■

შაბათს გამართულ პირველ მატჩში დაფიქსირდა ტურის რეკორდი - **გიორგი ნიკოლაძემ** 32 ქულა ჩააგდო. მისი დამაჯერებელი თამაში შსს-ს გამარჯვების საწინდარი გახდა - 112:49.

ძალოვნებს განსაკუთრებული უპირატესობა ფარქვეშ ჰქონდათ, მოხსნებში ქიათურელებს 69:38 მოუგეს. შესაბამისად, რეალიზებული ორქულიანების რაოდენობაც განსხვავებული იყო - 36:12.

■ ■ ■

მეორე მატჩი ტურის ცენტრალური შეხვედრა გამოდგა. დუდუ დადიანის მემორიალის ფინალისტმა თსუ-მ ამავე ტურნირის გამარჯვებულ „ენერჯის" უმასპინძლა. ეს შეხვედრაც სწორედ ისეთი სცენარით წარიმართა, როგორითაც მემორიალის ფინალი: საწყისი 30 წუთი თანაბარ ბრძოლაში გაილია, ხოლო მეოთხე პერიოდში რუსთაველებმა მეტოქე გატეხეს და ამჯერადაც დიდი სხვაობით გაიმარჯვეს - 89:62. შაბათს თსუ-მ მეოთხე რაუნდში ოდენ 3 ქულა ჩააგდო...

ცხადია, გაგიჩნდებათ კითხვა - რა იყო სტუდენტების ასეთი უეცარი დაღმასვლის მიზეზი? პასუხი ცალსახაა: რესურსის ნაკლებობა. თსუ-ს შაბათს აკლდა ტრავმირებული **გიორგი გაფრინდაშვილი** (მეორე გამთამაშებელმა, **შალვა კოხრეიძემ** 5 ჯარიმის გამო მოედანი მესამე პერიოდში დატოვა). მართალია, მოედანს დაუბრუნდა სტუდენტი მეფარე **დავით ბარბაქაძე**, მაგრამ მას 2 კვირა გაუცდა და ფორმაში არყოფნის გამო გუნდს სათანადოდ ვერ დაეხმარა.

თსუ-ს გადაღლა გამოიწვია „ენერჯის" წინა ხაზის კარგმა თამაშმაც - რუსთაველების მეფარეები, **ტუჯანი**, **ბაბიაშვილი** და **დვალიშვილი** დამაჯერებლად ასპარეზობდნენ. მათ წინააღმდეგ თამაშისას ტანდაბალ თსუ-ელებს დიდი ენერგია დაეხარჯათ და ბოლო რაუნდში მოქანცულები ჩანდნენ.

„ენერჯის" მაღლებს უკანახაზელებმაც აუბეს მხარი, **კოტე ტულუშსა** და **მიხეილ ჩიტაშვილს** კარგად დაეხმარნენ **მიხეილ ჭოჭუა**, **გოგა ცეკვავა** და „ენერჯიმაც" დამაჯერებლად გაიმარჯვა.

საბოლოოდ, ტუჯანმა, ბაბიაშვილმა და ტულუშმა ორმაგი დუბლები მიითვალეს.

■ ■ ■

მეოთხე პერიოდში გამოცდილების წყალობით მოპოვებული უპირატესობა „სოხუმმა" გამარჯვებაში გარდასახა. სოხუმელებს ესპანეთიდან დაბრუნებული ჭაბუკი **ბექა ჩიკვილაძე** გაუძლვა, რომელმაც 22 ქულა ჩააგდო. მან 9-დან 4 სამქულიანი და 11-დან 5 ორქულიანი ჩააგდო.

■ ■ ■

„აგრარულმა" თბილისის „დინამო" იოლად დაამარცხა - 119:59. საინტერესოა, რომ უნივერსიტეტელთაგან ხუთმა კალათბურთელმა 17 და მეტი ქულა ჩააგდო. მატჩის სნაიპერი გახდა **ტატო ჩაჩიბაია**, რომელმაც 25 ქულა ჩაიწერა. ორმაგი დუბლი მიითვალა **რეზო ათანელიშვილმა** - 17 ქულა, 11 მოხსნა.

■ ■ ■

ტურის მოთამაშე. მეორე ტურის მსგავსად, ეფექტურად გაისარჯა რუსთაველთა კამერუნელი მეფარე **ჟულივეტ ტუჯანი**. მან 24 ქულა, 13 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება და 2 ჩაჭრა მიითვალა. ტუჯანმა 14-დან 11 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ჟულივეტი ტურის საუკეთესო კალათბურთელად მეორედ დავასახელეთ.



## სანიკიძის მეორე დაბლ-დაბლი: 13 ქულა, 12 მოხსნა

**ვიქტორ სანიკიძემ** იტალიის ჩემპიონატში მეორე ორმაგი დუბლი გაიფორმა. მან „კასერტასთან" 13 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. ვიქტორმა ეს ყველაფერი 25 წუთში მოასწრო: 9-დან 2 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო გამოიყენა.

თანაგუნდელები სანიკიძეს ფარქვეშ სათანადოდ ვერ დაეხმარნენ - „ვირტუსმა" ბურთი 34-ჯერ მოხსნა, „კასერტამ" - 48-ჯერ. სწორედ ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა გამოიყენეს სტუმარმა კასერტელებმა და ბოლონიაში 84:72 გაიმარჯვეს.

მატჩის პირველი ტაიმი „ვირტუსმა" 2 ქულის სხვაობით წააგო - 32:34. მესამე ათწუთეულის შუაში სტუმრებმა 12-ქულიანი ფორა მოიპოვეს, რომელიც სანიკიძემ ორი საჯარიმოთი ათ ქულამდე შეამცირა - 45:55. მეოთხე პერიოდის დასაწყისში იმავე სანიკიძის ორქულიანის წყალობით სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა - 50:55. თუმცა ამ ეპიზოდის შემდეგ „კასერტამ" კვლავ გაქცევა მოაწყო და 63:50 დაწინაურდა. ამის შემდეგ „ვირტუსმა" სხვაობის მხოლოდ 10 ქულამდე შემცირება მოახერხა (სანიკიძის ორქულიანით, 62:72), მატჩის შემოტრიალება კი ველარ შეძლო.

იტალიაში „კასერტას" ბოლონიაში გამარჯვება სენსაციად მოინათლა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს გუნდი ხელწამოსაკრავია. „კასერტას" სადღეისოდ 6 მოგება და 2 წაგება აქვს, „ვირტუსს" - 5 მოგება, 3 მარცხი.

მატჩის შემდეგ ინტერნეტ-გამოცემა „ტუტობასკეტმა" ყველა კალათბურთელის გარჯა შეაფასა. ბოლონიელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება **სკუნი პენმა** მიიღო - 6.5 (19 ქულა ჩააგდო). მეორე იყო ვიქტორ სანიკიძე - 6 ბალი. იქვე ვკითხულობთ ქართველი კალათბურთელის შეფასებას: *„ვიქტორ სანიკიძეს თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მატჩის გახურებასთან ერთად ათამაშდა და ერთადერთი ბოლონიელი იყო, რომელიც მეტოქეს ფარქვეშ ებრძოდა. იგი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მზად იყო ესროლა, ჩაეტენა, დაეფარებინა..."*

ქართველი NBA-ში

## მე-13 გამარჯვება

„ორლანდოსთან" წაგების შემდეგ „ატლანტა ჰოქსი" „ფილადელფიას" ესტუმრა და სეზონის მე-13 გამარჯვება მოიპოვა.

ჯორჯიელებმა მატჩი დამაჯერებლად ჩაატარეს და პირველ პერიოდში მოპოვებული მცირე უპირატესობა მატჩის ბოლოს 14-ქულიან სხვაობამდე გაზარდეს - 100:86. მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** **ზაზა ფაჩულია** მეორე პერიოდის დასაწყისში ჩართო თამაშში, თუმცა მალევე გამოცვალა და მეორე ტაიმში მოედანზე აღარ შეუშვია.

„ჰოქსი" მომდევნო მატჩს დღეს, გამთენიისას დეტროიტში გამართავდა.



**ფილადელფია-ატლანტა 86:100**

ზაზა ფაჩულია: 4 წთ, 1 შეცდ, 1 ფ

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:29 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 06:21 | შეცდომა: 1 |
| 05:02 | ფოლი: 1 |
| 05:02 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

ლეგიონერები

**იტალიის ჩემპიონატი**

**რომა-კანტუ 70:81**

მანუჩარ მარკოიშვილი: 34 წთ, 9 ქ, 4 მ, 5 პ, 4 ფ

**გერმანიის ჩემპიონატი**

**ლუდვიგსბ.-მიტელდოიჩ. 65:69**

ლაშა გამყრელიძე: 26 წთ, 7 ქ, 3 მ, 4 პ, 1 ჩ, 1 ფ

**საბერძნეთის ჩემპიონატი**

**არისი-ტრიკალა 81:66**

გიორგი ცინცაძე: 22 წთ, 6 ქ, 1 მ, 3 პ, 3 ფ

**სლოვენიის ჩემპიონატი**

**კეპერი-პარკლი 83:76**

დავით უგრეხელიძე: 33 წთ, 17 ქ, 8 მ, 2 პ, 5 ფ

**ადრიატიკის თასი**

**ზადარი-ბოსნა 104:54**

ვლადიმერ ბოისა: 17 წთ, 4 ქ, 3 მ, 1 პ, 2 ჩ, 2 ფ

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**ფუენლაბრადა-კახასოლი 70:82**

ნიკა ცქიტიშვილს არ უთამაშია

ტაირონ ელისი: 33 წთ, 14 ქ, 3 მ, 1 პ

**ფინეთის პირველი ლიგა**

**კორიკობრატი-იუვასკილა 92:93**

გივი ბაქრაძე: 25 წთ, 6 ქ, 1 პ, 4 ფ

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

www.sport.gov.ge

თავისუფალი ჭიდაობა — ევროპის საკლუბო პირველობა

EUROPEAN WRESTLING CLUB CUP FRESYLEE BURSA 2009

# სახლიდან ვინ რას გამოგვატანს...

„თბილისი-2007" სახელით მოასპარეზე ქართულმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა ევროპის საკლუბო ტურნირზე. ევროპის ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული და ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, ძალით თავსმოხვეული შეჯიბრება ამ უქმეებზე თურქულ ბურსაში გაიმართა. შეგახსენებთ, რომ საჭიდაო კლუბები არ გვყავს, თუმცა, რადგან ევროპის რვა საუკეთესო ნაკრებში შევდივართ, ევროპულმა ფედერაციამ მონაწილეობა დაგვაძალა. საბოლოოდ, უკლუბო ქვეყნის კლუბი ფინალში მასპინძლებთან დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

ტურნირი ბურსას ათათურქის სახელობის კომპლექსში გაიმართა, გახსნის ცერემონიალი კი ფრიად პომპეზური იყო. მას მხარის გუბერნატორი **შაჰაბეტინ ჰარპუტი**, ბურსას მერი **რეჯეფ ალტეპე**, თურქთა უცნობილესი ფალავანი და ამჟამად მილი-მეჯლისის დეპუტატი, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰამზა ერლიქაია** (თუმცა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში), ევროპის ჩემპიონი **რეშიტ კარაბაცაკი**, თურქეთის ეროვნული ნაკრების თავკაცი **ჯახიტ აჰისკალიოღლუ** დაესწრნენ.

ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ ეს ტურნირი საექსპერიმენტოდ გამოიყენა და ძირითადად ახალგაზრდები, ტრავმამოშუშებულები და სატურნირო პრაქტიკას მოკლებულები წაიყვანა: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **გოგა ხუჭუა** (66), **მალხაზ მუზიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120).

წინასწარი ინფორმაციით, ჩვენს ჯგუფში აზერბაიჯანი, საბერძნეთი და უნგრეთი უნდა ყოფილიყვნენ. ტურნირის დაწყებამდე ეს ინფორმაცია შეჯიბრების ოფიციალურ ვებგვერდზეც ეწერა, მაგრამ ადგილზე ჩასულ ჩვენს ფალავნებს ბოლო ორის ნაცვლად ბელარუსული ლუბი დახვდათ და საბოლოოდ ამ ჯგუფში სამი მონაწილე მოგროვდა.

წინასწარი შეხვედრები შაბათს გაიმართა და ჩვენებმა ჯგუფში ორივე შეხვედრა მოიგეს, თანაც ერთნაირი ანგარიშით - 4:3. სამწუხაროდ, უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რადგან ტურნირის ოფიციალურ საიტს შეჯიბრების გაშუქებით თავი არ შეუწუხებია - მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს წერდა, თუმცა გუშინ ესეც დაეზარათ. ჩვენები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, მეორე კი აზერბაიჯანმა დაიკავა, როცა ბელარუსს ასევე 4:3 მოუგო.

პირველ ჯგუფში ის ოთხი მონაწილე გამოვიდა, ადრევე რომ ვიცოდით - მასპინძელთა „მეტროპოლიტენ-ბელედიესპორი", რუმინეთის, ბულგარეთისა და მაკედონიის გუნდები. აქ ადგილობრივებმა ყველას აჯობეს და ჯგუფში გაიმარჯვეს, მეორეზე კი რუმინელები გავიდნენ და ჩვენებსაც ნახევარფინალში ამათთან მოუწიათ შეხვედრამ. ეს ორთაბრძოლა ქართველებმა დიდი უპირატესობით მოიგეს - 6:1. მეორე ნახევარფინალში მასპინძლებმაც ასეთივე სხვაობით აჯობეს აზერბაიჯანელებს. ფინალი გუშინ გაიმართა და მასპინძლებმა 5:2 იმარჯვეს. ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ და მიყოლებით მოიგეს პირველი ხუთი შეხვედრა. ჩვენებმა მხოლოდ ამის შემდეგ მოიგეს ბოლო ორი ორთაბრძოლა - გავაშელიშვილმა და საკანდელიძემ, თუმცა ამ დროს ფინალის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ჩვენებმა მეორე თასი წააგეს - ოქტომბრის შუა რიცხვებში დაღესტნურ ხასავიურტში საკონტინენტთაშორისო თასზე იჭიდავეს და მეოთხე ადგილზე გავიდნენ. ამით „თავისუფალთა" ნაკრებმა წლევანდელი სეზონი დაამთავრა - მათთვის უახლოესი ტურნირი იანვრის შუა რიცხვებში გასამართი საქართველოს ჩემპიონატია.

ირაკლი თავაძე

სუმო



# მებრძოლი სული ტოჩინოშინს

## ქართველთა ყველაზე წარმატებული ბაშო

მას შემდეგ, რაც პროფესიულ სუმოში პირველმა ქართველმა შეაბიჯა, კუნძულ კიუშუზე გუშინ დასრულებული ბაშო ჩვენთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა - პირველად ისტორიაში სუმოს ელიტაში სამმა ჩვენებურმა იჭიდავა და სამივე ფალავანმა დადებითი ბალანსით დაასრულა სუპერტურნირი, ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** სრულიად ქართული რეკორდი გაიმეორა, 12-3 ბალანსით ბაშო მეორე ადგილზე დაასრულა და „მებრძოლი სულის" პრიზიც მიიღო.

მოდი, ჯერ ძურიოს დივიზიონის დებიუტანტ **თეიმურაზ ჯუღელის (გაგამარუ)** სიყოჩაღეზე მოგითხრობთ - ქართველმა, რომელიც 189 კილოგრამს იწონის, ბეწვის ხიდზე გაიარა, უკანასკნელი ოთხი ორთაბრძოლა მოიგო და ბაშო 8-7 ბალანსით დაასრულა. უარყოფითი ბალანსის შემთხვევაში მას ელიტასთან განშორება მოუწევდა. ბაშოს ბოლოსწინა დღეს 22 წლის გაგამარუმ ძურიოს მე-10 ნომერი **დაიშოუმი** ოშიდაშით დაამარცხა.

ბოლო დღეს ორგანიზატორებმა ჩვენებური ძურიოს დივიზიონის ლიდერ **კიტატაიკის** (10-4) შეახვედრეს. თეიმურაზმა მეტოქის მავაში იგდო ხელთ და ლიდერი დოჰიოდან გააძევა. კიტატაიკი მაინც გახდა ძურიოს ჩემპიონი, ოღონდ საამისოდ სამკაციანი პლეი ოფის მოგება დასჭირდა. რაც შეეხება ქართველს, მან არა მარტო შეინარჩუნა დივიზიონში ადგილი, არამედ რეიტინგშიც წინ წაიწევს. დღეისათვის გაგამარუ ძურიოს მე-14 ნომერია.

გაგამარუს გმირობა უმაღლეს დივიზიონში **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** გაიმეორა - ქართული პროფესიული სუმოს პიონერმა ბოლო 4 შეხვედრა მოიგო და 8-7 ბალანსით რეიტინგში წინსვლა დაიბევა. კოკაი ახლა დასავლეთის მე-10 მაეგაშირაა. ბოლოსწინა დღეს კოკაის გამარჯვება უბრძოლველად ერგო - მასთან საჭიდაოდ არ გამოცხადდა მთაკაცი **იამამოტოიამა** (258 კგ), თურმე იაპონელს ღორის გრიპი შეჰყრია. გუშინ კოკაიმ მე-7 მაეგაშირა **ტამანოშიმა** დაამარცხა. მან მეტოქის შეტევა მოიგერია და შემდეგ გვერდში დარტყმით დოჰიოზე დააგდო.

მე-8 მაეგაშირა ტოჩინოშინმა ბაშოს მე-14 დღეს დოჰიოდან აიტაცა „ციური მგელი" **შოტენრო** და მას ხელი მხოლოდ რკალსმიღმა გაუშვა. ტოჩინოშინმა ეფექტური ცურიდაში შემოგვთავაზა. ეს მისი მე-12 გამარჯვება იყო, რითაც კოკაის რეკორდი (2008 წლის მარტის ბაშო) გაიმეორა. რამდენიმე წუთში ლევანმა იმპერატორის თასის მოგების თეორიული შანსი დაკარგა, რადგან მონღოლმა იოკოძუნა **ჰაკუჰომ** მე-14 გამარჯვება იზეიმა.

ბოლო დღეს ტოჩინოშინის მეტოქე მე-4 მაეგაშირა **ჰოკუტორიკი** (7-7) იყო. ქართველს რომ მოეგო, ახალ ქართულ რეკორდს შესწვდებოდა, თან მაკუუჩის დივიზიონში მოგებების და წაგებების რიცხვს გაათანაბრებდა. სამწუხაროდ, ლევანმა დათმო ორთაბრძოლა და ბაშო 12-3 ბალანსით (კარიერაში 74-76) დაასრულა.

ჰაკუჰომ იმპერატორის თასი 15-0 ბალანსით მოიგო. დიდმა მონღოლმა სუმოს ყველაზე პრესტიჟული პრიზი მეთორმეტედ ასწია, ამ მაჩვენებლით კი მოქმედ სუმოისტთა შორის ის მხოლოდ სახელოვან თანამემამულე **ასაშორიუს** (25) ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ მებრძოლი სულის პრიზი მესამედ მიიღო ქართველმა. აქამდე ორჯერ კოკაიმ დაიმსახურა ეს საპატიო ჯილდო. ლევან გორგაძე, სავარაუდოდ, პირველი მაეგაშირა გახდება.

### XIV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები

**მაკუუჩი**

| | |
|---|---|
| ტოჩინოშინი (მ 8)-შოტენრო (მ 12) | ცურიდაში |
| კოკაი (მ 10)-იამამოტოიამა (მ 15) | უბრძოლველად |
| ჰაკუჰო (ი)-კოტომიცუკი (ო) | უვატენაგე |
| კოტოოშუ (ო)-ასაშორიუ (ი) | იორიკირი |
| გოეიდო (ქ)-კაიო (ო) | იორიკირი |
| ჰარუმაფუჯი (ო)-ტოიონოშიმა (მ 5) | უვატენაგე |
| კაკურიუ (ს)-ტოჩიოძანი (მ 3) | უვატენაგე |
| ბარუტო (ს)-ჰოკუტორიკი (მ 4) | იორიკირი |
| კისენოსატო (ქ)-ტოკიტენკუ (მ 2) | იორიკირი |
| კოტოშოგიკუ (მ 2)-ტაკეკაძე (მ 1) | იორიკირი |

**ძურიო**

| | |
|---|---|
| გაგამარუ (ძ 14)-დაიშოუმი (ძ 10) | ოშიდაში |
| ჰაკუბა (ძ 1)-კიოკუნანკაი (ძ 7) | უვატენაგე |
| კოტოკასუგა (ძ 6)-მასაცუკასა (ძ 1) | უვატენაგე |
| კორიუ (ძ 6)-ფუტენო (ძ 2) | ცუკიდაში |

### ბოლო დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები

**მაკუუჩი**

| | |
|---|---|
| ჰოკუტორიკი (მ 4)-ტოჩინოშინი (მ 8) | ჰიკიოტოში |
| კოკაი (მ 10)-ტამანოშიმა (მ 7) | ცუკიოტოში |
| ჰაკუჰო (ი)-ასაშორიუ (ი) | უვატენაგე |
| ჰარუმაფუჯი (ო)-კოტოოშუ (ო) | ჰიკიოტოში |
| კაიო (ო)-კოტომიცუკი (ო) | კოტენაგე |
| ბარუტო (ს)-ტოიონოშიმა (მ 5) | ცურიდაში |
| კაკურიუ (ს)-კისენოსატო (ქ) | ჰატაკიკომი |
| გოეიდო (ქ)-ტოკიტენკუ (მ 2) | ოშიდაში |
| ტაკეკაძე (მ 1)-ტოჩიოძანი (მ 3) | ოშიდაში |
| კოტოშოგიკუ (მ 2)-კიოკუტენჰო (მ 6) | ცუკიოტოში |

**ძურიო**

| | |
|---|---|
| გაგამარუ (ძ 14)-კიტატაიკი (ძ 5) | იორიტაოში |
| ვაკაკოიუ (ძ 9)-ჰაკუბა (ძ 1) | ცუკიდაში |
| ტოკუსეგავა (ძ 8)-ტოჩინონადა (ძ 2) | ცუკიოტოში |
| ვაკატენრო (ძ 9)-ფუტენო (ძ 2) | ჰიკიოტოში |

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კიტატაიკი (ძ 5)-ტოკუსეგავა (ძ 8) | უბრძოლველად |
| კიტატაიკი (ძ 5)-კორიუ (ძ 6) | ოშიდაში |

### საბოლოო მდგომარეობა

**მაკუუჩი**

**15-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა); **12-3:** ტოჩინოშინი (მაეგაშირა 8), მიაბიამა (მ 9). **11-4:** ასაშორიუ (იოკოძუნა), ტოიონოშიმა (მ 5). **10-5:** კოტოოშუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (მ 2), იოშიკაძე (მ 9), ტამავაში (მ 11)... **8-7:** კოკაი (მ 10).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მე-12)
ბრწყინვალე ასპარეზობა: არავის
მებრძოლი სული: ტოჩინოშინი (პირველად) და მიაბიამა (მე-5).
ტექნიკური რიკიში: ტოიონოშიმა (მე-2)

**ძურიო**

**10-5:** კიტატაიკი (ძურიო 5. ჩემპიონი), კორიუ (ძ 6), ტოკუსეგავა (ძ 8). **9-6:** ვაკაკოიუ (ძ 9), ტოსანოუმი (ძ 11), ჩიოჰაკუჰო (ძ 12), შირონონამი (ძ 12), კასუგანიშიკი (ძ 13), ჰოშიკაძე (ძ 13)... **8-7:** გაგამარუ (ძ 14).

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

# ლელა კონიაში



ლელა ჯავახიშვილი

დღეიდან 4 დეკემბრამდე კონიაში პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის თასი გათამაშდება ქალთა შორის სწრაფ ჭადრაკში. შეჯიბრებაში 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იასპარეზებს წრიული სისტემით. მონაწილეთა შორის იქნებიან ქართველი დიდოსტატი **ლელა ჯავახიშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი**, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა**, მისი და — ევროპის ჩემპიონატების მეორე და მესამე პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა** (სამივე — რუსეთი), ევროპის ჩემპიონები — **პია კრამლინგი** (შვედეთი), **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა), ლიტველი **ვიქტორია ჩმილიტე** და პოლონელი **მონიკა სოჩკო**. ასპარეზობის კიდევ 4 მონაწილეს მასპინძლები და ასოციაციის თავკაცები დაასახელებენ. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიის ბოლომდე მიეცემა 20 წუთი ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით.

წლევანდელი სეზონი ლელა ჯავახიშვილისთვის წარმატებული გამოდგა. მაიას თასზე საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორმა თბილისის მერიის თასზეც ქალთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. მერე ჩინეთში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე IV ადგილი ხვდა, ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე „სამაიას" შემადგენლობაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო კონტინენტის გუნდურ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, თან მე-2 დაფაზე 7 შესაძლებლიდან 5,5 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა. იმედია, ლელა კონიაშიც გვასახელებს.

ვაჟა დანელია

# ჯობავა თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა

ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასის მესამე რაუნდის შეხვედრები გაიმართა, რომლებმაც მრავალი სიურპრიზი შესთავაზა ჭადრაკის მოყვარულებს. ჩვენთვის გულსატკენი ის არის, რომ როგორც თასის პირველი გათამაშებისას, ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** ამჯერადაც მესამე წრეში დაემშვიდობა შეჯიბრებას. **ალექსანდრ გრიშჩუკთან** (რუსეთი) მისი ძირითადი და 25-წუთიანი პარტიები საყაიმო ანგარიშით დამთავრდა, ხუთწუთიანებში კი მეტოქემ 2:0 აჯობა.

ტურნირს გამოეთიშა მსოფლიო თასის შარშანდელი გამარჯვებული **გატა კამსკი** - იგი 16 წლის ფილიპინელ **სოუ უესლის** დანებდა. ამ უკანასკნელმა მე-2 წრეში უკრაინელი **ვასილი ივანჩუკიც** ჩამოაშორა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას. დამარცხდა ევროპის 2009 წლის ჩემპიონი **ევგენი ტომაშევსკი**. მას ზედიზედ 58 პარტია არ წაეგო და ეს სარეკორდო სვლა **ალექსეი შიროვმა** დაამუხრუჭა.

შეჯიბრებაზე პირველი მუქთი ქულები მიითვალეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ **ვუგარ გაშიმოვი** და **ეტიენ ბაკრო**, რომელთა მეტოქეებმა - **ვან იუემ** და **ლი ჩაომ** შეხვედრაზე დააგვიანეს და ტაიბრეიკის მე-2 პარტიაში წაგება ჩაეთვალათ. რას იზამ, წესი ყველასთვის წესია.

ახლა კი მე-3 რაუნდის ორთაბრძოლათა შედეგებს გაგაცნობთ: **ბორის გელფანდი** (ისრაელი)-იუდით პოლგარი (უნგრეთი) 3,5:1:5, ლი ჩაო (ჩინეთი)-ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) 1,5:3,5, პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)-არკადი ნაიდიჩი (გერმანია) 5:3, ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა)-ვიქტორ ლაზნიჩკა (ჩეხეთი) 1,5:3,5, კონსტანტინ საკაევი (რუსეთი)-ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი) 0,5:1,5, გატა კამსკი (აშშ)-სოუ უესლი (ფილიპინები) 0,5:1.5, რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)-ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) 1,5:0,5, **ბაადურ ჯობავა** (საქართველო)-ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 3:5, დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი)-ალექსანდრ არეშჩენკო (უკრაინა) 4:2, ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)-ვენ უიე (ჩინეთი) 3,5:1,5, პაველ ელიანოვი (უკრაინა)-ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) 1:4, დავიდ ნავარა (ჩეხეთი)-სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 1,5:0,5, შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)-ჰაო ვენი (ჩინეთი) 1,5:0,5, ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი)-ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 0,5:1,5, ფაბიანო კარუანა (იტალია)-ევგენი ალექსეევი (რუსეთი) 3,5:2,5, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი)-იუ ვენგი (ჩინეთი) 1,5:0,5.

ვაჟა დანელია

სამთო თხილამურობა

# სითიზენური მეშვიდე

ქართველმა სამთომოთხილამურეებმა ახალი სეზონი ფრანგულ კურორტ ვალ ტორანში გახსნეს, სადაც FIS-ის ეგიდით გამართულ რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. შაბათს ჩვენმა ტრიომ ისევ ვალ ტორანში სცადა ბედი, ოღონდ „სითიზენის" ეგიდით გამართულ გიგანტ-სლალომში. **იასონ აბრამაშვილი** 130 მონაწილეს შორის რეიტინგით მე-15 იყო. მან ორი ჩამოსრიალების ჯამში 2:17.20 წუთი შედეგით მე-7 ადგილი დაიკავა. კარგად გამოვიდნენ **ვახტანგ თედიაშვილი** (მე-12 ადგილი) და **კოტე ვახტანგიშვილიც** (22-ე ადგილი).

ნიკოლოზ ნეფარიძე

სნოუბორდი

# ფედერაციის პრეზენტაცია

შაბათს კინოკლუბ "კაშეს" მასპინძლობითა და "რედბულის" აქტიური მხარდაჭერით საქართველოს სნოუბორდის ეროვნული ფედერაციის პრეზენტაცია გაიმართა. სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე საკანდელიძემ.**

სნოუბორდის ეროვნული ფედერაცია, წლეულს, 31 აგვისტოს დაარსდა. მსოფლიო ფედერაციაში გაწევრებამდე მიმდინარეობს ორგანიზაციული საკითხების მოგვარება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან აღიარების თაობაზე. ფედერაცია თანამშრომლობს აგრეთვე თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილებასთან.

სნოუბორდის ეროვნული ფედერაციის მიზანია სნოუბორდის, როგორც სპორტის სახეობის განვითარება საქართველოში, საშუამავლო და საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელება, საქართველოსა და საერთაშორისო ჩემპიონატების ჩატარება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ფედერაცია მუშაობს სპეციალურ პროგრამებსა და პროექტებზე და მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.

მრავალფეროვანია ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელსაც ფედერაცია ამ ზამთარში განახორციელებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**რაგბი.** *ნოემბრის ტესტები*



# რიჩი მაკქოუ პლანეტაზე საუკეთესოა

ნოემბრის ტესტების ბოლო დღეს რვა შეხვედრა გაიმართა, აქედან მასპინძელთა გამარჯვებით მხოლოდ სამი დასრულდა. ყველაზე „ხმაურიანი“ ექვსი ერის წლევანდელი გამარჯვებულის, ირლანდიის მიერ სამი ერის ჩემპიონის სამხრეთ აფრიკის ძლევა იყო. დუბლინში ევროპელებმა მეტოქე - 15:10 დაამარცხეს.

ირლანდიამ პირველი ტაიმი - 6:10 წააგო. მასპინძლები მეორეში იმდენად აქტიურად და შეუპოვრად გამოიყურებოდნენ, რომ მრისხანე „ბოკეს“ ქულათა მონაგარის გაზრდის მცირედი შანსიც კი არ მისცეს.

ანგარიში მე-9 წუთზე **ჯონათან სექსტონმა** გახსნა საჯარიმოთი - 3:0. თუმცა ექვს წუთში აფრიკელებმა საკმაოდ მარტივი კომბინაციის შემდეგ „სამყურებს“ ლელო გაუტანეს. ირლანდიის ოცდაორმეტრიან ზონაში წარმოქმნილი რაკიდან „ბოკეს ცხრა ნომერმა **ფური დუპრიმ** ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა. იქ აფრიკელებმა ხელდახელ იბურთავეს და მესამეხაზელმა **სხალკ ბურხერმა** ლელოში შეაღწია. მორნი სტეინმა გარდასახა - 7:3.

ტაიმის ბოლომდე სტეინმა და სექსტონმა თითო საჯარიმო გაცვალეს - 10:6. ირლანდიელთა დამრტყმელმა მეორე ტაიმშიც იყოჩაღა, ოთხი საჯარიმოდან სამი გაიტანა და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა - 15:10.

მარსელში საფრანგეთის ნაკრები დაარბია ზელანდიის ეროვნულმა გუნდმა. **რიჩი მაკქოუმ**, რომელიც IRB-მ წლის საუკეთესო მორაგბედ დაასახელა, და კომპანიამ „ლე ბლეს“ ხუთი ლელო გაუტანეს. რაზეც ფრანგთა საკმაოდ გადახალისებულმა, ბევრად უფრო ახალგაზრდულმა გუნდმა პასუხი ვერაფრით გასცა.

ამდენად „ოლ ბლექსმა“ ნოემბრის ტესტებზე საუკეთესო შედეგი აჩვენა, ოთხიდან ოთხივე შეხვედრაში გაიმარჯვა. შემთხვევითი არაა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ სწორედ ამ გუნდის 28 წლის კაპიტანი მაკქოუ დაასახელეს.

„გუნდის სახელით ვულოცავ რიჩის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ დასახელებას. ის ჩვენი გუნდის ლიდერია. მისი მებრძოლი სული გადამდებია თანაგუნდელებისათვის, რაც დიდ როლს ასრულებს წარმატების მიღწევაში. რიჩიმ ნამდვილად დაიმსახურა ეს ტიტული“ - თქვა მაკქოუზე არანაკლებ გახარებულმა ზელანდიელთა თავკაცმა **გრემ ჰენრიმ**.

ავსტრალიის ნაკრებმა შოტლანდიაში განცდილი მარცხის შემდეგ, უელსთან დაპირისპირებაში სრულიად განსხვავებული თამაში შემოგვთავაზა. „ვოლაბები“ თავიდანვე დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ საქმეს და 24 წუთისთვის - 20:6 იგებდნენ.

ავსტრალიელებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს. **ჯეიმზ ჰორვილმა, დევიდ პოკოქმა და დიგბი იოანიმ** საკმაოდ მზარდ, სანახაობრივად ლამაზი რაგბობის მიმდევარ უელსს, თამაში საწყის მეოთხედში დაუმთავრეს. მასპინძლებს ექვსი ქულა საჯარიმოებიდან **სტივენ ჯოუნზმა** და **ლეიგ ჰალფპენიმ** მოუტანეს.

„ვოლაბებს“ არც მეორე ტაიმში დაუთმიათ რამე. პოლოტანაუს ლელო **მეტ გიტომ** გარდასახა, ზედაც ორის საჯარიმო მიუმატა და უელსი სრულიად უშანსოდ დატოვა - 33:12.

„ვოლაბების“ მძლეველი შოტლანდია ედინბურგში არგენტინის ნაკრებთან დამარცხდა. პირველი ტაიმი **ფილ გოდმენის** ორი საჯარიმოს წყალობით მასპინძლებმა - 6:0 მოიგეს. მეორე ტაიმი კი მთლიანად „პუმების“ გამოდგა. გამარჯვება სტუმრებს შუამარბმა **მარტინ როდრიგესმა** მოუტანა. მან ჯერ ორი საჯარიმოთი გაქვითა ანგარიში. შემდეგ, თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე არეკნით დაამწუხრა „სკოტები“ - 9:6.

ტესტ მატჩები გამართეს ერთა თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეებმაც. რუსების ნაკრები ვანკუვერში დაუპირისპირდა მასპინძელთა ნაკრებს და 6:22 დამარცხდა.

ბუქარესტში მორიგი მარცხი იწვნია რუმინეთის ნაკრებმა. „მუხის ფოთლებმა“ ფიჯის ეროვნულ გუნდს უმასპინძლეს და 18:29 წააგეს. არადა, პირველი ტაიმი რუმინელების იყო - 11:7.

სამიდან სამივე შეხვედრა წააგო პორტუგალიის ნაკრებმა. „ლობუშებმა“ ტონგას საკმაოდ ძლიერ გუნდს უმასპინძლეს ლისაბონში და დამარცხდნენ -19:24. აღსანიშნავია, რომ რუმინელთა მსგავსად, პირველ ტაიმში უპირატესობა პორტუგალიელებს ჰქონდათ - 19:8.

**საფრანგეთი-ზელანდია 12:39**

**საფრანგეთი:** 3ს - დიუპიუი. ა - ტრინ-დუკი

**ზელანდია:** 5ლ - მულიაინა, ჯეინი, სმითი, სივივატუ, კაინო. 4გ,2ს - კარტერი.

**უელსი-ავსტრალია 12:33**

**უელსი:** 4ს - ს.ჯოუნსი (3), ჰალფპენი.

**ავსტრალია:** 4ლ - ჰორვილი, პოკოქი, პოლოტანაუ, იოანი. 3ს,2გ - გიტო.

**ირლანდია-ს.აფრიკა 15:10**

**ირლანდია:** 5ს - სექსტონი.

**ს.აფრიკა:** ლ - ბურხერი. ს,გ - მ.სტეინი.

**შოტლანდია-არგენტინა 6:9**

**შოტლანდია:** 2ს - გოდმენი.

**არგენტინა:** 2ს,ა - როდრიგესი

**იტალია-სამოა 24:6**

**იტალია:** ლ - მაკლეინი. 3ს,გ - ბერგამასკო. ა - ტებალდი.

**სამოა:** 2ს - ესაუ.

**პორტუგალია-ტონგა 19:24**

**რუმინეთი-ფიჯი 18:29**

**კანადა-რუსეთი 22:6**

**ნამიბია-ტუნისი 22:10**

ბესიკ ჯანგავაძე

**ჩოგბურთი.** *ATP-ის ჩემპიონატი*

# ბრაიანების მესამე ტრიუმფი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ბოლო ტურნირი რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** ტრიუმფით დასრულდა. როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანს სეზონის ბოლოსთვის ყველაზე მეტი ენერგია ჰქონდა შერჩენილი, რისი წყალობით სხვებზე სტაბილურად გამოიყურებოდა და კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია. არადა, დავიდენკოს მთელი წლის განმავლობაში მსხვილ ტურნირებზე ღირებული წარმატებისთვის არ მიუღწევია.

დავიდენკოს აქციებმა მაშინ აიწია, როცა ნახევარფინალში ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი**. რუსმა იმ მატჩში ურთულესი სიტუაციიდან დაიძვრინა თავი - მესამე პარტიაში შვეიცარიელი 5:4-ს იგებდა, როცა მეტოქის მოწოდებაზე 30:0 დაწინაურდა, მაგრამ დავიდენკომ ეს გეიმი გადაარჩინა, შემდეგ ბრეიკი გააკეთა და ბოლოს მატჩზეც დამაჯერებლად ჩააწოდა.

ამ ბრწყინვალე მოგებით გამხნევებულმა დავიდენკომ გუშინ ფინალში არანაირი შანსი არ დაუტოვა არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს**. რუსი პრაქტიკულად უშეცდომოდ თამაშობდა, სამხრეთამერიკელი კი ხშირად ვერ ჰყვებოდა მეტოქის ტემპს.

დავიდენკომ თითო სეტში თითო ბრეიკი აუღო არგენტინელს, რაც შეეხება დელ პოტროს, მას ჯამში ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთის გამოყენება ვერ შეძლო. შესაბამისად, რუსმა საკმაოდ იოლად - 6:3, 6:4 მოიგო შეხვედრა და გააუმჯობესა შარშანდელი შედეგი. გასულ წელს ნიკოლაიმ ფინალში გააღწია, სადაც **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წააგო. სხვათა შორის, ერთადერთი მარცხი ამ ტურნირზე დავიდენკომ სწორედ სერბისგან იწვნია - ჯგუფური ტურნირის პირველ ტურში.

გუშინვე გაირკვა წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებული წყვილებში. მესამედ კარიერაში ATP-ის ჩემპიონატი ტყუპმა ძმებმა **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** მოიგეს. მათ ისრაელელი **ენდი რამისა** და ბელარუსი **მაქს მირნის** ინტერნაციონალური დუეტი დაამარცხეს - 7:6, 6:3. ამ მოგებით ამერიკელებმა დაიბრუნეს პირველობა წყვილთა რეიტინგში. მათ უკან ჩამოიტოვეს **დანიელ ნესტორისა** და **ნენად ზიმონჯიჩის** კანადურ-სერბული დუეტი.

გია თვალაბეიშვილი



**ფორმულა 1**

## კუბიცა რენოს დატოვებს?

ჩემპიონატის ახალი გუნდი - "მერსედეს გრან-პრი" (ყოფილი "ბრაუნ გრან-პრი") კვლავაც მეორე პილოტის ძიებაშია. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს ესპანური გაზეთი AS. გამოცემის ჟურნალისტები გერმანელი **ნიკო როსბერგის** სავარაუდო პარტნიორად **რობერტ კუბიცას** ასახელებენ.

პოლონელმა "რენოსთან" ცოტა ხნის წინ გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ AS-ის ცნობით, კუბიცას, შესაძლოა, მაინც მოუწიოს ფრანგული საჯინიბოს დატოვებამ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "რენო" უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში არ დაადასტურებს 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობას. თუ ეს არ მოხდა, კუბიცას კონტრაქტი გაუქმებულად გამოცხადდება და პილოტი თავისუფალი აგენტი გახდება.

## ზაუბერი პილოტებს ეძებს

გერმანული BMW-სგან შეძენილი გუნდის - "ზაუბერის" დამაარსებელი პეტერ ზაუბერი შვეიცარიულ ტელეკომპანია SF Sport-ს თავის საჯინიბოში პილოტთა სავარაუდო შემადგენლობის შესახებ ესაუბრა. მან რამდენიმე ავტომრბოლის გვარი დაასახელა, რომელიც ჰერ პეტერმა თავის პირად სიაში შეიყვანა.

ზაუბერმა ახსენა გამოცდილი ნიკ ჰაიდფელდი, იარნო ტრული, პედრო დე ლა როსა, აგრეთვე ორი ახალგაზრდა და პერსპექტიული პილოტი - იაპონელი კამუი კობაიაში და რუსი ვიტალი პეტროვი. საინტერესოა, რომ კიმი რაიკონენის სავარაუდო ტრანსფერის შესახებ დასმულ კითხვაზე ზაუბერმა განაცხადა, რომ არ საჭიროებს მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის სამსახურს.

გია თვალაბეიშვილი

**ჰოკეი.** *NHL რეგულარული ჩემპიონატი*

### 27 ნოემბერი

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 1:2 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პარიზე-14 (პალისჩუკი-1, სალვადორი-6), 1:1 ველერი-7 (ბიტცი-3, სავარი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ველერი (ბოსტონი), პარიზე (ნიუ ჯერსი), ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი).

**ფილადელფია-ბაფალო 2:4**

2:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 სტეფორდი-7 (ტიმ კონოლი-14, ლიდმანი-1), 1:1 მ. რიჩარდსი-11 (ვან რიმსდიკი-13, ჯ. კარტერი-14), 2:1 ქობურნი-4 (ეშემი-3, პიორალა-2), 2:2 გოსტადი-6 (ტიმ კონოლი-15, ბატლერი-7), 2:3 ტიმ კონოლი-5 (მაკარტური-6, მიერსი-7), 2:4 ტიმ კონოლი-6 (სტეფორდი-4, მონტადორი-4).

**აილენდერსი-პიტსბურგი 3:2**

1:1, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ბეილი-7 (მტრაიტი-11, მეიერი-5), 1:1 მალკინი-7 (გოდარდი-1, ლავჯოი-3), 1:2 კუკი-5 (ჯ. სტაალი-8, გონჩარი-7), 2:2 ბერგენჰაიმი-4 (ნილსენი-7, პანტერი-6), 3:2 ტავარესი-10 (მეიერი-6, ოკსოპო-9).

**მინესოტა-კოლორადო 5:3**

1:1, 2:2, 2:0

**გოლები:** 0:1 ქუინსი-3 (დუშენი-8, კ. ანდერსონი-1), 1:1 ნოლანი-7 (ზენონი-2), 2:1 კობესიუ-2 (ბოოგარდი-1), 2:2 პ. შჩასტნი-6 (კ. სტიუარტი-8, ლაილსი-7), 3:2 კობესიუ-3 (ბრუნეტი-10, მ. კოივუ-16), 3:3 კ. სტიუარტი-2 (ვოლსკი-12), 4:3 ბრუნეტი-9 (მ. კოივუ-17, ჟიდლიცკი-11), 5:3 კობესიუ-4 (მ. კოივუ-18, ზენონი-3).

**ანაჰაიმი-ჩიკაგო 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 სელიანე-13 (პერი-17, რაიან უიტნი-10), 2:0 სელიანე-14 (გეტცლაფი-23, ს. ნიდერმაიერი-13), 3:0 ბოინტონი-1 (რაიანი-7, ვიშნიევსკი-12).

**კაროლინა-ატლანტა 4:6**

1:0, 3:1, 0:5

**გოლები:** 1:0 კოული-3 (გლისონი-3, ე. სტაალი-4), 2:0 იელი-2 (ბრინდამორი-6, გლისონი-4), 2:1 ე. კეინი-8 (ენსტრიომი-14, კ. არმსტრონგი-4), 3:1 სამსონოვი-3 (კოული-2), 4:1 კულენი-5 (კოსტოპულოსი-1, ა. უორდი-4), 4:2 ვიაჩ. კოზლოვი-4 (ლიტლი-7, სალმელა-2), 4:3 კოვალჩუკი-14 (ენსტრიომი-15, აფინოგენოვი-13), 4:4 აფინოგენოვი-10 (კოვალჩუკი-10, ენსტრიომი-16), 4:5 პევერლი-9 (ლიტლი-8, ბოგოსიანი-4), 4:6 რისონერი-1 (ტ. უაიტი-8, კუბინა-8).

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 5:1**

2:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-16 (სენტ ლუისი-21, პედმანი-6), 2:0 ფოსტერი-2 (სენტ ლუისი-22, ლეკავალიე-16), 3:0 დაუნი-3 (სენტ ლუისი-23, სტემკოსი-12), 4:0 ჩეჩურა-1 (რაიტი-3, უოლკერი-2), 5:0 ფოსტერი-3 (კონოპკა-2), 5:1 კელეჰანი-4 (ანისიმოვი-7, მ. სტაალი-7).

**ფლორიდა-ტორონტო 4:6**

2:1, 1:2, 1:3

**გოლები:** 1:0 დვორაკი-3 (ოლეში-6, რაინპრეხტი-8), 2:0 ფროლიკი-6 (უეისი-9, მაკეიბი-9), 2:1 კესელი-7 (მენი-3), 2:2 ჰაგმანი-12 (პონიკაროვსკი-4, გრაბოვსკი-12), 3:2 კულიკოვი-2 (ჰორტონი-13, საიდენბერგი-8), 3:3 პონიკაროვსკი-9 (ი. უაიტი-10, ტ. კაბერლე-23), 4:3 კულიკოვი-3 (რაინპრეხტი-9, საიდენბერგი-9), 4:4 კესელი-8 (პონიკაროვსკი-5), 4:5 ჰაგმანი-13 (ჰანსონი-1), 4:6 სტაიანი-7 (პონიკაროვსკი-6).

**დეტროიტი-კალგარი 0:3**

0:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ლუნდმარკი-1 (ო. იოკინენი-13, იგინლა-8), 0:2 დეივსი-6 (მოსი-5), 0:3 ო. იოკინენი-4 (ლუნდმარკი-2, იგინლა-9).

**ნეშვილი-სტ. ლუისი 1:3**

0:0, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ბოიესი-5 (ე. ჯონსონი-14, კოლაიაკოვო-7), 0:2 ბეკსი-3 (ოში-7, ვიცერი-1), 1:2 სკაჩარდი-1 (ტუტუ-4, ლეგვანდი-9), 1:3 კარია-5 (ოში-8).

**ფინიქსი-დალასი 5:2**

1:0, 1:0, 3:2

**გოლები:** 1:0 ლანგი-6 (მლემკო-4, ბოდკერი-1), 2:0 კორპიკოსკი-1 (აპშოლი-2, ლომბარდი-9), 3:0 კორპიკოსკი-2 (აპშოლი-3, ლომბარდი-10), 4:0 ო. ოკუანი-4 (ლომბარდი-11, აპშოლი-4), 5:0 ზ. მიხალეკი-2 (დოუნი-11, ფიდლერი-8), 5:1 მოროუ-9 (უენდელი-7, ბენი-10),5:2 რიბეირო-8.

**ედმონტონი-სან ხოსე 4:5 (ბ)**

0:1, 1:0, 3:3, 0:0

**გოლები:** 0:1 მარლო-15 (ჯ. ტორნტონი-27, ჰიტლი-12), 1:1 პოტულნი-4, 2:1 პენერი-14 (ბრული-8), 3:1 ბრელი-7 (პენერი-14, სემ განიე-10), 3:2 მარლო-16 (ჯ. ტორნტონი-28, ბოილი-18), 3:3 ქლოუ-5 (მარლო-14, ელასიჩი-7), 4:3 პოტულნი-5 (შმიდი-6, მორო-3), 4:4 მარლო-17 (ჯ. ტორნტონი-29).

**ბულიტები გაიტანეს:** პაველსკი (სან ხოსე).

### 28 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 6:1**

0:1, 2:0, 4:0

**გოლები:** 0:1 პარკი-2 (ჯეკმენი-1, ბერგენჰაიმი-6), 1:1 მოტო-1 (ელიაში-6), 2:1 როლსტონი-7 (ელიაში-7, ლანგენბრუნერი-16), 3:1 ელიაში-2 (როლსტონი-4, ზაიაცი-15), 4:1 პარიზე-15 (ე. გრინი-9, ლანგენბრუნერი-17), 5:1 როლსტონი-8 (მოტო-1, ბერგფორსი-10), 6:1 ელიაში-3 (როლსტონი-5).

**ბოსტონი-ოტავა 4:3 (ბ)**

0:2, 2:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ალფრედსონი-9 (მ. მიხალეკი-5), 0:2 მ. მიხალეკი-12 (ალფრედსონი-16, პიკარი-9), 1:2 კრეისი-3 (რეკი-7, ვიდემანი-7), 2:2 რაიდერი-7 (ხარა-13, სავარი-6), 3:2 ვიდემანი-2 (კრეისი-9, ველერი-7), 3:3 მ. მიხალეკი-13 (პიკარი-10, სპეცა-13).

**ბულიტები გაიტანეს:** რაიდერი (ბოსტონი).

**ბაფალო-კაროლინა 5:1**

0:1, 0:0, 5:0

**გოლები:** 0:1 კულენი-6, 1:1 გრირი-4 (ბატლერი-8, ვანეკი-7), 2:1 მაკარტური-7 (დ. როი-13, მიერსი-8), 3:1 დ. როი-5 (პომინვილი-9, პეხტი-3), 4:1 პეხტი-3 (მიერსი-9, სეკერა-2), 5:1 ვანეკი-8 (მიერსი-10, ტ. კენედი-5).

**მონრეალი-ვაშინგტონი 3:4 (ბ)**

0:2, 2:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ფლერი-5 (ელზნერი-1, ლეიჩი-13), 0:2 ოვეჩკინი-18 (ბექსტრიომი-20, ჟირუ-1), 1:2 შპაჩეკი-2 (ჰამრლიკი-6, პასიორეტი-6), 2:2 პლეკანეცი-6 (ჰამრლიკი-7, შპაჩეკი-7), 3:2 მოენი-6 (მ-ა. ბერჟერონი-5, კამალერი-10), 3:3 ფლერი-6 (ოვეჩკინი-11, ფლიშმანი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ბექსტრიომი (ვაშინგტონი).

**ნეშვილი-ფლორიდა 4:1**

1:0, 0:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ჰამჰუისი-1, 1:1 ლეოპოლდი-3 (უეისი-10, ჰორტონი-14), 2:1 დუმონი-5 (სალივანი-7, არნოტი-6), 3:1 ლეგვანდი-5 (ტუტუ-5, ჰამჰუისი-6), 4:1 ჯ. უორდი-4 (კლეინი-2, ელისი-1).

**ატლანტა-ფილადელფია 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 პევერლი-10 (კუბინა-9, აფინოგენოვი-14).

**კოლამბუსი-კალგარი 3:4 (ბ)**

0:0, 3:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ო. იოკინენი-5 (ბოუმისტერი-11, იგინლა-10), 1:1 ნეში-15 (ჰუსელიუსი-9, ვორაჩეკი-9), 2:1 მეტოტი-1 (ჰუსელიუსი-10, კომოდორი-5), 3:1 ბოლი-3 (ბრასარი-12, კლესლა-6), 3:2 ბოიდი-4 (ო. იოკინენი-14, იგინლა-11), 3:3 დეივსი-7 (მოსი-6, ლენგკოუ-8).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰუსელიუსი (კოლამბუსი), დეივსი (კალგარი), ნეში (კოლამბუსი), ო. იოკინენი (კალგარი), ლუნდმარკი (კალგარი).

**პიტსბურგი-რეინჯერსი 8:3**

3:1, 1:1, 4:1

**გოლები:** 0:1 მ. სტაალი-3 (დრური-6, კოტალიკი-12), 1:1 მალკინი-8 (კროსბი-14, გრინი-10), 2:1 კროსბი-13 (გოლიგოსკი-9), 3:1 ტელბოტი-1 (კროსბი-15, ლეტანგი-7), 3:2 გილროი-4 (პროსპალი-19, გაბორიკი-15), 4:2 იტონი-3 (ადამსი-6, ორპიკი-8), 4:3 როჟსივალი-1 (გაბორიკი-16, ეიჟერი-7), 5:3 კროსბი-14 (მალკინი-17), 6:3 დუპუი-7 (ორპიკი-9, გონჩარი-8) 7:3 კროსბი-15 (გოლიგოსკი-10, გონჩარი-9), 8:3 ტაილერ კენედი-6 (ლეტანგი-8, ფედოტენკო-6).

**სტ. ლუისი-დეტროიტი 3:4 (ბ)**

2:0, 0:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ბექსი-4 (პერონი-6, სიდორი-4), 2:0 პოლაკი-2 (ბექსი-5, კარია-5), 2:1 ჰოლმსტრიომი-10 (ზეტერბერგი-16, დაციუკი-13), 2:2 დრეიპერი-4 (ივსი-5, ჰელმი-4), 3:2 ბოიესი-6 (პერონი-7, ე. მაკდონალდი-8), 3:3 ზეტერბერგი-10 (ბერტუცი-7, ჰოლმსტრიომი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ე. მაკდონალდი (სტ. ლუისი), დაციუკი (დეტროიტი), ბერტუცი (დეტროიტი).

**დალასი-ტამპა ბეი 4:3 (ო)**

0:0, 2:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ჩეჩურა-2, 1:1 რობიდასი-7 (მოდანო-5, ბ. რიჩარდსი-24), 2:1 ლეპტინენი-1 (ბ. რიჩარდსი-25, რობიდასი-10), 3:1 მოროუ-10 (ბენი-11, რიბეირო-13), 3:2 სტემკოსი-17 (მეზაროში-2), 3:3 ჰალპერნი-3 (ტანგეი-12, პედმანი-7), 4:3 უენდელი-4 (ლ. ერიქსონი-12).

**კოლორადო-მინესოტა 2:3 (ბ)**

2:0, 0:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰენდრიქსი-3 (დურნო-2, ფუტი-4), 2:0 დუშენი-4 (პ. შჩასტნი-19, ვოლსკი-13), 2:1 ბელანჟე-5, 2:2 ლატენდრესი-3 (ნოლანი-5, ჰნიდი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** მ. კოივუ (მინესოტა), ებეტი (მინესოტა).

**ვანკუვერი-ედმონტონი 7:3**

5:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ერჰოფი-6 (ედლერი-13, კესლერი-17), 2:0 ბაროუზი-6 (ჰ. სედინი-13, დ. სედინი-6), 3:0 რეიმონდი-9 (ერჰოფი-11, კესლერი-18), 4:0 დ. სედინი-1 (ჰ. სედინი-14, უ. მიტჩელი-6), 4:1 ბრული-8 (სემ განიე-11, პენერი-15), 5:1 გლესი-4 (ბერნიე-6), 5:2 კ. მაკდონალი-1 (ო'მარა-1), 5:3 პენერი-15 (ბრული-9, სემ განიე-12), 6:3 ედლერი-1 (რეიმონდი-7, კესლერი-19), 7:3 სამუელსონი-10 (რეიმონდი-8, ედლერი-14).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 2:1 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-8 (ჰანძუსი-6, პერსი-6), 1:1 ტეევზი-5 (პ. კეინი-16, კეტი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ჯ. ჯონსონი (ლოს ანჯელესი).




**კალათბურთი.** NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აივერსონს სიქსერზი არ უშვებს

მიუხედავად იმისა, რომ ვეტერანმა ვარსკვლავმა **ალენ აივერსონმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა, არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ მცველმა თავის პირველ კლუბში - "ფილადელფიაში" გააგრძელოს თამაში.

"სიქსერზის" ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა წყარომ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობს და უკვე ამ კვირას აივერსონი ჩაირიცხება კლუბში, რომელშიც 14 წლის წინ კარიერა დაიწყო და სადაც 10 წელი გაატარა.

*"კლუბში სერიოზულად განიხილავენ აივერსონის დამატების ვარიანტს. ჩვენთვის ცნობილია მისი კარიერის ყველა დეტალი, ალმაფრენისა და ჩავარდნის პერიოდები, მაგრამ ისიც ვიცით, რა შეუძლია ალენს, ამიტომაც ის ძალიან გვჭირდება. უარს ვერ ვიტყვით იმ შესაძლებლობებზე, რაც მისმა მოსვლამ შეიძლება შეგვმატოს. ამჟამად ბევრი ტრავმირებული კალათბურთელი გვყავს და ამ სიტუაციაში აივერსონის დამატება იდეალური ვარიანტი იქნება"*, - ამბობს "ფილადელფიას" ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, "სიქსერზის" მთელი სამწვრთნელო შტაბი მთავარი მწვრთნელის **ედი ჯორდანის** მეთაურობით, მხარს უჭერს მცველის კლუბში დაბრუნებას. უახლოეს დღეებში ჯორდანი აივერსონს ატლანტაში უნდა ეწვიოს.

*"მთავარ მწვრთნელს კარგი პლეიმეიკერი სჭირდება. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ - ჩვენი თამაში მოსაწყენია, ასე რომ, ალენის მოწვევით არაფერს ვკარგავთ"*, - განაცხადა მეორე წყარომ.

თუ აღნიშნული გარიგება შედგება, თითქმის დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ აივერსონი სასტარტო ხუთეულში მოხვდება. და კიდევ, "ფილადელფიას" თავისი ყოფილი ვარსკვლავის მიწვევა დაახლოებით 2-3 მილიონი დოლარი დაუჯდება.

# ერთი ნაბიჯი რეკორდამდე

"ნიუ ჯერსი ნეტსს" ერთი ნაგება სჭირდება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ანტირეკორდის გასამეორებლად. ეს გუნდი შაბათს "საკრამენტო კინგზთან" დამარცხდა და წლევანდელი რეგულარულის საწყის 16 შეხვედრაში 16 ნაგება დაუგროვდა. ასე რომ, "ნიუ ჯერსი" კიდევ ერთი მარცხის შემთხვევაში "ლოს ანჯელეს კლიპერსის" შედეგს გაიმეორებს - ზედიზედ 17 ნაგება სეზონის სტარტზე.

*"თამაში პირველ ნახევარში წავაგეთ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მთელი 48 წუთის განმავლობაში თამაშზე კონცენტრირება. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალში საცემია მაშინ, როცა საქმე ანგარიშის გაკონტროლებას ეხება"*, - ამბობს ლოურენს ფრენკი.

შემდეგ მატჩში "ნეტსი" "ლოს ანჯელეს ლეიკერსს" ხვდება. "ნიუ ჯერსის" ლიდერი **დევინ ჰარისი** მოქმედი ჩემპიონების წინააღმდეგ კარგი თამაშის რეცეპტს ეძებს: *"მოედანზე ისეთი განწყობით უნდა გავიდეთ, როგორც ეს "საკრამენტოსთან" მატჩის მეორე ტაიმში გავაკეთეთ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ექნება - "საკრამენტოა" ჩვენი მეტოქე თუ "ლეიკერსი". დიახ, ისინი ჩემპიონები არიან, მაგრამ ჩემპიონებიც აგებენ. ძალიან უნდა მოვინდომოთ. მხოლოდ ასე თუ გვექნება შანსი"*.




**28 ნოემბერი**

**ფილადელფია-ატლანტა 86:100**

23:26, 18:20, 25:29, 20:25

ფ: იანგი 22, იგუოდალა 16+9 მოხსნა+8 პასი, სმიტი 13, კარნი 13.

ა: კროუფორდი 24, ბიბი 21, სმიტი 20+6 მოხსნა, ჰორფორდი 15+7 მოხსნა.

**ბოსტონი-ტორონტო 116:103**

33:27, 21:28, 33:17, 29:31

ბ: ალენი 20, პირსი 18+7 პასი, პერკინსი 18, უოლასი 15, რონდო 12 +11 პასი, გარნეტი 12+7 მოხსნა.

ტ: ბოში 20+13 მოხსნა, თურქოგლუ 20, ჯეკი 18, ნესტეროვიჩი 10.

**დეტროიტი-კლიპერსი 96:104**

27:27, 27:20, 21:27, 21:30

დ: ჟერებკო 22, სტაკი 21+7 პასი, ბინუმი 14+9 პასი, დეი 13, ვილანუევა 11.

კ: კამანი 26+7 მოხსნა, დევისი 25+10 პასი, ტორნტონი 19, გორდონი 14.

**ოკლაჰომა-მილუოკი 108:90**

31:26, 20:24, 27:13, 30:27

ო: დურანტი 33+12 მოხსნა, უესტბრუკი 20+7 პასი, გრინი 17, ჰარდენი 15, სეფოლოშა 13+11 მოხსნა.

მ: უორიკი 15+9 მოხსნა, დელფინო 15, ილიასოვა 13+12 მოხსნა, რიდნური 13, ჯენინგსი 12.

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 84:92**

23:18, 23:26, 12:24, 26:24

ჰ: სკოლა 18+12 მოხსნა, არიზა 17+11 მოხსნა, ლენდრი 13, ბრუქსი 12, ლოური 10.

ს-ა: დანკანი 21+15 მოხსნა, პარკერი 19+7 პასი, მაკდაისი 15+14 მოხსნა.

**ინდიანა-დალასი 92:113**

26:35, 28:31, 15:29, 23:18

ი: გრეინჯერი 20, დანლივი 13, მერფი 10.

დ: ნოვიცკი 31, ტერი 17, მერიონი 13, ჰემფრიზი 12+11 მოხსნა, კიდი 11.

**დენვერი-ნიუ იორკი 128:125**

26:30, 35:30, 31:27, 36:38

დ: ენტონი 50+6 მოხსნა+ 5 პასი, ბილაპსი 32+8 პასი, სმიტი 17.

ნ-ი: ჰარინგტონი 41+10 მოხსნა, ლი 23+10 მოხსნა, ჰიუზი 16+9 პასი, დუჰონი 12, ჩენდლერი 12, რობინსონი 11.

**მინესოტა-ფინიქსი 95:120**

22:32, 17:28, 26:32, 30:28

მ: სეშენსი 23, ჯეფერსონი 20, ფლინი 18+6 პასი, ჰოლინზი 13.

ფ: რიჩარდსონი 22, ჰილი 17, კლარკი 14, სტაუდმაიერი 12, ბარბოზა 10.

**პორტლენდი-მემფისი 96:106**

15:29, 24:32, 24:16, 33:29

პ: როი 26+9 პასი+8 მოხსნა, უებსტერი 24, ოლდრიჯი 16, ოდენი 13+10 მოხსნა, მილერი 13.

მ: რენდოლფი 21+9 მოხსნა, გასოლი 19+15 მოხსნა, მაიო 19+6 პასი, ტინსლი 16, გეი 14.

**მაიამი-ვაშინგტონი 84:94**

24:26, 18:25, 22:16, 20:27

მ: სალმერსი 20, ო'ნილი 19+13 მოხსნა, უეიდი 18+6 პასი, ბიზლი 14+7 მოხსნა.

ვ: ჯეიმისონი 24+13 მოხსნა, იანგი 22, ბოიკინსი 10+9 პასი.

**შარლოტი-კლივლენდი 94:87**

26:19, 32:24, 24:28, 12:16

შ: უოლასი 31+14 მოხსნა, ჯექსონი 17, მოჰამედი 13, მიურეი 10.

კ: ჯეიმსი 25, უილიამსი 22+6 პასი, ო'ნილი 11+8 მოხსნა.

**საკრამენტო-ნიუ ჯერსი 109:96**

30:22, 26:22, 25:27, 25:27

ს: ევანსი 21+8 მოხსნა, უდრიხი 21, კასპი 18, ჰოუსი 16+10 მოხსნა, ტომპსონი 10+8 მოხსნა.

ნ-ჯ: ჰარისი 25, ლოპესი 24+11 მოხსნა, დაგლას-რობერტსი 21+8 მოხსნა, ბუნი 10+7 მოხსნა.

**29 ნოემბერი**

**ვაშინგტონი-შარლოტი 76:92**

19:22, 13:20, 18:27, 26:23

ვ: ბატლერი 19+7 მოხსნა, ჰეივუდი 10+9 მოხსნა, იანგი 10.

შ: უოლასი 14+14 მოხსნა, ჩენდლერი 12, მოჰამედი 12, ფელტონი 12, ჯექსონი 11, ბრაუნი 10.

**კლივლენდი-დალასი 111:95**

35:26, 33:29, 19:24, 24:16

კ: ჯეიმსი 25+12 პასი, უილიამსი 25, ვარეჟაო 15+9 მოხსნა, მუნი 13+9 მოხსნა, უესტი 10+10 პასი.

დ: ნოვიცკი 27+9 მოხსნა, ტერი 25, მერიონი 12, ბარეა 10.

**მილუოკი-ორლანდო 98:100**

26:21, 30:26, 16:26, 26:27

მ: ილიასოვა 20+16 მოხსნა, რიდნური 20, ჯენინგსი 18, უორიკი 16.

ო: ჰოვარდი 25+20 მოხსნა+4 დაფარება, კარტერი 25+6 პასი, ლუისი 14+9 მოხსნა, უილიამსი 12+10 პასი.

**იუტა-პორტლენდი 108:92**

32:17, 27:27, 30:23, 19:25

ი: ბუზერი 26+12 მოხსნა+7 პასი, უილიამსი 24+15 პასი, ოქური 12, მეინორი 10.

პ: როი 19, ოლდრიჯი 14, ბეილისი 14, ფერნანდესი 11.

**გ. სტეიტი-ლეიკერსი 97:130**

22:36, 28:24, 25:38, 22:32

გ-ს: ელისი 18+6 პასი, მაგეტი 17, მოროუ 15, კარი 13+8 პასი.

ლ: გასოლი 22 +12 მოხსნა, ბრაიანტი 20+6 პასი+5 ჩაჭრა, არტესტი 19, ბრაუნი 17, ფიშერი 13, ბინუმი 12+7 მოხსნა, ფარმარი 10.

**ცხელი ხაზი**

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| დეტროიტი-ატლანტა | 94:88 |
| ტორონტო-ფინიქსი | 94:113 |
| კლიპერსი-მემფისი | 98:88 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორ-სკაილაინერ | 67:70 (ო) |
| ბრაუნშვაიგი-ტელეკომი | 69:74 |
| გიოტინგენი-ბამბერგი | 78:69 |
| პადერბორნი-ულმი | 94:73 |
| გესენი-ოლდენბურგი | 78:73 |
| ფინიქსი-ბრემერჰავენი | 90:94 |
| ლუდვიგსბურგი-მიტლდოიჩე | 65:69 |
| ტრირი-ტიუბინგენი | 86:78 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-ტრიკალა | 81:66 |
| კავალა-პაოკ | 75:70 |
| პანელინიოსი-პანიონიოსი | 77:63 |
| ოლიმპია-პერისტერი | 73:67 |
| კოლოსოსი-აეკ | 77:61 |
| მარუსი-ილისიაკოსი | 75:65 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 87:76 |
| **ესპანეთი** | |
| უნიკახა-ბარსელონა | 57:63 |
| ფუენლაბრადა-სევილია | 70:82 |
| რეალი-გრანადა | 86:69 |
| მურსია-ესტუდიანტესი | 83:89 |
| ბილბაო-ხუვენტუდი | 82:66 |
| ალიკანტე-გრან კანარია | 74:50 |
| ობრადოირო-ვალენსია | 73:79 |
| მანრესა-კახა ლაბორალი | 73:70 |
| ბრუესა-ვალიადოლიდი | 71:74 |
| **იტალია** | |
| ვანოლი-მონტეგრანარო | 90:69 |
| ვირტუსი-კაზერტა | 72:84 |
| ნაპოლი-ბენეტონი | 64:96 |
| ბიელა-ტერამო | 81:89 |
| აველინო-სიენა | 57:86 |
| მილანი-სკავოლინი | 89:86 (ო) |
| ვარეზე-ფერარა | 81:74 |
| რომა-კანტუ | 70:81 |
| **საფრანგეთი** | |
| ჰავრი-შალონი | 68:66 |
| როანი-სტრასბური | 86:77 |
| რუანი-პარიზი | 91:89 |
| ტულონი-ნანსი | 92:78 |
| შოლე-პუატიე | 70:67 |
| დიჟონი-ორლეანი | 61:79 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 5:3 |
| დინამო (მნ)-სკა | 2:4 |
| ს. იულიაევი-სიბირი | 6:1 |
| ბარისი-მეტალურგი (ნ) | 3:2 |
| ლოკომოტივი-დინამო (რ) | 2:2 |
| ამური-ავანგარდი | 2:2 |
| ცსკა-ტრაქტორი | 3:2 |
| ტორპედო-მეტალურგი (მ) | 2:4 |
| ვიტიაზი-ავტომობილისტი | 3:3 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ალბა | 3:3 |
| გრაცი-ლინცი | 3:1 |
| ზაგრები-ოლიმპია | 1:4 |
| აკრონი-კლაგენფიურტი | 6:4 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1:0 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 3:2 |
| მანჰაიმი-შტრაუბინგი | 5:4 |
| ინგოლშტადტი-ფრანქფურტი | 6:3 |
| კრეფელდი-აისბარენი | 3:3 |
| აუგსბურგი-დიუსელდორფი | 3:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-როდოვრე | 1:1 |
| ტოტემპო-ოდენსე | 0:4 |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 0:5 |
| **ნორვეგია** | |
| სტიორნენი-ვოლერენგა | 2:2 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 3:2 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 3:6 |
| სტავანგერი-მანგლერუდი | 2:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| მარტინი-ჟილინა | 7:4 |
| სკალიცა-ნიტრა | 1:3 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 2:2 |
| სლოვანი-ბისტრიცა | 3:4 |
| მიკულაში-ნოვა ვესი | 4:2 |
| პოპრადი-სლოვაკეთი (U20) | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ილვესი | 3:0 |
| კერპეტი-ჰიფკ | 1:1 |
| სეიპა-ჰპკ | 2:2 |
| ესეტი-ტპს | 4:2 |
| იუვიასკიულა-პელიკანსი | 3:0 |
| ტაპარა-ლუკო | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 1:1 |
| ბრნო-სპარტა | 3:5 |
| ვიტკოვიცე-პლზენი | 3:4 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 3:5 |
| ლიბერეცი-ზლინი | 3:2 |
| ბოლესლავი-ტრშინეცი | 4:3 |
| **შვეიცარია** | |
| ფრიბურგი-დავოსი | 1:4 |
| ლანგნაუ-ცუგი | 4:2 |
| ბილი-ჟენევა | 1:4 |
| ამბრი პიოტა-ციურიხი | 5:2 |
| კლოტენი-ლუგანო | 5:2 |
| რაპერსვილი-ბერნი | 2:2 |
| დავოსი-რაპერსვილი | 6:1 |
| ციურიხი-კლოტენი | 1:1 |
| ცუგი-ფრიბურგი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ჰვ71 | 3:3 |
| ტიმრა-ლინჩოპინგი | 3:1 |
| ფერიესტადი-სიოდერტალე | 5:1 |
| ფრიოლუნდა-იურგორდენი | 3:3 |
| ბრიუნასი-ლულეა | 3:3 |
| მოდო-როგლე | 4:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| ფედერერი-დავიდენკო | 2:6, 6:4, 5:7 |
| დელ პოტრო-სიოდერლინგი | 6:7, 6:3, 7:6 |
| დელ პოტრო-დავიდენკო | 3:6, 4:6 |

**TV პროგრამა**

**30 ნოემბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგმარა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-იუვენტუსი.
09:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
11:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია.
13:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
15:10 სინქრონული ცურვა.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ბრიტანეთი.
18:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ნაპოლი.
20:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
23:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:10 სპორტული სამყარო.
23:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
02:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
04:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-იუვენტუსი.
06:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 სინქრონული ცურვა.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
12:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
13:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-სამპდორია.
15:30 სპორტული ცეკვები.
16:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია.
18:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მილანი-მარსელი.
19:55 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
23:05 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ბრიტანეთი.
00:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
01:00 კალათბურთი. ევროლიგა. V ტური. ხიმკი-პროკომი.
02:45 სინქრონული ცურვა.
05:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
06:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.

**EUROSPORT**

11:30 ზამთრის სპორტის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
11:35 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ასპენი. აშშ.
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერ-გიგანტი. ლეიკ ლუისი. კანადა.
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
14:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. კუუსამო. ფინეთი.
15:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. კუუსამო. ფინეთი.
16:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. კუუსამო. ფინეთი.
17:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
19:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები 105 კგ. სამხრეთ კორეა.
20:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები +105 კგ. სამხრეთ კორეა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
23:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 მულტისპორტი.
23:45 არმრესტლინგი.
00:10 მულტისპორტი.
01:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
02:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.

**ჰოკეი**

## ბროდოს ახალი რეკორდი

"ნიუ ჯერსი დევილზის" ვეტერანმა მეკარემ **მარტინ ბროდომ** "ბოსტონ ბრუინზთან" შაბათის მატჩში (2:1 ბულიტებით) ჰოკეის ეროვნული ლიგის მორიგი რეკორდი (მეკარეებისთვის) დაამყარა - მან გააუმჯობესა **პატრიკ რუას** მიღწევა მოედანზე გატარებული წუთების რაოდენობით.

ახლა ბროდოს აქტივში 60 280 წუთია, ლეგენდარულმა რუამ კი 60 235 წუთი დაყო მოედანზე.

## ჰემსკიმ სეზონი დაასრულა

"ედმონტონ ოილერზის" ჩეხმა ფორვარდმა **ალეშ ჰემსკიმ** ნაადრევად დაასრულა წლევანდელი სეზონი. ფორვარდმა წინა კვირას "ლოს ანჯელეს კინგზთან" მატჩის დებიუტში მხარის ტრავმა მიიღო, რომელიც შეხვედრის შუაში მიხალ ჰანძუსთან შეჯახების შემდეგ გაიმიზეზა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ დაზიანება მეტად სერიოზული აღმოჩნდა და ჰოკეისტს ოპერაციის გაკეთება მოუწევს. აღდგენითი პროცესი დიდ დროს წაიღებს, ამიტომაც ჩეხი წელს მოედანზე ველარ გავა.

*"იმედგაცრუებული ვარ, რადგან ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. მალე ოლიმპიადა დაიწყება, მე კი არაფრის გაკეთება არ შემიძლია. შევეცადე ტრავმით მეთამაშა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ასე რომ, ოპერაცია დამჭირდება"*, - აღიარა "ედმონტონის" ერთ-ერთმა ლიდერმა.

ჰემსკიმ ამ სეზონში 22 მატჩი ჩაატარა და 7 გოლითა და 15 შედეგიანი პასით დაეხმარა თავის გუნდს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# მიურეი მარტო დარჩა



მსოფლიოსმეოთხე ჩოგანი, 22 წლის **ენდი მიურეი** თავის შეყვარებულს - **კიმ სირსს** დასცილდა. წლევანდელ სეზონში გოგონა პრაქტიკულად ყველა დიდ ტურნირზე ახლდა ბრიტანელ ჩოგბურთელს, მათ შორის უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობაზე.

გუშინ ლონდონში დასრულებულ წლის შემაჯამებელ ტურნირზე კიმი ვერ ვიხილეთ მიურეის მხარდამჭერთა ჯგუფში, რის შემდეგაც ჟურნალისტებმა ივარაუდეს, რომ ენდი შეყვარებულს დაშორდა. მოგვიანებით ეს ფაქტი ჩოგბურთელის დედამ დაადასტურა...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ავტოსპორტი

# კიმი თითქმის რალიშია

დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ფორმულა 1-ში მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** „სიტროენში“ გადავა და გაისად კლასიკური რალის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის, მაგრამ პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია, მხოლოდ მცირედი დეტალებია შესათანხმებელი.

30 წლის ფინელის ტრანსფერში დიდი როლი ითამაშა იმან, რომ რაიკონენის პერსონალური სპონსორი - ავსტრიული კომპანია „რედ ბული“ ფრანგული გუნდის მთავარი სპონსორიც გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ რალის დიდმა მოყვარულმა კიმიმ ფორმულა 1-ში ერთწლიანი პაუზის აღება გადაწყვიტა, რადგან ვერც ერთ ტოპსაჯინიბოსთან მოლაპარაკება ვერ მოახერხა და ახლა რალის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლა გადაწყვიტა. ფინელს უკვე აქვს რალის მანქანის მართვის გამოცდილება. ამა წლის აგვისტოში რაიკონენი ფინეთის ეტაპზე გამოდიოდა. მაშინ კიმიმ შეჯიბრების მეორე დღეს საკუთარი „ფიატი“ დაამტვრია და ფინიშამდე ვერ მიაღწია.





გოლფი

# ვუდსი სიკვდილს გადაურჩა

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** შაბათს დილით ავტოავარიაში მოყვა. პოლიციის ინფორმაციით, ვუდსი ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს ახლოს, საკუთარ სახლში ბრუნდებოდა, როცა მოულოდნელად მანქანის მართვაზე კონტროლი დაკარგა, ტროტუარზე ავარდა, სადაც ჯერ სახანძრო ჰიდრანტს, შემდეგ კი ხეს შეეჯახა. ინციდენტის ადგილას პოლიცია მივიდა, რომელმაც სპორტსმენი ძირს დაგდებული ნახა. ვუდსი მანქანიდან მეუღლემ გამოიყვანა. ის ხმაურზე ქუჩაში გამოვიდა, როცა აღმოაჩინა, რომ მანქანის კარი დაკეტილი იყო, უკანა შუშა გოლფის ყვანჯით ჩაამსხვრია და ამ გზით შეაღწია სალონში. პოლიციელთა თქმით, გოლფისტს ტუჩები გაუსკდა და ძლიერი სისხლდენა ჰქონდა. ვუდსი გონებაზე იყო, მაგრამ მისი ლაპარაკიდან აზრის გამოტანა ჭირდა.

ვუდსმა დაახლოებით ნახევარი დღე დაყო საავადმყოფოში, რის შემდეგაც შინ გაუშვეს, სადაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. როგორც 33 წლის გოლფისტის პრესატაშე ამბობს, ვუდსი თავს კარგად გრძნობს.

ტაიგერს კარიერაში 93 ტურნირი აქვს მოგებული, აქედან 71 PGA-ის სერიისაა. ამ მაჩვენებლით სპორტსმენი გოლფის ისტორიაში მესამე ადგილს იკავებს.

